პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 109 (12788) 12 მაისი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი




## დაპირისპირება რეალში

# პრეზიდენტმა მწვრთნელი და დირექტორი გამოლანძღა

## კასილიასის სკანდალური აღიარება: ამ გუნდით ვერაფერს მივაღწევთ!



ხუანდე რამოსი (მარცხნივ) და ვისენტე ბოლუდა

» 6



იკერ კასილიასი



» 4

# ზესტაფონში მილანელო აშენდება



### ...ამიტომაც გვეკუთვნის ჩემპიონობა

*ინტერვიუ რამაზ მუმლაძესთან* » 3



### ჩემი ბრალია, უნდა მეაქტიურა

*ინტერვიუ ვარლამ ლიპარტელიანთან* » 11



### ცინცაძე და სანიკიძე ფინალში

*ლეგიონერები* » 12

## ყურადღება! ხუთშაბათიდან, 14 მაისიდან ლელოს საცალო ღირებულება იქნება 60 თეთრი

# საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXXI ტურის მიმოხილვა

# სეზონის მოვლენა

XXXI ტურმა სატურნირო ცხრილში ბევრი ვერაფერი შეცვალა; რაც მთავარია, „საჩემპიონო მატჩად" მონათლული „დინამო"-„ვიტ ჯორჯიას" შეხვედრა ფრედ დასრულდა და ლიდერთა შორის სხვაობა ისევ სამი ქულა დარჩა. ტურის კი არა, მთლიანად სეზონის ცენტრალურ მატჩზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი სხვა ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას...

## ციფრები და... მსაჯები

ჯერ ის ვთქვათ, რომ ტურის ხუთივე შეხვედრაში არცთუ ცოტა გოლი გავიდა; ეგ კი არა, აქამდე მხოლოდ სამი შემთხვევა იყო, როცა ერთმა გუნდმა ხუთბურთიანი უპირატესობით გაიმარჯვა („დინამო"-"ბორჯომი" 5:0, „მგლები"-"ბორჯომი" 5:0, „ოლიმპი"-"ბორჯომი" 6:1); ახლა კი, ერთდროულად ორ მატჩში ექვსქულიანი სხვაობა დაფიქსირდა: „მესხეთმა", აქამდე თორმეტ საშინაო შეხვედრაში მხოლოდ ათი გოლი რომ ჰქონდა გატანილი, „კარის მეზობელი" და ყველასგან მიტოვებული „ბორჯომი" არ დაინდო და ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა! ეს შედეგი, მაინც არავისთვის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, ისე როგორც „ზესტაფონის" გამარჯვება „გაგრაზე"; უბრალოდ, **გია გეგუჩაძის** გუნდისგან გოლების ასეთ „წვიმას" არავინ ელოდა - მეტოქე „გაგრას" ხომ, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, თითოეულ მატჩში მაქსიმუმისთვის უნდა ებრძოლა. თუმცა, მასპინძლებმა შეხვედრა „ერთი ამოსუნთქვით" ჩაატარეს და ამ სეზონში სარეკორდო ანგარიშით გაიმარჯვეს. განსაკუთრებით გვინდა **ნიკა გელაშვილის** ჰეთ-თრიქი აღვნიშნოთ - „ზესტაფონის" ცენტრფორვარდს უკვე 20 გოლი დაუგროვდა და ახლავე შეგვიძლია მივულოცოთ მეოცე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა. სხვათა შორის, განვლილი ტური იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ... სტუმრებმა ვერც ერთი მატჩი მოიგეს (ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ მეოთხე შემთხვევაა); ამას გარდა, კვლავაც „ხელუხლებელი" დარჩა სატურნირო ცხრილში სამი ნული - „დინამოს" შინ არ ჰქონდა წაგებული, „ვიტ ჯორჯია" სტუმრად არ იყო დამარცხებული და „ზესტაფონს" საკუთარ მოედანზე ფრედ არ უთამაშია. ასე იყო და დარჩა კიდეც, ეგ კი არა, დიდი შანსია, რომ სეზონის ბოლომდე არაფერი შეიცვალოს...

განვლილი ტურის არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა მსაჯების ზომაზე მეტი სიმკაცრე გახლდათ: სამი გაძევება და ოცდაოთხი გაფრთხილება, მართლაც მეტისმეტად გვეჩვენება. საინტერესოა, რომ ოცდაოთხიდან ზუსტად ნახევარი... ერთ მატჩში ვიხილეთ: „დინამო" - „ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებაში არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** ორივე გუნდის ფეხბურთელებს 12(!) ყვითელი ბარათი უჩვენა! საერთოდაც, მსაჯობის თემა განვლილ ტურში აქტუალური იყო: ხუთიდან სამ მატჩში არბიტრების ქმედებას კრიტიკული (რბილად ნათქვამია) შეფასებები მოჰყვა კონკრეტული ფეხბურთელებისა თუ მწვრთნელების მხრიდან. რაღა თქმა უნდა, „ზესტაფონი"-„გაგრასა" და „მესხეთი"-„ბორჯომის" შეხვედრაში მსაჯების მიმართ საპრეტენზიო ვის ან რა უნდა ჰქონოდათ; აი, დანარჩენ სამ მატჩში კი არბიტრების ზოგიერთ გადაწყვეტილებას არაადეკვატური რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე. ამის გამოც იყო, მატჩების დასრულების მერე ზოგიერთი მწვრთნელი ხმამაღალ განცხადებებსაც რომ აკეთებდა: „ეს მსაჯი ფეხბურთის მკვლელია!", „ჩემმა ფეხბურთელებმა მეტოქესთანაც იბრძოლეს და... მსაჯებთანაც, თანაც, 10-11 ტურია ასე გრძელდება...", „თუ ჩვენს ფეხბურთელს აძევებენ, მეტოქისას რატომ ინდობენ" და ასე შემდეგ...

და ისევ მსაჯობის თემაზე: შვიდთვიანი იძულებითი პაუზის მერე საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდა ბოლო წლების ნომერ პირველი ქართველი არბიტრი **ლევან ფანიაშვილი**!

## სტატისტიკის ტყვეობაში

უკვე მერამდენე წელიწადია, „დინამო"-„ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებები სეზონის უმთავრესი მოვლენაა. ასევე მერამდენე წელიწადია, „ვიტ ჯორჯია" რომ არის „დინამოს" ყველაზე უხერხული მეტოქე. რაღა შორს მივდივართ და მცირე დოზით სტატისტიკა მოვიშველიოთ: მეტოქეებს აქამდე ერთმანეთში 34 მატჩი ჰქონდათ ჩატარებული და „დინამო" სულ მცირე უპირატესობას ფლობდა - 11 მოგება, 13 ფრე და 10 წაგება. სიტუაცია არც ახლა შეიცვალა - ტურის და, საერთოდ, ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა ხომ ფრედ დასრულდა! ისიც ნუ დაგვავიწყდება, უკვე მეოთხე მატჩია, „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" შეხვედრები საყაიმო ანგარიშით სრულდება; ასევე ზედიზედ მეოთხე შემთხვევა იყო, როცა ყურადღების ცენტრში „ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველი **ლუკა რაზმაძე** გახლდათ; ფეხბურთელი, ვინც ამ სეზონში „დინამოსთან" ჩატარებულ სამივე მატჩში გოლი გაიტანა; ფეხბურთელი, ვისმა გაცუდებულმა პენალტმაც წინა ჩემპიონატში... „დინამოს" ჩემპიონობისკენ გზა გაუხსნა; სამაგიეროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამჯერად სწორედ მისი გოლი უნდა გახდეს გადამწყვეტი ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში! ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ „დინამო" - „ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებათა ისტორიაში ძლივს ველარ ვნახეთ... პენალტი! ანუ, უკვე მიჩვეულები ვიყავით, რომ დინამოელთა კარში აუცილებლად (!) უნდა დანიშნულიყო პენალტი - ყოველ შემთხვევაში, კვირის მატჩამდე ჩატარებულ წინა ოთხ შეხვედრაში ასეც მოხდა. ისიც საინტერესოა, რომ ოთხივეჯერ პენალტის ნიშნულთან ლუკა რაზმაძე იდგა - სამჯერ რომ ზუსტად შეასრულა თერთმეტმეტრიანი დარტყმა და ერთხელ ხარიხას რომ გაარტყა...

„დინამო"-„ვიტ ჯორჯიას" ბოლო შეხვედრაზე გუშინ ვრცლად ვისაუბრეთ; ისიც ვთქვით, რომ მატჩის უმეტესი დროის განმავლობაში **რამაზ მუმლაძის** კრებული ბევრად ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არც იმის აღნიშვნა დაგვვიწყებია, მეტოქეები აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში რომ იმყოფებოდნენ: „ვიტ ჯორჯია" ოპტიმალური შემადგენლობით იყო მოედანზე გამოსული და ფეხბურთელებსაც აშკარად ეტყობოდათ, რომ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არ იმყოფებოდნენ. აი, „დინამო" კი საკადრო პრობლემებმა საკმაოდ დააზარალა - ფაქტია, **მილოშ კრშკოსა** და **მათე ვაწაძის** არყოფნა აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა; ამას გარდა, მასპინძლები, რატომღაც შებოჭილები ჩანდნენ და თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოსდა, მეტოქის შეცდომებს ელოდებოდნენ. არადა, „დინამოს" ამ მატჩში მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, ტიტულის შენარჩუნებისათვის ბრძოლა რომ გაეგრძელებინა. მასპინძელთა და მათ ერთგულ ქომაგთა სამწუხაროდ, „დინამომ" ეს ვერ მოახერხა და მაქსიმუმ რაც შეძლო, მატჩის მიწურულს ანგარიშის გათანაბრება იყო. ისე, „საჩემპიონო მატჩში" მხოლოდ ტაიმების ბოლოს რომ გააქტიურდები და მეტოქეს აგრესიულ თამაშს თავს მოახვევ, ნამდვილად არ არის საკმარისი. ეგაც რომ არ იყოს, ეტყობა, ზოგიერთ ფეხბურთელს თავი, ალბათ, ნამდვილი „ვარსკვლავი" ჰგონია და თითქმის ყველა ეპიზოდში მხოლოდ ინდივიდუალიზმით ცდილობს ფონს გავიდეს; კი, ზოგ გუნდთან ეს „გამოუვა" კიდეც, მაგრამ სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვით მოასპარეზე „ვიტ ჯორჯიასთან" ასეთი „რამეები" აშკარად უადგილოდ და გაუმართლებლად მოჩანდა...

დაბოლოს, ამ მატჩის კიდევ ერთ გმირზე; ჰო,. რამაზ მუმლაძე უკვე ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ სრულიად დამსახურებულად დავასახელეთ „ტურის მწვრთნელად". თანაც, ჩემპიონატის დაწყებიდან უკვე მეექვსედ - ეს კი სარეკორდო მაჩვენებელია! ჩინებული მატჩი ჩაატარა ლუკა რაზმაძემაც - გატანილი გოლის გარდა უაღრესად შრომატევადი სამუშაო რომ გასწია; აღარაფერს ვამბობთ **გრიგოლ ბედიაშვილზე** - „ვიტ ჯორჯიას" მეკარემ, ვისაც სტაბილურობა და ოსტატობა არასდროს დაეწუნებოდა, კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა! თანაც, მატჩსაც ხომ გააჩნია...

**გია ტუხაშვილი**



დინამო-ვიტ ჯორჯია 1:1.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




ეროვნული ბიბლიოთეკა

**XXXI ტური**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სიონი | 1:1 |
| მესხეთი-ბორჯომი | 6:0 |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| ზესტაფონი-გაგრა | 6:0 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 1:0 |

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 28 | 18 | 9 | 1 | 49-16 | 63 |
| 2. დინამო | 28 | 18 | 6 | 4 | 58-20 | 60 |
| 3. ოლიმპი | 28 | 15 | 9 | 4 | 37-18 | 54 |
| 4. ზესტაფონი | 28 | 16 | 4 | 8 | 42-23 | 52 |
| 5. სიონი | 28 | 10 | 11 | 7 | 31-25 | 41 |
| 6. ლოკომოტივი | 28 | 9 | 8 | 11 | 31-29 | 35 |
| 7. მგლები | 28 | 9 | 6 | 13 | 35-37 | 33 |
| 8. მესხეთი | 28 | 6 | 8 | 14 | 22-40 | 26 |
| 9. გაგრა | 29 | 6 | 7 | 16 | 21-48 | 25 |
| 10. სპარტაკი | 28 | 5 | 7 | 16 | 27-45 | 22 |
| 11. ბორჯომი | 29 | 2 | 7 | 20 | 21-73 | 13 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 14 | 11 | 3 | 0 | 37-11 | 36 |
| 2. ზესტაფონი | 14 | 10 | 0 | 4 | 27-11 | 30 |
| 3. ოლიმპი | 14 | 8 | 5 | 1 | 21-6 | 29 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 23-9 | 28 |
| 5. მგლები | 15 | 8 | 1 | 6 | 24-13 | 25 |
| 6. ლოკომოტივი | 15 | 5 | 4 | 6 | 14-11 | 19 |
| 7. სიონი | 13 | 4 | 6 | 3 | 15-11 | 18 |
| 8. გაგრა | 15 | 4 | 5 | 6 | 15-19 | 17 |
| 9. მესხეთი | 13 | 4 | 4 | 5 | 16-14 | 16 |
| 10. სპარტაკი | 14 | 3 | 4 | 7 | 15-22 | 13 |
| 11. ბორჯომი | 15 | 1 | 5 | 9 | 12-28 | 8 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 5 | 0 | 26-7 | 35 |
| 2. ოლიმპი | 14 | 7 | 4 | 3 | 16-12 | 25 |
| 3. დინამო | 14 | 7 | 3 | 4 | 21-9 | 24 |
| 4. სიონი | 15 | 6 | 5 | 4 | 16-14 | 23 |
| 5. ზესტაფონი | 14 | 6 | 4 | 4 | 15-12 | 22 |
| 6. ლოკომოტივი | 13 | 4 | 4 | 5 | 17-18 | 16 |
| 7. მესხეთი | 15 | 2 | 4 | 9 | 6-26 | 10 |
| 8. სპარტაკი | 14 | 2 | 3 | 9 | 12-23 | 9 |
| 9. გაგრა | 14 | 2 | 2 | 10 | 6-29 | 8 |
| 10. მგლები | 13 | 1 | 5 | 7 | 11-24 | 8 |
| 11. ბორჯომი | 14 | 1 | 2 | 11 | 9-45 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 20 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| თოდუა (მგლები) | 11 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 10 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი

რამაზ მუმლაძე

# ...ამიტომაც გვეკუთნის ჩემპიონობა

## ვიტ ჯორჯია დინამოსთან ფულზე არ ფიქრობდა...

რამაზ მუმლაძის მიერ განვრთნილმა „ვიტ ჯორჯიამ“ თბილისის „დინამოსთან“ 1:1 რომ ითამაშა, ჩემპიონობისკენ არცთუ პატარა ნაბიჯი გადადგა. ასეთ პრინციპულ შეხვედრებში მწვრთნელისა და თამაშის წარმმართველი მოთამაშეების როლი მნიშვნელოვნად იზრდება. „ვიტ ჯორჯია“ მაინც უფრო კოლექტიური გუნდია, ცალკეულ ფეხბურთელებზე არ არის დამოკიდებული. ასეთ დროს კი მწვრთნელის ფაქტორი კიდევ უფრო გავლენიანია.

მუმლაძე ყოველთვის გაწონასწორებულია, მისი სტილი არ არის, რომ წარუმატებლობა მსაჯებს თუ სხვა გარე ფაქტორებს დააბრალოს. მუმლაძე მიზანმიმართულად მუშაობს „ვიტ ჯორჯიაში“ და ამ სეზონში მისი გუნდი „დინამოსგან“ დაუმარცხებელი რომ არის, ეს სწორედ გეგმაზომიერი მუშაობის შედეგი უნდა იყოს.

„დინამოსთან“ 10 მაისის შეხვედრაში „ვიტ ჯორჯია“ ისე იყო მობილიზებული, მისი დამარცხება შეუძლებელი გახდა. როგორ მოახერხეს ეს ყველაფერი მუმლაძემ და მისმა გუნდმა? ამის გარდა, „ვიტ ჯორჯიას“ დამრიგებელს სხვა თემებზეც ვესაუბრეთ...

და კიდევ - მეოცე ეროვნულ ჩემპიონატში „ლელომ“ მუმლაძე მეექვსედ დაასახელა ტურის მწვრთნელად...

**- არავისთვის იყო საიდუმლო, რომ „ვიტ ჯორჯია“ პირველ რიგში გუნდური თამაშით ეცდებოდა „დინამოსთან“ წარმატების მიღწევას. უფრო კონკრეტულად, რამ განაპირობა თქვენთვის სასურველი შედეგი ამ შეხვედრაში?**

- „ვიტ ჯორჯიამ“ ამ სასურველ შედეგს კვლავაც გუნდური თამაშით მიაღწია. თითოეულმა ფეხბურთელმა იცოდა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო და კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რა ფასი ედო ამ შეხვედრას - უკვე მეოთხე წელია, რაც მე და ეს ფეხბურთელები ერთად ვართ, ორჯერ ახლოს ვიყავით ჩემპიონობასთან, მაგრამ ხელი მოგვეცარა, ახლა კი ძალიან გვინდოდა, ოთხი წლის განმავლობაში გაწეულ შრომას სასურველი შედეგი გამოელო. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრაში ამ ფაქტორმაც იმოქმედა.

**- გასაგებია, მაგრამ ჩემპიონატის დასრულებას კიდევ ორი ტური უკლია და მიუხედავად სამქულიანი ფორისა, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია...**

- ყოველ შემთხვევაში, „დინამოსთან“ ამ თამაშის შემდეგ ჩვენი საჩემპიონო შანსები ბევრად გაიზარდა. ორი წუთი დაგვაკლდა, თორემ ამ მატჩის შემდეგ უკვე ჩემპიონები ვიქნებოდით...

**- ლუკა რაზმაძის გოლით დაწინაურდით და ეიფორიის ბრალი ხომ არ იყო, რომ ანგარიშის შენარჩუნება ვერ მოახერხეთ?**

- არა, ჩვენი გუნდის მექანიზმი არ მორყეულა. ფეხბურთელები კვლავ დალაგებულად თამაშობდნენ. გოლი იმის გამო გავუშვით, რომ „ცოცხალი კედელი“ კარგად ვერ ავმართეთ. მსაჯობაზე ლაპარაკი არ მიყვარს, თუმცა შეიძლებოდა, რომ ეს ჯარიმა საერთოდ არ დანიშნულიყო. თანაც, „დინამომ“ დარტყმა გაიმეორა. რა თქმა უნდა, ისეთი გუნდი, როგორიც „დინამოა“, ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა, ჯარიმა ხომ ჩვენს კართან საკმაოდ ახლო მანძილში იყო დანიშნული.

**- დინამოელთა დამრიგებელმა კახა კაჭარავამ გიორგი მერებაშვილი მარცხენა ფლანგზე გადასწია, ალექსანდრე კოშკაძე კი მარცხნიდან შუისკენ გადაანაცვლა. ასეთი გადაადგილებები „ვიტ ჯორჯიასთვის“ სიურპრიზი არ იყო?**



რამაზ მუმლაძე

- არა, ეს ჩვენთვის სიურპრიზი არ ყოფილა. ასეთ გადაადგილებას ნაკლებად შეეძლო ჩვენთვის პრობლემების შექმნა. მერებაშვილი ცენტრში უფრო სახიფათოა, იქ უფრო კარგად შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და ჩემი აზრით, ფეხბურთელი იქ უნდა გაამწესო, სადაც ყველაზე უფრო კომფორტულად გრძნობს თავს.

**- „ვიტ ჯორჯიამდე“ „დინამოს“ თამაში ჰქონდა „სიონთან“, რომელთანაც ასევე 1:1 ითამაშა. იმ შეხვედრის შემდეგ ბოლნისელთა დამრიგებელმა ოთარ კორღალიძემ გვითხრა - ჩვენთვის სასიამოვნო იყო, „დინამომ“ ლევან ხმალაძე ნახევარდაცვის ცენტრში კი არა, დაცვის მარცხენა ფლანგზე რომ გაამწესაო. „დინამომ“ ხმალაძე „ვიტ ჯორჯიასთანაც“ იმავე პოზიციაზე გაამწესა. ამან საქმე თქვენც გაგიადვილათ?**

- ვფიქრობ, „დინამოს“ ცენტრში ვაჯობეთ და მეტოქემ ბევრი საგოლე მომენტი რომ ვერ შექმნა, სწორედ მოედნის შუაგულში მოპოვებული უპირატესობის გამო იყო. არავის საქმეში არ ვერევი, უბრალოდ, საკუთარ აზრს მოგახსენებთ - ხმალაძეს ნახევარდაცვის ცენტრში გუნდისთვის უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია. რაც შეეხება ნახევარდაცვის ცენტრში მოთამაშე ვაჟა ნემსაძეს, ის უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია, თუმცა გადამწყვეტი მატჩებისთვის გამოცდილება არ ჰყოფნის. მეორე მხრივ, მისასალმებელია, რომ ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელს მწვრთნელი ესოდენ დიდ ნდობას უცხადებს. სხვათა შორის, „ვიტ ჯორჯიაც“ ხშირად აკეთებს აქცენტს ახალგაზრდებზე, რომელთაც მნიშვნელოვან თამაშებში თავის გამოჩენის შანსი ეძლევათ.

**- ისევ „სიონი“-“დინამოს“ მატჩს დავუბრუნდეთ. ბოლნისელებმა ერთ-ერთ ლიდერს დიდი ბრძოლა გაუმართეს და ყველას აინტერესებს, ასე მოიქცევა თუ არა „სიონი“ „ვიტ ჯორჯიასთან“ მომავალი ტურის შეხვედრაშიც. ახლა, როცა გარიგებული თამაშების თემა განსაკუთრებულად აქტუალური გახდა, მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება სწორედ „სიონი“-“ვიტ ჯორჯიას“ მატჩისკენ იქნება მიმართული. როგორ გგონიათ, ეს მატჩი ყოველგვარ ეჭვებს გააქარწყლებს?**

- შესაძლოა, „სიონთან“ თამაში ჩვენთვის საჩემპიონოც გამოდგეს. დარჩენილ ორ შეხვედრაში ერთი ფრის უფლება კი გვაქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლნისში ქულების დასაკარგავად ჩავალთ. დარწმუნებული ვარ, მოედანზე ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდება. „სიონს“ ბოლოს გორში შევხვდით და 1:1 ვეთამაშეთ. მაშინაც სერიოზული ბრძოლა იყო და გამოჩნდა, რომ „სიონი“ „ვიტ ჯორჯიასთვის“ არაფრის დათმობას არ აპირებდა.

**- „ვიტ ჯორჯია“ „სიონთან“ უდანაკარგოდ არ იქნება...**

- ყვითელი ბარათების გამო, ალექსანდრე კვახაძე და ლუკა რაზმაძე ვერ ითამაშებენ. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია, მაგრამ კატასტროფას არ გამოიწვევს - გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც მათ სრულფასოვნად შეცვლიან.

**- ისევ „დინამოსთან“ მატჩზე გადავერთოთ. კოლექტიური თამაში ახსენეთ, თუმცა ფსიქოლოგიური ფაქტორების გარეშე ასეთ პრინციპულ შეხვედრაში არაფერი ხდება...**

- ფსიქოლოგია არის ყველაზე გადამწყვეტი ასეთ პრინციპულ შეხვედრებში. მეც დიდი დრო დავუთმე გუნდის ფსიქოლოგიურ მომზადებას. თეორიულ მეცადინეობებზე ეს დიდი დოზით მივაწოდეთ ფეხბურთელებს.

**- კონკრეტულად რას ეუბნებოდით?**

- ამას ასე მოკლედ ვერ გადმოგცემთ, ეს ძალიან რთულია. ისე, ფსიქოლოგია უფრო მეტად ჭარბობს ჩემში... შეიძლება, მართლაც ასე იყოს...

**- ამ სეზონში „ვიტ ჯორჯიამ“ „დინამოსთან“ სამივე მატჩი ფრედ ითამაშა. ეს ზუსტად ასახავს ძალთა ბალანსს?**

- სტატისტიკურად ყველაფერი ასე დაჯდა. მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ სამივე თამაშს, ვფიქრობ, ჩვენ უფრო ვიმსახურებთ ჩემპიონობას. პირველ წრეში „დინამოს“ 2:2 რომ ვეთამაშეთ, 2:0-ს ვიგებდით და „ვიტ ჯორჯიას“ უფრო ეკუთვნოდა გამარჯვება. მეორე წრეში 1:1 ვითამაშეთ და მიმაჩნია, რომ გორში „დინამო“ უფრო ძლიერი იყო. რაც შეეხება ამ ბოლო შეხვედრას, მეტი ამბიცია, მეტი მონდომება ჩვენ გვქონდა და, შესაბამისად, უფრო ვიმსახურებდით გამარჯვებას. მესამე მატჩში „დინამო“ ბურთის ჩაგდებებზე გადავიდა. ეს არ არის მისი თამაში, „დინამო“ ამით ვერ დაგვამარცხებდა.

**- „დინამოსთან“ მატჩისთვის ფეხბურთელებს განსაკუთრებული პრემიები ჰქონდათ დაწესებული?**

- პრემიები უმნიშვნელოდ იყო გაზრდილი. მაგრამ მერწმუნეთ, ფულზე არავინ ფიქრობდა, ამაზე ლაპარაკი არც ყოფილა. ხშირად მომხდარა - გვითამაშია და ფეხბურთელებს მერე უკითხავთ ჩემთვის, პრემია რამდენი იყო დაწესებულიო. ერთი სიტყვით, „დინამოსთან“ მატჩში სულ სხვა ფსიქოლოგიური განწყობით გავედით მინდორზე და წლეულს ამიტომაც გვეკუთნის ჩემპიონობა სხვაზე მეტად.

**- მაინც რა იყო მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორი - უნდა დაგემტკიცებინათ, რომ „დინამოზე“ უკეთესი გუნდი გყავთ, თუ სულ სხვა რამ?**

- ჩვენ სხვაზე უკეთესი უნდა ვიყოთ - თუ ასე არ ფიქრობს ფეხბურთელი, ვერც ერთ გუნდთან ვერ მიაღწევს წარმატებას. „დინამოსთან“ შეხვედრაში რალაც-რალაცები კი დავთმეთ, მაგრამ საერთო ჯამში ყველა ფეხბურთელით კმაყოფილი ვარ, მათ თავიანთი საქმე ფრიადზე შეასრულეს.

დავით თავართქილაძე

---

ეროვნული ნაკრები

სამშაბათის ვარჯიში

# საგურამოდან ვაკეში, უცვლელად...

როგორც გაუწყეთ, დღეს ეროვნული ნაკრების თავკაცი **ექტორ კუპერი** მორიგ „სამშაბათობას“ გამართავს. არგენტინელმა მწვრთნელმა ამჯერად 15 ფეხბურთელი გამოიძახა. კუპერის სიას ასეთი სახე აქვს:

მეკარეები - **გიორგი ლომაია** (ლოკომოტივი), **გრიგოლ ბედიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ზურაბ მამალაძე** (ზესტაფონი);

მცველები - **უჩა ლობჯანიძე** (ზესტაფონი), **ალექსანდრე კვახაძე** (ვიტ ჯორჯია), **დავით გიგაური** (გაგრა), **გურამ კაშია** (დინამო);

ნახევარმცველები - **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **ლუკა რაზმაძე** (ვიტ ჯორჯია), **გიორგი სეთურიძე** (ოლიმპი), **გიორგი კახელიშვილი** (ლოკომოტივი), **გიორგი ცხადაია** (გაგრა), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია);

თავდამსხმელები - **ნიკოლოზ გელაშვილი** (ზესტაფონი), **გიორგი გაბედავა** (გაგრა).

როგორც ხედავთ კუპერის რჩეულთა შორის ახალი კვლავ არავინაა. ეროვნული გუნდის თავკაცი წვრთნას ამჯერად არა საგურამოს ბაზაზე, არამედ ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართავს. ვარჯიში 16 საათზე დაიწყება.

დავით ცაბაძე

---

ინტერვიუ

დავით თარგამაძე

# ქარლსრუე და ზანქტ პაული: თარგამაძეს მსურველები გამოუჩნდნენ

მეორე ბუნდესლიგის დასრულებას 3 ტური უკლია, თუმცა „ფრაიბურგმა“ ვადამდე დაიბევა ელიტაში დასაბრუნებელი საგზური. იყო დრო, ამ გუნდში რამდენიმე ქართველი თამაშობდა, ახლა კი ბადენვიურტემბერგულ კლუბში მხოლოდ ერთი ჩვენებურია - 19 წლის დავით თარგამაძე.

მეორე ბუნდესლიგაში მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ 5 მატჩი ითამაშა და ხუთივე შეცვლაზე, თუმცა მისი გუნდი ბუნდესლიგაში რომ ბრუნდება, ცხადია, თარგამაძის წარმატებაცაა. სხვა საქმეა, თარგამაძე მომდევნო სეზონში ისევ ფრაიბურგელი იქნება თუ არა...

სანამ „ფრაიბურგის“ პირველ გუნდში მოხვდებოდა, თარგამაძემ იუგენდლიგაში (19-წლამდელთა ჩემპიონატი გერმანიაში) შთამბეჭდავად ითამაშა და ასე დაიმსახურა პირველ გუნდში გადასვლა. მალე კი დათოს ახალი გამოცდები ელის...



დავით თარგამაძე

**- „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში დაბრუნდა. როგორ აღნიშნეთ ასეთი წარმატება?**

- „კობლენცს“ სტუმრად 5:2 რომ მოვუგეთ და ფრაიბურგში დავბრუნდით, 5-6 ათასი ფანი შეგვეგება. ამის მერე რესტორანში წავედით. მოკლედ, ბუნდესლიგის საგზურის მოპოვება შინაარსიანად ავღნიშნეთ.

**- ალბათ, უკვე მომდევნო სეზონზე ფიქრობ. ზოგი იმასაც კი ამბობდა - თარგამაძისთვის აჯობებს, „ფრაიბურგი“ ამ სეზონში ვერ გადავიდეს ბუნდესლიგაში, რადგან დათოს ძალიან მწირი სათამაშო პრაქტიკა ექნებაო. თავად როგორ ფიქრობ, ბუნდესლიგაში თამაშის რა შანსი გექნება?**

- ჯერ არ ვიცი, რომელ გუნდში ვიქნები მომდევნო სეზონისთვის...

**- „ფრაიბურგი“ განათხოვრებას გიპირებს თუ იმაზეა ლაპარაკი, რომ სხვა გუნდმა გამოგისყიდოს?**

- შესაძლოა, „ფრაიბურგმა“ იჯარით გამასხვისოს. არის დაინტერესება „კარლსრუედან“, რომელიც, ალბათ, გავარდება ბუნდესლიგიდან და, შესაბამისად, მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს. არის ლაპარაკი მეორე ბუნდესლიგის „ზანკტ პაულიში“ განათხოვრებაზეც.

**- ეს ინიციატივა „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობისგან მოდის?**

- კლუბის მესვეურებმა მითხრეს, შენით კმაყოფილები ვართო და შესაძლოა, კონტრაქტი, რომელიც 2010 წელს მიმთავრდება, კიდევ ორი წლით, 2012 წლამდე გავაგრძელოო.

**- ...მაგრამ ამ სეზონში მხოლოდ ხუთჯერ ითამაშე და ისიც შეცვლებზე.**

- ჰოდა, მწვრთნელმაც ეგ მითხრა - ბუნდესლიგაში რომ ვიქნებით, არც მაშინ მოგიწევს ხშირად თამაში და იქნებ ჯობდეს, მეორე ბუნდესლიგაში დარჩე და სათამაშო პრაქტიკა გქონდეს, მერე კი ისევ ჩვენ დაგვიბრუნდებიო. ჩემთვისაც ახლა ის არის მთავარი, რომ ვითამაშო, ეს სეზონი ხომ, ფაქტობრივად, გამიცდა. მოკლედ, ამ ეტაპზე სათამაშო პრაქტიკა მირჩევნია ყველაფერს.

**- დაახლოებით როდის გადაწყდება, „ფრაიბურგში“ დარჩები, თუ სხვა გუნდში წახვალ?**

- სეზონი 24 მაისს მთავრდება და იმ დროისთვის ყველაფერი გარკვეული უნდა იყოს, მერე ხომ შვებულებაა...

**- როგორ ფიქრობ, მხოლოდ ასაკისა და გამოუცდელობის ბრალია, ამ სეზონში ხშირად რომ არ მოგიწია თამაში?**

- გერმანიაში ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ძალიან ძნელია, პირველ გუნდში მოხვდე და ეგრევე ძირითადში დაგაყენონ. აქ ახალგაზრდებს თანდათან აჩვევენ ძირითად შემადგენლობას, ეგრევე 90 წუთს არ ათამაშებენ... ერთი სიტყვით, ყველაფერი მაინც უფრო ასაკის ბრალია...

**- ფაქტობრივად, ერთი წელიწადი გამიცდაო, თქვი, თუმცა, მიუხედავად ამისა, „ფრაიბურგის“ პირველ გუნდში გატარებულმა სეზონმა რაღაც კარგი მაინც მოგცა...**

- რა თქმა უნდა, თუნდაც ის რად ღირს, რომ ახლა ფიზიკურად უწინდელზე ბევრად უკეთესად ვარ მომზადებული - კვირაში ორჯერ ან სამჯერ სატრენაჟორო დარბაზი გვქონდა გამოწერილი...

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლუბო ცხოვრება



# ზესტაფონში მილანელო აშენდება

**საფეხბურთო** კლუბ „ზესტაფონის" პრესსამსახურის ინიციატივით ჟურნალისტთა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ზესტაფონში გავემგზავრეთ. კლუბის სურვილი იყო, ადგილზე გავცნობოდით, თუ რა სამუშაოები ჩატარდა საკლუბო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. ბუნებრივია, სამომავლო პერსპექტივებიც არანაკლებ საინტერესო იყო...

ზოგადად, საკლუბო ცხოვრების ბევრი დეტალი გულშემატკივრებისთვის უცნობი რჩება და ამგვარი ინიციატივები ყოველთვის საინტერესოა. *„მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოდან სტადიონის მართვის უფლება გადმოგვეცა, უკვე 820 ათასი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა და ეს მომავალშიც გაგრძელდება"*, - გვითხრა „ზესტაფონის" სტადიონის დირექტორმა **ვახტანგ გოგოლაშვილმა.**

თუ რა გაკეთდა, საამისოდ ერთსაათიანი ექსკურსია დაგვჭირდა: 50 ადამიანზე გათვლილი საპრესკონფერენციო დარბაზი, სატელევიზიო სტუდიის ოთახი, რასაც უეფა ითხოვს, ინტერნეტ-კაფე (რომელიც ევროთასებისთვის ამოქმედდება) მედიისთვის, სადაც ჟურნალისტებისთვის კომფორტული გარემო შეიქმნება...

საინტერესოა, რომ ეს ყველაფერი გაკეთდა დასავლეთი ტრიბუნების ქვეშ, სადაც ადრე ნაგვის ბუდე იყო. „ზესტაფონის" სტადიონზე მედიას ემსახურება პრესლოჟა, რომელიც 120 ჟურნალისტზეა გათვლილი და შეიძლება ითქვას, ეროვნულ სტადიონზე არსებული პრესლოჟის დარად, ისიც საკმაოდ მოხერხებულია. ტელეკომენტატორებს კი ხუთი ჯიხური ემსახურება - ესეც უეფას მოთხოვნაა. პრესლოჟაში არის ინტერნეტით მუშაობის საშუალება.

სტადიონის გარკვეული ნაწილიდან სახლები ჩანს. თურმე, ამ ფონის დასაფარად, თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო ბანერების გაკეთება, მაგრამ საბოლოოდ, ტრიბუნების დამატება გადაწყდა. გარდა ამისა, გაკეთდა სატრენაჟორო დარბაზი, რაც თანამედროვე პირობებში ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს. „ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძის** თქმით, დარბაზში იმდენი დანადგარია, რომ ერთდროულად 25 ფეხბურთელს შეუძლია ვარჯიში. ჩვენი ფეხბურთელების უდიდესი პრობლემა ხომ სწორედ ის არის, რომ ათლეტური აღნაგობა არ აქვთ, მოკლებულნი არიან ტრენაჟორებზე ვარჯიშს და ამიტომაც უჭირთ ორთაბრძოლებში შესვლა...

სტადიონზევე გაკეთდა საკლუბო ატრიბუტიკის მაღაზიაც, ოღონდ, ის მხოლოდ მნიშვნელოვანი მატჩების დროს იმუშავებს. ამას გარდა, შერემონტდა გასახდელები და დამონტაჟდა ინდივიდუალური სკამები.

*„ამ ყველაფერში უკვე დახარჯულია 820 ათასი დოლარი. თუმცა „ზესტაფონი" ამაზე შეჩერებას არ აპირებს. ჩვენი სურვილია, უახლოეს მომავალში სტადიონი ოთხივე მხრიდან ტრიბუნებით შემოისაზღვროს. საბოლოოდ, ზესტაფონში ჩაფიქრებულია 8-10 ათას მაყურებელზე გათვლილი სტადიონის აშენება. უახლოეს პერიოდში ვიდეოტაბლოსაც დავამონტაჟებთ"*, - გვიმხელს ფუტკარაძე.

მართალია, ზესტაფონის სტადიონზე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მოედანია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შარშან, უეფას თასზე უნგრულ „დიორი ეტოსთან" მატჩამდე, ძლიერი წვიმის გამო მოედანი წყლით დაიტბორა, რაც, წესით, გამორიცხული უნდა ყოფილიყო. გამოსავალი აქაც მოიძებნა - აღმოჩნდა, რომ მოედნის მოსავლელად თანამედროვე ტექნიკა იყო საჭირო.

*„კლუბმა გამოყო 96 ათასი ევრო და შევიძინეთ მოედნის დასამუშავებლად საჭირო ჰოლანდიური ტრაქტორი და იაპონური მანქანები. სათესი მანქანა, რომელიც თანაბრად ანაწილებს ბალახის თესლს და მოედანზე ბალახი კარგად და თანაბრად ამოდის. დრენაჟის პრობლემა საჩხვლეტი მანქანით გადავჭერით. ამ ჩხვლეტის საშუალებით წყალი ნიადაგში გადის. თურმე, „დიორი ეტოსთან" მატჩის წინ დრენაჟმა იმიტომ ვერ იმუშავა, რომ მოედანი დასაჩხვლეტი იყო. ამას გარდა, ჩამოვიტანეთ სილის საფრქვევი მანქანაც, რომელიც დაჩხვლეტილ მოედანზე სილას ანაწილებს - ეს სადრენაჟო სისტემის სრულყოფილი მუშაობისთვის ჰაერივით აუცილებელია. შევიძინეთ მინდვრის საკრეჭი და სადეკორაციო მანქანებიც - ერთი ბალახს კრეჭს, ხოლო მეორე მას ლამაზ ფორმას აძლევს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩვენი სტადიონის მოვლა აგრონომთა 20-კაციან ჯგუფს აქვს დავალებული. ყველა ევროპულ კლუბში ასე ხდება. ერთი და ორი კაცი ამას ვერ შეეჭიდება, ეს არის ერთი დიდი მეურნეობა და სერიოზულ მიხედვას საჭიროებს"*, - ამბობს ვახტანგ გოგოლაშვილი.

„ფეროს" ადმინისტრაციასთან, რომელიც სტადიონთან ძალიან ახლოს მდებარეობს, ხელოვნურსაფრიანი მოედანი მოეწყო. მასზე „ზესტაფონის" სარეზერვო გუნდები და ქალაქის მიერ დაფინანსებული „მარგვეთი" ვარჯიშობენ და თამაშობენ.

...და ყველაზე მნიშვნელოვანიც: უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე, ძველი პროფტექნიკუმის ტერიტორიაზე, კლუბის პრეზიდენტ **ილია კოკაიას** ქართული „მილანელოს" აშენება სურს. ეს იქნება კომპლექსი 5 მოედნით, რომელთაგან 4 - ბალახისსაფრიანი იქნება, ხოლო ხელოვნურსაფრიანი მოედანი კი - გადახურული. გარდა ამისა, აშენდება საკლუბო სასტუმრო, სათავსები, საფეხბურთო ინტერნატი, რომელიც იდეაში დასავლეთ საქართველოს ტალანტების, ასე ვთქვათ, ათვისებაზე იმუშავებს. იქნება აგრეთვე აღდგენითი და სამედიცინო ცენტრი, კვების ბლოკი და ასე შემდეგ.

წესით და რიგით, თავად ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული, რომ სანაგვედ ქცეული 6,5 ჰექტარი წალკოტად იქცეს, მაგრამ უცნაურია, რომ ამ მხრივ მხოლოდ შარშან გადაიდგა შემხვედრი ნაბიჯები - გუბერნატორი, ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი და ქალაქის ხელმძღვანელობა, როგორც იქნა, დაინტერესდნენ ამ იდეით და ახლა საქმეს სასიკეთო პირი უჩანს. საამისოდ, მზადყოფნა გამოხატა ზესტაფონში ჩასულმა **მიხეილ სააკაშვილმაც.**

ახლა, „ზესტაფონის" ხელმძღვანელობა ელოდება, რომ ოფიციალური ნებართვა გაიცეს და ქართული „მილანელოს" მშენებლობას რეალურად აენთოს მწვანე შუქი. ღირს ამ საქმის ხელშეწყობა, რადგან კარგად გვახსოვს, ბიუროკრატიულმა ბარიერებმა რამდენ კარგ წამოწყებას შეუშალა ხელი - იმერეთში ახსოვთ, 14 წლის წინათ, სამტრედიაში, მაშინდელი ერთ-ერთი წამყვანი კლუბის ყოფილ პრეზიდენტ **ტარიელ ჩაჩუას** სტადიონის აშენება რომ სურდა, მაგრამ ბიუროკრატიამ სასიკეთო საქმეში ფულის გამოყენების საშუალება არ მისცა და სამტრედიელები ამას დღემდე ნანობენ...



საკომენტატორო ჯიხურ…



სატრენაჟორო დარბაზი



მოედნის დასაჩხვლეტი მანქანა

# ბაია+მგლები=ოდიში?

## ანუ, განხორციელდება თუ არა იდეა ზუგდიდური კლუბების გაერთიანების თაობაზე...

**შესაძლოა**, მალე ზუგდიდური კლუბები გაერთიანდნენ. უმაღლეს ლიგაში „მგლები" საკმაოდ ღირსეულად გამოიყურება, მაგრამ სამეულში მოსახვედრად ძალები არ ეყო. „ბაია" კი პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერია, მაგრამ უმაღლესში გადასვლა გაუჭირდება. არადა, ზუგდიდს უდიდესი საფეხბურთო პოტენციალი გააჩნია და მას საშუალო დონის გუნდი არ შეეფერება. აქამდე, ქალაქის საფეხბურთო ძალები რომ გაერთიანებულიყო, ევროთასებზე მოასპარეზე გუნდს ლეგიონერების გარეშეც ჩამოაყალიბებდნენ.

სამწუხაროდ, ზუგდიდში ძალების გაერთიანება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა. რატომ და რა მიზეზით, ნაკლებად საინტერესოა, მთავარი ის არის, რომ ქართული ფეხბურთის ინტერესებს პასუხობს ზუგდიდში ორი საშუალო რანგის გუნდის გაერთიანება და ამ ბაზაზე ერთი, გაცილებით ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება.

„ლელოსთვის" ცნობილი გახდა, რომ ზუგდიდში „მგლებისა" და „ბაიას" გაერთიანების სურვილი აქვთ. შევიტყვეთ რამდენიმე საინტერესო დეტალიც - ჩანაფიქრის მიხედვით, „ბაიასა" და „მგლების" გაერთიანების შემთხვევაში, კლუბს „ოდიში" ან „ზუგდიდი" დაერქმევა. მას ქალაქის გამგეობაც დააფინანსებს და „ბაიას" პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავაც**. „ბაიადან" საინტერესო ფეხბურთელებს მთავარ გუნდში გადაიყვანენ, დუბლები კი პირველ ლიგაში იასპარეზებენ.

საბოლოოდ, ამ ყველაფრის მიზანი ზუგდიდის შესაფერისი ძლიერი კლუბის შექმნაა. შესაძლო გაერთიანების თაობაზე კლუბების წარმომადგენლებს მივმართეთ, მაგრამ ჯერჯერობით მოლაპარაკების შესახებ ორივე მხარე დუმს.

**ჯემალ გოგია**, „ბაიას" დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში: *„გაერთიანებაზე ვერაფერს გეტყვით. მე მსგავსი არაფერი მსმენია და თქვენ საიდან მოიტანეთ"?*

**ბესიკ შეროზია**, „მგლების" მთავარი მწვრთნელი: *„ამის თაობაზე ბევრი არაფერი ვიცი. ზუგდიდში სულ იყო კლუბების გაერთიანების სურვილი, მაგრამ ძალები დღემდე დაქსაქსულია. ჭორის დონეზე ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ რა არის რეალური, ამის თქმა მიჭირს. ეს იყო ჩემი ოცნება - თუკი მართლა გავერთიანდებით, ჩათვალეთ, რომ ზუგდიდური ფეხბურთი ბევრად წინ წაიწევს. მე ის პერიოდიც მახსოვს, როცა ქალაქს საერთოდ არ ჰყავდა კლუბი, რაც ზუგდიდისა და მთელი ქართული ფეხბურთის სირცხვილი იყო. გაერთიანებული გუნდით გაცილებით ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბება და დარწმუნებული ვარ, ყოველწლიურად უეფას საგზურისთვის იბრძოლებს".*

ვისგან მოდის გაერთიანების ინიციატივა და რამდენად რეალურია ამ ჩანაფიქრის განხორციელება, ჩვენთვის უცნობია. ზუგდიდში ერთმა სერიოზული თანამდებობის პირმა მხოლოდ ჩანაფიქრი გაგვიმხილა - ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, მაგრამ გაერთიანებული კლუბის ჩამოყალიბება გვსურს და იმედია, მალე ჩვენი ქალაქის ფეხბურთის რეალურ შესაძლებლობებს გამოვიყენებთო...

თუმცა მოლაპარაკებების დასრულებამდე, საკითხს საგანგებოდ ასაიდუმლოებენ და მხოლოდ დოკუმენტების გაფორმების შემთხვევაში გახდიან მას საზოგადოებისთვის საჯაროს. საბოლოო შეთანხმებამდე ჯერ კიდევ ბევრი დეტალია გასარკვევი...

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლეგიონი



მარჯვნივ ლევან კობიაშვილი

# კობიაშვილი შტუტგარტთან საეჭვოა...

კვირას „შალკე" მიონხენგლადბახში ადგილობრივ „ბორუსიასთან" მინიმალური ანგარიშით (0:1) დამარცხდა. უკვე ვწერდით, რომ ამ შეხვედრაში **ლევან კობიაშვილი** მე-16 წუთზე **კრისტიან პანდერის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში, 59-ეზე კი უკვე თავად კობი შეცვალეს. კობიაშვილი დაშავდა, მაგრამ გუშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, რა სახის ტრავმა მიიღო საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა...

და აი, გუშინ გაირკვა, რომ ლევანმა მარცხენა ფეხზე კოჭ-წვივის სახსარი დაიზიანა, ამ ინფორმაციას „შალკეს" ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. მდგომარეობა საგანგაშო არ არის, თუმცა საეჭვოა, რომ კობიაშვილმა ხვალ „შტუტგარტთან" საშინაო შეხვედრაში ითამაშოს. მის დაბრუნებას უფრო შაბათს, „ჰერტასთან" შეხვედრაში ელიან.

**დავით ცაბაძე**

# რჩება მჭედლიძე პალერმოში?

იტალიურ სერია A-ში სეზონის დასრულებამდე 3 ტურილა დარჩა. შესაბამისად, სატრანსფერო პერიოდი ახლოვდება და სპეკულაციებიც ნელ-ნელა მატულობს. ამ რამდენიმე კვირის წინათ გახმაურდა და გაცნობეთ კიდეც, თითქოს „კატანია" „პალერმოს" ფორვარდ **ლევან მჭედლიძით** იყო დაინტერესებული. რატომღაც, ამ თემაზე გუშინ რუსულმა წყაროებმაც დაწერეს. საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელმა championat.ru-სთან კომენტარიც გააკეთა, რომელშიც ვკითხულობთ:

*„კატანიელთა ინტერესის შესახებ არაფერი ვიცი. თუმცა იმის თქმა კი შემიძლია და დარწმუნებულიც ვარ, რომ „პალერმოს" პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი იოლად არ დამთმობს. ჩემთვის ძალიან დიდი მოულოდნელობა იქნება, კლუბმა ჩემი გაშვება რომ დააპიროს. ჩვენ კარგი შანსი გვაქვს იმისთვის, რომ მომავალ სეზონში ევროპის ლიგაზე ვიასპარეზოთ და ვფიქრობ, ამას შევძლებთ კიდეც. ერთადერთი, რითიც ამჟამად კმაყოფილი არ ვარ, ეს არის არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკაა. თუმცა მჯერა, რომ ამ მხრივ ვითარება მალე სასიკეთოდ შეიცვლება".*

**დავით ცაბაძე**




ლევან მჭედლიძე

ქალთა ფეხბურთი

საერთაშორისო ტურნირი

# მარცხით დავიწყეთ

გუშინ ქალთა ეროვნულ ნაკრებებს შორის საერთაშორისო ოთხთა ტურნირი დაიწყო. ჩვენი ნაკრების გარდა, მასში თურქეთის, აზერბაიჯანისა და მაკედონიის გუნდებიც მონაწილეობენ. პირველ ტურს რუსთავმა უმასპინძლა. „ფოლადზე" ერთმანეთს ჯერ თურქეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებები შეხვდნენ. თურქებმა მატჩი მინიმალური სხვაობით, 1:0 მოიგეს.

შემდეგ მოედანზე საქართველოსა და მაკედონიის ეროვნული გუნდები გავიდნენ. ბალკანელებმა გვაჯობეს - **მამუკა სვანაძის** გუნდმა 3:1 წააგო. ჩვენებისგან გოლი თავდამსხმელმა **ანა პოლოსიანმა** მეორე ტაიმში გაიტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნაკრებმა მეორე ნახევარში უკეთ ითამაშა, თუმცა საგოლე მომენტები ვერ გამოიყენა და დამარცხდა.

სვანაძის გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ჭკუასელი (46. შადობა), პასიკაშვილი, მალიძე, თოდაძე, სხირტლაძე (52. კვალიაშვილი), ხუბულური (59. სუთიძე), ჭიჭინაძე (68. ჭყონია), მატვეევა, ტატუაშვილი, პოლოსიანი, გაბელია.**

მეორე ტურის მატჩები ხვალ გაიმართება. აზერბაიჯანი მაკედონიას ეთამაშება, ჩვენები კი თურქებს დაუპირისპირდებიან. ეს მატჩიც რუსთავში ჩატარდება.

**დავით ცაბაძე**

# გმირობიდან ანტიგმირობამდე

## სამი ქართველი თითქმის ჩემპიონია, ოთხი უკვე ბრინჯაოსმედალოსანი

რუსეთის ჩემპიონ „რუბინის" რიგებში ქართველის ნახვა უკვე დიდი იშვიათობაა, მორიგ ტურში „რუბინმა" ყაზანში „ტომი" გაანადგურა - 4:0, ერთადერთი **დავით კვირკველია** (4 თამაში) იყო მატჩის განაცხადში და მასაც არ მოუწია თამაშმა. **ლაშა სალუქვაძე** (2 თამაში) ჯერჯერობით ტრავმირებულია. **ნუკრი რევიშვილმა** დუბლების მატჩში ითამაშა, რომელიც „რუბინის" სარეზერვო გუნდმა 3:0 მოიგო. ნალჩიკში „სპარტაკი" „ხიმკის" 0:0 დაუზავდა. ასე რომ მოხდა, სამწუხაროდ, ქართველი ლეგიონერის ბრალიცაა - 90-ე წუთზე სტუმართა კარში დანიშნული პენალტი **ალექსანდრე ამისულაშვილმა** (8 თამაში, 1 გოლი) გოლად ვერ აქცია, მას „ხიმკის" გოლკიპერმა რომან ბერეზოვსკიმ აჯობა. **გოგიტა გოგუას** (7 თამაში, 1 გოლი) დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. championat.ru-მ ამისულაშვილს 5,5 ბალი დაუწერა. 8 ტურის შემდეგ რუსულ პრემიერლიგას სათავეში „რუბინი" მოექცა 17 ქულით, ნალჩიკის „სპარტაკი" 6 ქულით მე-14 ადგილზეა. სარეზერვო ლიგა ვახსენეთ და „სპარტაკის" დუბლების თამაშზეც ვიტყვით, **ჯანო ანანიძემ** 87 წუთი ითამაშა „სატურნთან" 2:1 დასრულებულ მატჩში. გოგიტა გოგუა პრაქტიკის გარეშე რომ არ დარჩენილიყო „სპარტაკისა" და „ხიმკის" დუბლების მატჩში (1:0) შესვენების შემდეგ გამოჩნდა და... 87-ე წუთზე უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო.



გიორგი ადამია (მარცხნივ) და ალექსანდრე გოგობერიშვილი

პირველ დივიზიონში მორიგი ტური გაიმართა, თუმცა **ომარ თეთრაძის** „ანჟი" გუშინ უქმობდა. მახაჭყალელებმა დრო იხელთეს და სპარინგმატჩი გამართეს, მათ „დაგდიზელი" 2:0 დაამარცხეს. პირველ ტაიმში ითამაშეს **კახა ალადაშვილმა, ედიკ საჯაიამ, ზურაბ არზიანმა და გოჩა ხოჯავამ**. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ალადაშვილის თამაში, რომელსაც აქამდე ვიზის პრობლემა ჰქონდა, როგორც ჩანს, მან ეს პრობლემა მოაგვარა. მეორე დივიზიონში ბარნაულის „დინამომ" 1:0 დაამარცხა „კუზბასი", კემეროვოელთა კარში გამარჯვების გოლი **მიხეილ აშვეთიამ** 64-ე წუთზე პენალტით გაიტანა. მან და **ვალერი აბრამიძემ** 90-90 წუთი ითამაშეს. სხვათა შორის, აშვეთია ტრავმირებული გავიდა მოედანზე, „დინამოს" მწვრთნელმა **სერგო ირომაშვილმა** აღნიშნა, რომ მისი შეცვლაც კი სურდა შესვენებაზე. ეს აშვეთიას პირველი გოლია ჩემპიონატში.



ბურთით ალექსანდრე ამისულაშვილი

მინსკის „მტზ-რიპო" შარშან ჩემპიონობისთვის იბრძოდა, წლეულს კი **გივი კვარაცხელიას** გუნდისგან აჩრდილი დარჩა. მორიგ, მე-7 ტურში მინსკელებმა შინ მოგილოვის „დნეპრთან" წააგეს - 0:1. ქართველმა ნახევარმცველმა შეუცვლელად ითამაშა. დღეისათვის „მტზ-რიპო" 8 ქულით მე-10 ადგილზეა. დამარცხდა **ნუკრი მანჩხავას** „ტორპედოც", ჟოდინოელებმა სტუმრად 1:2 „გომელთან" დათმეს.

ლატვიურ ვირსლიგაში „სკონტომ" „ბლაზმა" 4:0 გაანადგურა, კლუბის ბომბარდირ **ლადო დვალიშვილს** (6 გოლი) ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, რიგის გუნდი კაპიტნის სამკლაურით კვლავ **დავით გამეზარდაშვილმა** გამოიყვანა. არც **ზურაბ მენთეშაშვილი** გამოჩენილა ამ ტურში, მისმა „ვენტსპილსმა" „დაუგავას" 4:2 მოუგო. **თამაზ პერტიას** „დინაბურგმა" 2:0 მოუგო „ტრანზიტსს". პერტიამ **ირაკლი ქორთუა** სათადარიგოთა სკამზე დასვა. „ვენტსპილსს" და „სკონტოს" 21-21 ქულა აქვთ, ისინი მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ, „დინაბურგი" 11 ქულით მეხუთეა.

ლიტვაში ძმები ჭილლაძეების „ტაურასი" შინ „ბანგას" დაუზავდა - 0:0. **დავით ჭილლაძემ** 90 წუთი ითამაშა, ხოლო მისი უფროსი ძმა **ბესიკი** ამ სეზონში პირველად გამოჩნდა, ის 67-ე წუთზე შევიდა სათამაშოდ. „ტაურასი" 4 ქულით ბოლოსწინა, მე-7 ადგილზეა.

მოლდოვაში მარადმწვანე ჩემპიონმა „შერიფმა" ტირასპოლის დერბიში 2:0 იმარჯვა. გუნდის კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა. სხვათა შორის, ვაჟა ამ დღეებში „შერიფის" ოფიციალური საიტის სტუმარია, ნებისმიერ გულშემატკივარს შეუძლია მას კითხვები დაუსვას ცოცხალ რეჟიმში. კიშინოვის „დაჩიამ" სტუმრად „ტილიგულს" მოუგო - 1:0. ქართველთაგან 90 წუთი მხოლოდ **ლევან კორღალიძემ** ითამაშა, **კახა მჟავანაძე** შესვენებისას შეცვალეს, **ჯაბა დვალი** - 52-ე წუთზე. მოლდოვაში ყველაფერი გარკვეულია - „შერიფი" 74 ქულით პირველია, „დაჩია" 59 ქულით - მეორე.

აზერბაიჯანში ინტრიგა ბოლო ტურამდე შენარჩუნდა, ბოლოსწინა ტურში მოიგო როგორც ჩემპიონმა „ინტერმა", ასევე ქართველთა სამეულის „ბაქიმ". „ბაქიმ" სტუმრად „თურანი" 2:0 დაამარცხა და კონკურენტს კვლავ ერთი ქულით უსწრებს. ყველაფერი **გიორგი ადამიას, გიორგი დემეტრაძისა და ამირან მუჯირის** გუნდის ხელშია - მათ ბოლო ტურში უნდა მოიგონ და ჩემპიონები გახდებიან. დემეტრაძეს არ უთამაშია, იგი ისედაც ვერ ხვდება შემადგენლობაში, თან მცირე ტრავმაც ჰქონდა. მუჯირმა პირველი ტაიმი ითამაშა, გიორგი ადამია 62-ე წუთზე შეცვალეს. ბოლო ტურში „ბაქი" მე-12 ადგილზე მყოფ „მულანს" მასპინძლობს, რომელსაც გავარდნა ემუქრება. **მიხეილ მესხისა და ალექსანდრე ინწკირველის** „ქარვანი" „ინტერთან" შერცხვა - 0:4. ორივე ქართველმა შეუცვლელად ითამაშა. **გივი ჩხეტიანის** „მულანს" შეეძლო „სტანდარდის" მოგებით გადარჩენა, მაგრამ 1:3 დამარცხდა. გივი ჩხეტიანი 78-ე წუთზე შეცვალეს, „სტანდარდი" კაპიტნის სამკლაურით **ლევან სილაგაძემ** გამოიყვანა. „სტანდარდი" 36 ქულით მეშვიდეა. გუშინ ბაქოს „ოლიმპიკმა" სტუმრად 6:1 გაანადგურა უკვე გავარდნილი მოიკ-ი. ერთი გოლი



გოგიტა გოგუა

**ალექსანდრე გოგობერიშვილის** ანგარიშზეა, მან 82-ე წუთზე წერტილი დაუსვა არმიელთა რბევასაც და ქართული ლეგიონის საგოლე გვალვასაც. ნუხელ „სიმურგმა" 1:0 დაამარცხა „გაბალა" და მესამე ადგილი მოიპოვა. მაშ ასე, აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ **დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, კახა ჩხეტიანი და მიხეილ მახვილაძე.**

ყაზახეთის პრემიერლიგაში მე-8 ტური გაიმართა. **ზვიად ჯელაძის** „ვოსტოკი" სტუმრად „ირტიშს" დაუზავდა - 1:1. ამ შეხვედრაში 90 წუთი ითამაშა სტუმართა ქართველმა კაპიტანმა. **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუ" დამარცხდა „აკტიობესთან" - 1:2. ქართველი ნახევარმცველი 88-ე წუთზე შეცვალეს. **ლაშა ჭელიძის** „ჟეტისუმ" 1:0 მოუგო „ტობოლს", ლაშას ერთი ასპროცენტიანი მომენტი შეექმნა, მაგრამ მან გატანა ვერ შეძლო. „ჟეტისუ" 14 ქულით მესამეა, „ატირაუ" 8 ქულით მე-9-ეა, ხოლო „ვოსტოკი" 6 ქულით - მეთერთმეტე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

რეალი


ხუანდე რამოსი და ვისენტე ბოლუდა

# ბოლუდამ ხუანდე და მიატოვიჩი გალანძღა

## კასილიასი ფაბრეგასისა და ვილიას ტრანსფერებს ითხოვს

მადრიდის „რეალის" ბოლო ორმა წარუმატებლობამ სამეფო კლუბში სიტუაცია უკიდურესად დაძაბა. დედაქალაქელებმა ჩემპიონობის შანსი პრაქტიკულად დაკარგეს. გარდა ამისა, გულშემატკივრები იმაზეც სწუხან, რომ კლუბმა ბოლო ორ შეხვედრაში ერთბაშად 9 გოლი გაუშვა და 6 ქულა დაკარგა. ამით განრისხებულმა პრეზიდენტმა **ვისენტე ბოლუდამ** მწვრთნელი **ხუანდე რამოსი** და სპორტული დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი** კაბინეტში დაიბარა. „რეალის" უმაღლესმა ხელისუფალმა მისი თანამშრომლები ღიად გააკრიტიკა და უპასუხისმგებლობაში დასდო ბრალი.

ამასობაში, გუნდში არსებულ მძიმე სიტუაციას **იკერ კასილიასიც** გამოეხმაურა. დედაქალაქური გრანდის მეკარეს, ისევე, როგორც მის თითოეულ გულშემატკივარს, იმედი ჰქონდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში „რეალი" წელს მე-10 საიუბილეო ტიტულს მოიპოვებდა. როგორც იცით, ეს ამოცანა გადაუჭრელი დარჩა. კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ინჩასებს ილუზიადქცეული მოლოდინი ჰქონდათ. აგერ, უკვე 5 წელია, მადრიდის „რეალი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს ვერ სცდება. ჩემპიონთა ლიგას რომ თავი დავანებოთ, ამ გუნდისთვის პრიმერა დივიზიონიც მიუწვდომელი დარჩა. მართალია, თეორიული შანსი ჯერაც არსებობს, მაგრამ ეს უტოპია უფროა, ვიდრე რეალობა.

სპეციალისტები წლევანდელ წარუმატებლობაზე ძალიან ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ძაღლის თავი შემადგენლობის სისუსტეშია დამარცხული. **იკერ კასილიასმა**, მცირე დროის განმავლობაში უკვე მეორედ, ყველაზე დიდი გამბედაობა გამოიჩინა და საკმაოდ მტკივნეულ თემაზე გულწრფელად ისაუბრა:

*„თანამედროვე ფეხბურთში სუსტი მოწინააღმდეგე პრაქტიკულად არ არსებობს. ყველა ტურნირში ევროპის საუკეთესო კლუბები მონაწილეობენ. საუკეთესოების დამარცხებას კი ბევრად მეტი ძალისხმევა და მუშაობა სჭირდება. ჩემი აზრით, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი არაკონკურენტუნარიანი შემადგენლობაა. ჩემპიონთა ლიგისა და პრიმერა დივიზიონის მოსაგებად უმაღლესი დონის ფეხბურთელებია საჭირო. მიმაჩნია, რომ „რეალის" ახალმა ხელმძღვანელობამ რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი უნდა განახორციელოს. შესაძლოა, მაინცდამაინც კაკასა და კრისტიანო რონალდოს გადაბირება ვერ მოხერხდეს, მაგრამ ისინი ჩვენი პლანეტის უკანასკნელი ვარსკვლავები არ არიან. სიმართლე გითხრათ, კაკასა და კრისტიანოზე ნაკლებად არც სესკ ფაბრეგასი და დავიდ ვილია თამაშობენ. ჩემი აზრით, ახალმა ხელმძღვანელობამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს".*

კასილიასის თამამი განცხადება ჟურნალისტებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მათ გაუკვირდათ, რომ სახელგანთქმულმა მეკარემ თანაგუნდელების კვალიფიკაცია ეჭვქვეშ დააყენა. შემდეგ კასილიასი განაგრძობს:

*„მე არავის ვაკნინებ, უბრალოდ, ფაქტზე ვსაუბრობ. ფაქტი კი ისაა, რომ „რეალმა" ჩემპიონთა ლიგაში კონკურენციას ვერ გაუძლო. „ლივერპულთან" პირწმინდად დავმარცხდით. არადა, სულაც არ ვფიქრობ, რომ ინგლისელებს ევროპაში საუკეთესო კლუბი ჰყავთ. მიუხედავად ამისა, მათ მინიმალური წინააღმდეგობაც ვერ გავუწიეთ. არ ვიცი, შეიძლება შეფასებაში ვაჭარბებ, მაგრამ ფაქტია, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ბარიერი 5 წელია, ვერ გადაგვილახავს. ჩემი აზრით, ეს სრულიად ანომალიური მოვლენაა. არ შეიძლება, ასეთი ტრადიციების მქონე დიადი კლუბი ერთ ადგილს ტკეპნიდეს და წინ ვერ მიიწევდეს. მე ყველას ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდის ერთადერთი შველა სწორედ ხმაურიანი ტრანსფერებია. „რეალს" მსოფლიო დონის ვარსკვლავები სჭირდება. აი, სწორედ ისეთები, რომლებმაც რამდენიმე წლის წინათ ყველაზე პრესტიჟული ტიტულები მოგვაპოვებინეს".*

კასილიასის ეს განცხადება მიმომხილველების ერთმა ნაწილმა **ფლორენტინო პერესის** ერთგვარ მხარდაჭერად აღიქვა. სამეფო კლუბის ყოფილი პრეზიდენტი სწორედაც რომ ხმაურიანი ტრანსფერების სპეციალისტადაა მიჩნეული. ის ხელისუფლებაში დაბრუნებას სწორედ ამ გზით აპირებს და გასაკვირი სულაც არ იქნება, თუ დღეს არსებულ შემადგენლობაში მხარდამჭერებს რაზმავს და მათ წინასაარჩევნო კამპანიაში დახმარებას სთხოვს...

**ილია ნიკოლაიშვილი**

**გერმანია.** ბუნდესლიგა. XXXII ტურის წინ

# ოთხთაბრძოლა გადამწყვეტი ლიდერობისთვის

## ვოლფსბურგი, ბაიერნი, ჰერტა, შტუტგარტი. ვის უფრო მაგარი ნერვები აქვს?

| დღეს | |
|---|---|
| ბაიერნი-ლევერკუზენი | 22:00 |
| კარლსრუე-ჰანოვერი | 22:00 |
| კიოლნი-ჰერტა | 22:00 |
| ვოლფსბურგი-ბორუსია (დ) | 22:00 |
| **ხვალ** | |
| აინტრახტი-ვერდერი | 22:00 |
| შალკე-შტუტგარტი | 22:00 |
| ჰამბურგი-ბოხუმი | 22:00 |
| კოტბუსი-ბორუსია (მ) | 22:00 |
| არმინია-ჰოფენჰაიმი | 22:00 |

ბუნდესლიგა ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს! ე.წ. „ინგლისური კვირა" სეზონის მიწურულს დაემთხვა და შუა კვირაში მორიგი ტური ზუსტად იმ დროს იმართება, როცა გერმანიის ჩემპიონატში ვითარება უკიდურესად დაძაბულია. ლიდერსა და მეოთხეადგილოსანს შორის სხვაობა სულ რაღაც 2 ქულაა და ეს ყველაფერი სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე! 32-ე ტური ორ დღეზეა გადანაწილებული: დღეს ოთხი თამაში იმართება და ამ ოთხ მატჩში ოთხი ისეთი გუნდი მონაწილეობს, რომლებიც პირველ ხუთეულში არიან და ჩემპიონობისთვის იბრძვიან. მათ შორისაა ლიდერი „ვოლფსბურგიც", რომელიც ბოლო დროს შესანიშნავ ფორმაში მყოფ და მეხუთე ადგილამდე აღზევებულ დორტმუნდის „ბორუსიას" ხვდება, რომელიც თავის მხრივ, ლიდერს მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩება. „ბაიერნი" „ლევერკუზენს" მასპინძლობს, მესამე პოზიციაზე მყოფი „ჰერტა" კი კიოლნში ჩადის. ოთხშაბათს, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდებიდან მხოლოდ „შტუტგარტიღა" თამაშობს – შვაბები გელზენკირხენში ჩადიან, სხვა მხრივ კი, ხვალ ყურადღების ცენტრში მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხის ქვეშ მყოფი გუნდები მოექცევიან. განსაკუთრებულ ყურადღებას უშუალო კონკურენტების, „კოტბუსისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიის" დაპირისპირება იპყრობს. ქულების განიავების უფლება არაფრისდიდებით აღარ აქვთ „ჰამბურგს" და „ბოხუმს", ეს ეხება „არმინიასაც", რომელიც „ჰოფენჰაიმს" მასპინძლობს.

„ვოლფსბურგმა" შაბათს „შტუტგარტში" უმძიმესი დარტყმა იწვნია (1:4). **ფელიქს მაგათს** წაგებამ და „ბაიერნის" წამოწევამ იმდენად არ დასწყვიტა გული, რამდენადაც იმ ფაქტმა, რომ ის იძულებული გახდა, **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** და **საშა რიტერი** ტრავმების გამო, ნაადრევად შეეცვალა. ეს ფეხბურთელები ხომ „ვოლფსბურგის" ხერხემალს წარმოადგენენ. გუშინ საღამომდე „მგლების" ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ბოსნიელი დღეს საღამომდე ფეხზე წამოდგომას მოახერხებდა, აი, რიტერის საქმე კი ცუდადაა – ვერცხლისწყალივით მოძრავი ნახევარმცველი „დორტმუნდთან" ნამდვილად ვერ ითამაშებს. „ბორუსია" კი ასეთ ეიფორიაში აქამდე არასდროს ყოფილა, რადგან „დორტმუნდს", მიუხედავად დიადი ისტორიისა, ბუნდესლიგაში ზედიზედ შვიდი თამაში აქამდე არასდროს მოუგია, ახლა კი, სწორედ ასეთი, მისთვის სარეკორდო სერია აქვს. შესაბამისად, **იურგენ კლოპის** გუნდი მეხუთე ადგილამდე ამაღლდა და ძალიან სერიოზულად იბრძვის მინიმუმ უეფას თასის მაქსიმუმ კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ დორტმუნდელებს ამ სეზონში ყველაზე ცოტა, სულ რაღაც 4 წაგება აქვთ და ამ გუნდის დამარცხება ძალიან ძნელია. უნდა შევახსენოთ ისიც, რომ „ვოლფსბურგს" მიმდინარე სეზონში საკუთარ მოედანზე 15 თამაშიდან 14 მოგებული აქვს (1 ფრე და არც ერთი მარცხი). შესაბამისად, დღეს „ფოლკსვაგენ-არენაზე" უაღრესად დამაინტრიგებელი მატჩი იმართება.

„ბაიერნში" „ვოლფსბურგის" წაფორხილებით დიდად გაიხარეს და ახლა უკვე ხელებს იფშვნეტენ, რადგან რეკორდმაისტერი „მგლებს" მხოლოდ და მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო ჩამორჩება, ქულებით კი გაუთანაბრდა. დღეს მიუნხენური გრანდი ფაქტობრივად უმოტივაციო „ლევერკუზენს" („ფარმაცევტები" არც იქით არიან და არც აქეთ) მასპინძლობს და შესაბამისად, „ბაიერნს" **იუპ ჰაინკესის** ხელში ზედიზედ მესამე თამაშის მოგების ჩინებული შანსი აქვს. ამასთან, „დონ იუპს" სრულ მზადყოფნაში ჰყავს **ფრანკ რიბერი**, რომელიც ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ლევერკუზენს" მიუნხენში წარმატების მიღწევა ყოველთვის ძალიან უჭირს: 2 მოგება, 5 ფრე, 22 მარცხი. როგორც გითხარით, **ბრუნო ლაბადიას** გუნდი ფაქტობრივად უმოტივაციოდაა დარჩენილი, მაგრამ „ბაიერნს" მაინც სიფრთხილე მართებს, რადგან „ლევერკუზენი" ამ სეზონში გასვლით მატჩებში ყველაზე უკეთ გამოიყურება და 46-დან 26 ქულა სწორედ სტუმრად აქვს მოპოვებული.

„კიოლნმა" ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება თითქმის გაინაღდა და დღეს ტიტულისთვის მებრძოლ „ჰერტას" მასპინძლობს. შაბათს, ბერლინელებმა „ბოხუმი" 2:0 დაამარცხეს და მატჩის შემდეგ დედაქალაქელთა დაცვის ბურჯმა **იოზიპ შიმუნიჩმა** თქვა, ახლა უკვე ყველას გვჯერა, რომ ჩემპიონობა რეალურიაო. მართლაც, დარჩენილ სამ ტურში **ლუსიენ ფავრის** გუნდს არც ისე რთული პროგრამა აქვს: „კიოლნის" შემდეგ, „ჰერტა" „შალკეს" მასპინძლობს, ბოლოს კი „კარლსრუეში" ჩადის და ხვდება გუნდს, რომელიც ყველანაირი ლოგიკის თანახმად, იმ დროისთვის უკვე მეორე ბუნდესლიგაში იქნება გავარდნილი. დღეს „კიოლნს" **მოჰამადი, პეცონი** და **ნოვაკოვიჩი** არ ეყოლება, რაც **კრისტოფ დაუმისთვის** სერიოზული დანაკლისია. „ჰერტას" კი კაპიტანი **არნე ფრიდრიხი** გამოუჯანმრთელდა. დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და ბრუნდება **კაჩარიც**.

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" ტიპური ბოლოადგილოსანია და სეზონის დასრულებამდე 3 ტურით ადრე, გადარჩენის ზონას 4 ქულა აშორებს. დღეს ბადენელები „ჰანოვერს" მასპინძლობენ და ამრიგად, ეს მატჩი „კარლსრუესთვის" გადარჩენისთვის გაბრძოლების უკანასკნელი შანსია. *„თუ „ჰანოვერს" ვერ მოვუგებთ, თამამად შეგვიძლია, მეორე ბუნდესლიგისთვის გეგმების დაწყობა დავიწყოთ,"* - აცხადებს ბადენელთა კაპიტანი **მაიკ ფრანცი**.

17 ტურის წინ, **მარკუს ბაბელს** „შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა მაშინ შვაბებმა „შალკეს" 2:0 მოუგეს. და სწორედ იმ მატჩიდან დაიწყო „შტუტგარტის" ალმასვლა, იმ დროს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შვაბები წელს „ვერცხლის სინისთვის"იბრძოლებდნენ, მაშინ „მოდაში „ჰოფენჰაიმი" იყო". მას მერე „შტუტგარტმა" კიდევ 16 თამაში ჩაატარა და შესანიშნავი სერია გამოაცხო: 11/4/1. „ვოლფსბურგის" 4:1-ზე დამარცხების შემდეგ, „შტუტგარტიც" ჩემპიონობის ერთ-ერთი სერიოზული პრეტენდენტია. „შალკემ" კი კვირას მიონხენგლადბახში წააგო და კიდევ უფრო დაშორდა ევროპის ზონას.

„ჰამბურგმა" ბოლო სამ კვირაში ფაქტობრივად ყველაფერი წააგო: გავარდა გერმანიის თასიდან, უეფას თასის ნახევარფინალიდან და ჩემპიონობის შანსიც მხოლოდ თეორიული აქვს (ასეთი შანსი „დორტმუნდსაც" აქვს). კვირას **მარტინ იოლის** შეგირდებმა „ვერდერთან" 0:2 წააგეს და სულაც მეექვსე ადგილამდე ჩამოიქვეითდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ჰამბურგი" საგაისოდ ევროპის მიღმაც რჩება. დღეს იოლის გუნდის მეტოქე „ბოხუმია", რომელიც ელიტაში დასარჩენად იბრძვის და ფაქტია, რომ „ჰამბურგს" მხოლოდ 3 ქულა დააკმაყოფილებს. მაგრამ „ბოხუმი" განსაკუთრებით სახიფათოა თუნდაც იმიტომ, რომ ვარდება და ქულები ჰაერივით ესაჭიროება. სტუმრებს ლიდერი **შესტაკი** არ ეყოლებათ და ბარემ აქვე გეტყვით, რომ „ჰამბურგმა" „ბოხუმს" ბოლო ხუთი საშინაო დუელიდან, ხუთივე მოუგო.

ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლაში, 32-ე ტური ერთ უშუალო დუელს გვთავაზობს: „კოტბუსი"-"გლადბახი". ამ გუნდებს 27-27 ქულა აქვთ, ისევე, როგორც ბილეფელდის „არმინიას". სამივე მათგანი „ბოხუმს" მხოლოდ მცირედით ჩამორჩება. *„ყველაფერი ან არაფერი, ჩვენ უკანმოუხედავად უნდა შევუტიოთ!"* - ამბობს „ენერგის" კაპიტანი **ტიმო როსტი**. ბურთების უარესი შეფარდების გამო, **ბოიან პრაშნიკარის** გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა, ასე რომ, „კოტბუსს" დღეს ფრე ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებს. ქულების გაყოფაზე უფრო მიონხენგლადბახის „ბორუსია" იქნებოდა თანახმა - **ჰანს მაიერის** სამწყსო „შალკეს" დამარცხების შემდეგ მე-15 ადგილზეა და დღევანდელი მდგომარეობით არ ვარდება. ცხადია, ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ რას იზამს „არმინია" „ჰოფენჰაიმთან", რომელმაც შაბათს, როგორც იქნა, მოგების გემო გაიხსენა.

დაბოლოს, ფრანკფურტის „აინტრახტი" „ვერდერს" უმასპინძლებს. ჰესენელებს ელიტაში დარჩენა ოფიციალურად ჯერ არ გაუნაღდებიათ, მაგრამ თუკი დღეს ბრემენულ კლუბს დაამარცხებენ, გავარდნის საფრთხე თეორიულადაც კი აღარ დაემუქრებათ. თავის მხრივ, „ვერდერმა" დაამტკიცა, რომ უმოტივაციობის დროსაც მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს, მოუგო რა კვირას ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ჰამბურგს" 2:0. თანაც, „მუსიკოსებმა" ყველას აჩვენეს, რომ **დიეგოს** გარეშეც შეუძლიათ წარმატების მიღწევა. „აინტრახტის" განაცხადში, 6-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად ვიხილავთ გამოჯანმრთელებულ **იოანის ამანატიდისს**.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვოლფსბურგი | 31 | 18 | 6 | 7 | 67-40 | 60 |
| 2. ბაიერნი | 31 | 18 | 6 | 7 | 64-39 | 60 |
| 3. ჰერტა | 31 | 18 | 5 | 8 | 46-36 | 59 |
| 4. შტუტგარტი | 31 | 17 | 7 | 7 | 58-40 | 58 |
| 5. ბორუსია (დ) | 31 | 14 | 13 | 4 | 53-33 | 55 |
| 6. ჰამბურგი | 31 | 17 | 4 | 10 | 43-43 | 55 |
| 7. შალკე | 31 | 14 | 7 | 10 | 44-30 | 49 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 31 | 13 | 9 | 9 | 56-45 | 48 |
| 9. ლევერკუზენი | 31 | 13 | 7 | 11 | 54-40 | 46 |
| 10. ვერდერი | 31 | 11 | 9 | 11 | 57-42 | 42 |
| 11. ჰანოვერი | 31 | 9 | 9 | 13 | 44-60 | 36 |
| 12. კიოლნი | 31 | 10 | 5 | 16 | 32-47 | 35 |
| 13. აინტრახტი | 31 | 8 | 9 | 14 | 37-50 | 33 |
| 14. ბოხუმი | 31 | 6 | 10 | 15 | 35-51 | 28 |
| 15. ბორუსია (მ) | 31 | 7 | 6 | 18 | 37-56 | 27 |
| 16. არმინია | 31 | 4 | 15 | 12 | 27-46 | 27 |
| 17. კოტბუსი | 31 | 7 | 6 | 18 | 27-54 | 27 |
| 18. კარლსრუე | 31 | 6 | 5 | 20 | 21-50 | 23 |


ფრანკ რიბერის ბაიერნი გონსალო კასტროსა (მარცხნივ) და სიმონ როლფესის (მარჯვნივ) ლევერკუზენს მასპინძლობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი



ული ჰიონესი საგონებელშია, ვან გაალს „ალკმაარიდან“ არ უშვებენ

# ჰიონესი: მოდის, თუ არ მოდის?

## მიუნხენი ვან გაალს ელოდება

„ბაიერნის“ დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** კვირას თავისი შეგირდები ძალიან აქო. „დონ იუპი“, რომლის ხელში გუნდმა ორივე თამაში მოიგო, ზოგადად კმაყოფილია, ისე კი, „ენერგისთან“ მიღებული, მისი თქმით, „ძალიან სულელური გოლის“ გამო ოდნავ კი გაბრაზდა, მაგრამ რაც მთავარია, ჰაინკესი მისიას (ყველა თამაშის მოგება სეზონის ბოლომდე) ჯერჯერობით იდეალურად ასრულებს. რეკორდმაისტერის დამრიგებელმა შეგირდებს კვირის ვარჯიშზე „კოტბუსთან“ თამაშის დროს დაშვებული შეცდომები განუმარტა, ჟურნალისტებს კი უთხრა, წესით 5-6 გოლი უნდა გაგვეტანა, საგოლე მომენტებს ქარს არ უნდა ვატანდეთო.

დღეს კი ბავარიელები „ლევერკუზენს“ ხვდებიან და ჰაინკესი მორიგ გამარჯვებას გეგმავს. *„თამაში უნდა გავაუმჯობესოთ, - ამბობს დონ იუპი, - და გავაუმჯობესებთ კიდეც!“* გამოცდილმა სპეციალისტმა განსაკუთრებით 23 წლის არგენტინელი ფლეიმეიქერი **ხოსე ერნესტო სოსა** შეაქო, რომელშიც „ბაიერნს“ 9 მილიონი ევრო აქვს გადახდილი და რომელმაც **იურგენ კლინსმანის** ხელში თავი ვერაფრით გამოიჩინა (თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ კლინსი მას შესაძლებლობების გამოვლენის შანსს ძალიან იშვიათად აძლევდა).

*„თუ სოსა ასე გააგრძელებს, ზაფხულში არსად გავუშვებთ! „კოტბუსთან“ მან იმდენად კარგად ითამაშა, რომ ასეთი ფეხბურთელის დაკარგვა არ შეიძლება,“* - ამბობს ბავარიელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი**. არგენტინელს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს და ზამთარში მიუნხენელები მას „პალერმოში“ უპირებდნენ გაშვებას, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა და ზაფხულისთვის გადაიდო. ჰაინკესის ხელში კი სოსა ისე კარგად ათამაშდა, რომ „ბაიერნში“ დარჩენის რეალური პერსპექტივა გაუჩნდა. *„ხოსე ძალიან კარგი ბიჭია,“* - ამბობს ჰაინკესი და ამ ეტაპზე მას ხელმძღვანელებიც ეთანხმებიან.

თუმცა „ბაიერნი“ სოსაზე დამოკიდებული ვერ იქნება და ჰიონესიც სწორედ ამიტომ გეგმავს ერთით მაღალი კლასის გამთამაშებლის შეძენაზე. ვინ იქნება „ბაიერნის“ „ათიანი“, ბრემენელი **დიეგო** თუ ბარსელონელი **გლები**, ეს მეტწილად გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელზეა დამოკიდებული, რომლის ვინაობაც უახლოეს მომავალში უნდა გახდეს ცნობილი. ამასთან, ძვირადღირებული ტრანსფერების პერსპექტივა იმაზეცაა დამოკიდებული, მოახერხებს თუ არა „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას – ბუნდესლიგაში მდგომარეობა იმდენად დაძაბულია, რომ სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, „ბაიერნისთვის“ ისიც კი არ არის გამორიცხული, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩეს. სამიოდ თვის წინ ჰიონესი ამბობდა, სატრანსფერი დაგეგმარება დამთავრებული გვაქვსო და იმხანად „ბაიერნს“ მომავალი სეზონისთვის მხოლოდ სამი ახალი ფეხბურთელის გადაბირება ჰქონდა გარანტირებული: **ივიცა ოლიჩი, ალექსანდერ ბაუმიოჰანი** და **ანატოლი ტიმოშჩუკი**. ახლა კი ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ბავარიელები კიდევ მინიმუმ სამი ახალწვეულის გადაბირებას გეგმავენ: გუნდს ძალიან სჭირდება ხეირიანი მარჯვენა მცველი, მეკარე და ფლეიმეიქერი.

*„წელს არაფერი აღარ არის გამორიცხული და გულშემატკივრებს, შესაძლოა, სიურპრიზებიც კი შევთავაზოთ,“* - ამბობს ული და იქვე დასძენს, ყველაფერთან ერთად, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ იმ მწვრთნელის სურვილები, რომელიც გუნდს მომავალ სეზონში უთავკაცებსო.

წესით, **ლუის ვან გაალის** საკითხი უკვე გარკვეული უნდა იყოს, მაგრამ 57 წლის ჰოლანდიელ სპეციალისტს „ალკმაართან“ ურთიერთობის გარკვევა გაუჭანჭლდა. *„ფაქტია, რომ თვითონ ლუისს თითქმის ყველაფერზე შევუთანხმდით,“* - აცხადებს ჰიონესი. ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ ული ვან გაალს ორწლიან ხელშეკრულებაზე მოურიგდა და შეთანხმებას ხელფასის საკითხშიც მიაღწია, მაგრამ დღემდე გაურკვეველია, შეუძლია თუ არა ვან გაალს „ალკმაართან“ კონტრაქტის უსასყიდლოდ გაწყვეტა და გააკეთებს თუ არა ამას ჰოლანდიელი.

*„პრესაში ისეთ სტატიებს ვკითხულობ, სულ უფრო და უფრო მეპარება ეჭვი იმაში, რომ ვან გაალი „ბაიერნის“ მწვრთნელი გახდება,“* - წუხს ჰიონესი. ჰოლანდიური კლუბის პრეზიდენტი **დირკ შერინგა** ყველანაირად ცდილობს ვან გაალის შენარჩუნებას და მის უსასყიდლოდ გაშვებაზე არაფრის მოსმენა არ სურს. „ბაიერნს“ კი ვან გაალში ფულის გადახდა არ უნდა. თუმცა ლუისი ცდილობს, შერინგა გაშვებაზე დაითანხმოს და ჰიონესს კი იმედი აქვს, რომ ვან გაალი „ალკმაარის“ პრეზიდენტს დაითანხმებს. იმ შემთხვევაში, თუ ლუისმა ეს ვერ შეძლო, „ბაიერნის“ შეფებმა ალტერნატივაზე უნდა იფიქრონ. ფაქტი ერთია: რეკორდმაისტერი „ალკმაარს“ ფულს არ გადაუხდის. ფაქტია ისიც, რომ ჰიონესი წნეხის ქვეშ ჯერჯერობით არ არის მოქცეული. იმიტომ, რომ მას ჰაინკესის სახით წარმატებული დროებითი მწვრთნელი ჰყავს? შესაძლოა, მაგრამ ცნობილია, რომ იუპის ბავარიული ეპოპეა აუცილებლად ამ სეზონთან ერთად დასრულდება.

**გოტფრიდ ლენცი**

მილანი–იუვენტუსი. გამოხმაურება

# რანიერის ბედი დღეს გაირკვევა

## ანჩელოტიმ მილანთან კონტრაქტი გააგრძელა

„მილანი“-„იუვენტუსის“ შედეგმა ორივე გუნდის გულშემატკივრები გაანბილა. ტურინელებს მეორე ადგილზე გასვლა აქვთ დასახული მიზნად და ბუნებრივია, მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. „მილანმა“ კი ორი ქულის დაკარგვით, ლიდერთან ჩამორჩენის ხუთ ქულამდე შემცირების შანსი გაუშვა ხელიდან. შესაძლოა, „მილანი“ სკუდეტოზე აღარ ფიქრობს, მაგრამ თანაქალაქელთან კიდევ უფრო მიახლოება მაინც დიდი სტიმული გახლდათ „შავ-წითლებისთვის“. ამადაც იყო, რომ ეკვეთენ პირველივე წუთებიდან მეტოქის კარს და მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას.

იტალიაში ხშირად ხდება, როდესაც გუნდი საკუთარ ნახევარზე მაგრდება და ორ ხაზზე განლაგებულ ეშელონებად იცავს თავს. ამას, როგორც წესი, ცხრილის შუაგულში და ქვემოთ მდებარე გუნდები აკეთებენ გრანდებთან პაექრობისას და ეს არც არის გასაკვირი - მათ უბრალოდ რესურსი არ აქვთ თავისი თამაში მოახვიონ გაცილებით ძლიერ მეტოქეს. ასეთ შემთხვევაში, იოლი გამოსავალი საკუთარ საჯარიმოში გამაგრება და კონტრშეტევებზე თამაშია. სწორედ ასეთ სტილში იასპარეზა „იუვენტუსმა“ და ტიფოზების ნაწილი ალაშფოთა კიდეც. ეგ კი არა, ერთი შეხედვით საპატიო საყაიმო შედეგის მიუხედავად, „ვეკია სენიორას“ კრიტიკა არც პრესისგან დაკლებია. უნდა თამაშობდეს თუ არა პიემონტური გრანდი ისე, როგორც ჩემპიონატის ნებისმიერი აუტსაიდერი? - აი, ასეთი შეკითხვა დასვა ტურინულმა „ტუტო სპორტმა“ და სტატიაშივე უპასუხა, რომ ეს, უბრალოდ, სამარცხვინოა. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც მასმედიისგან რეცენზიები დაიმსახურა, **ვინჩენცო იაკვინტა** გახლავთ. „სკუადრა აძურას“ თავდამსხმელმა უდიდესი ენერგია ჩადო თამაშში და ის, რომ „იუვე“ მარცხს გადაურჩა, დიდწილად მისი დამსახურებაა. ლოგიკურია ისიც, რომ გამათანაბრებელი გოლი სწორედ იაკვინტამ გაიტანა.

რა ბედი ელის ყველაფერ ამის ფონზე **კლაუდიო რანიერის**, ვისაც „მილანთან“ ვერმოგების შემთხვევაში, გუნდიდან გაშვებას უწინასწარმეტყველებდნენ. გუშინ, „იუვენტუსის“ მმართველმა დირექტორმა **ჟან კლოდ ბლანმა** მწვრთნელის საკითხზე კომენტარი გააკეთა:

*„სამშაბათს კლუბის დირექტორატის შეხვედრა შედგება და სწორედ იმ თათბირზე გაეცემა აქტუალურ კითხვებს პასუხი. იქ გადაწყდება კლაუდიო რანიერის ბედიც, ასე რომ, ახლა ამ საკითხზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. კლაუდიოს დარჩენა-არდარჩენის საკითხზე ყველანი ერთად ვიმსჯელებთ და რალაც გადაწყვეტილებამდე მივალთ. თუმცა, ის, რომ რანიერი სეზონის ბოლომდე უთავკაცებს გუნდს, წყალი არ გაუვა. ბევრმა დაწერა, რომ „მილანთან“ ვერმოგების შემთხვევაში, რანიერი უმალ დატოვებდა „იუვეს“, ეს წინასწარვე გამორიცხული იყო. რაც შეეხება „როსონერისთან“ თამაშს, დიდად კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. „მილანმა“ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და ალბათ გამარჯვებასაც იმსახურებდა. გუნდში რომ საკადრო ცვლილებებია მოსახდენი, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ამავე აზრზე არიან დირექტორატის წევრებიც და ძალიან გვაინტერესებს, რა პოზიციას დაიჭერს თავად რანიერი. მისი ბედი იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როგორ ხედავს მდგომარეობიდან გამოსავალს და დარჩენის შემთხვევაში, როგორი გუნდის გაკეთებას გეგმავს მომავალი სეზონისთვის“.*

თავად რანიერი კი იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ მის ამჟამინდელ „იუვენტუსს“ მწვერვალების დაპყრობა შეუძლია:

*„თამაშით მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ „მილანთან“ ვთამაშობდით და თანაც, მეტოქის მოედანზე. შესაძლოა, „როსონერი“ ტერიტორიულ უპირატესობას მართლაც ფლობდა, მაგრამ ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ტურინში რომ ყოფილიყო თამაში, სულ სხვა სურათი იქნებოდა. შეგირდებმა ჩემი დავალებები კარგად შეასრულეს და მათ მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს. ბოლო კვირებში მართლაც ცუდად ვასპარეზობდით და იმედი მაქვს, ეს თამაში წარმატების დასაბამი გახდება. ვგრძნობ, რომ ამ გუნდს დიდი შედეგების მიღწევა შეუძლია, მთავარია, მოვინდომოთ და ის ხარვეზები აღმოვფხვრათ, რომელიც სახეზეა“.*

რანიერის სიტყვებიდან გამომდინარე, „მილანთან“ შეხვედრაში „იუვენტუსმა“ მოედნის ცენტრი განგებ დათმო, მაგრამ ამ მოსაზრებას ჟურნალისტთა ნაწილი არ იზიარებს. „გაძეტა დელო სპორტის“ ანალიტიკოსის აზრით, „ვეკია სენიორა“, უბრალოდ, აიძულეს ასე ეთამაშა, რადგან „როსონერი“ მოედნის ცენტრზე იოლად გაბატონდა. ასეა თუ ისე, ფაქტი სახეზეა, „იუვენტუსს“ გაძლიერება სჭირდება და თანაც, ყველა რგოლში - წერს იგივე „გაძეტა“. ყველაზე უფრო ნაკლებად ეს თავდასხმის ხაზზე ითქმის, აი, ნახევარდაცვა კი მართლაც გადასახალისებელია. თუ რანიერი მომავალ სეზონშიც **მარკიონის, მარკიზიოს, პოულსენის** და **ტიაგოს** იმედად აპირებს ყოფნას, მართლაც უკეთესი იქნება, თუ პოსტს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. ვნახოთ, მწვრთნელის საკითხი ალბათ დღეს გაირკვევა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

სამაგიეროდ, გარკვეულია **კარლო ანჩელოტის** საკითხი. გუშინ, „მილანის“ მესვეურებმა კარლეტოს ახალი კონტრაქტი დაუდეს მაგიდაზე და მწვრთნელსაც ბევრი აღარ უფიქრია - ანჩელოტიმ „მილანს“ 2012 წლამდე დაუკავშირა ბედი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება გაუმჯობესებული პირობებით არის შედგენილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მწვრთნელის მიმართ „როსონერის“ პატრონთა ნდობას.

არადა, ბოლო თვეებში კარლოს გარშემო უამრავი ჭორი გავრცელდა. ყველაზე ხშირად მის „ჩელსიში“ გადაბარგებაზე ლაპარაკობენ, სახელდებოდა „რეალის“ ვარიანტიც. ხან **ფლორენტინო პერესის** და ანჩელოტის მეგობრობაზე აპელირებდნენ, ხანაც იმაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ მწვრთნელი ინგლისურ ენას ეუფლება. ანჩელოტის „მილანური“ ეპოქა კი გრძელდება და დასასრულიც არ უჩანს. ამ სპეციალისტს საკუთარი ხელწერა აქვს და ვფიქრობთ, იგი იმსახურებს იმას, რომ ეწოდოს თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელი. სწორედ მის ხელში დასძლია „მილანმა“ ღრმა კრიზისი და ევროპული ფეხბურთის ელიტას დაუბრუნდა. ტიტულები კი ყველაფერზე ნათლად მეტყველებს: სკუდეტო, იტალიის თასი, ორი ჩემპიონთა თასი, ორი ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

ეს ტროფეები „მილანმა“ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების სინთეზით მოიგო. ასაკოვანი მოთამაშეები ანჩელოტისეულ „მილანში“ ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ და იქნებ, ესეც იყო იმ წარმატებების მთავარი ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ კარლეტოს საკადრო პოლიტიკას ხშირად აკრიტიკებენ, კლუბის მესვეურები მის ამ ხედვას ბოლომდე უჭერენ მხარს. მოვუსმინოთ **ადრიანო გალიანის**:

*„მწვრთნელთან ხელშეკრულება გავახანგრძლივეთ და ეს ძალიან მახარებს. ყველაზე უკეთ ანჩელოტის შეუძლია იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რომელიც სახეზეა და გუნდის ძველ სიმაღლეზე დაბრუნება. ბოლო შეხვედრებმა დამარწმუნა, რომ „მილანი“ ძველ ფორმას იბრუნებს. თუ მომავალ სეზონში ასევე ვიასპარეზებთ, ჩათვალეთ, სეზონი ტრიუმფალური იქნება. თუმცა, აქ მხოლოდ განვლილ თამაშებზე არ არის საქმე. ძალიან მომწონს ის კურსი, რომელსაც ანჩელოტი ატარებს. გამოცდილი ფეხბურთელების სიმრავლე „მილანის“ კოზირია, რაც გასულ წლებში არაერთხელ დამტკიცდა. მომავალ სეზონში სკუდეტოს და ჩემპიონთა ლიგის მოგებას ვგეგმავთ და ამ მიზნების მისაღწევად, ბრძოლებში გამობრძმედილი ფეხბურთელები გვჭირდება, გვყავს ახალგაზრდებიც, რაც ასევე ძალიან მიხარია. პატო, ფლამინი, სენდეროსი, ბონერა და თუნდაც, ანტონინი - მათზე ასევე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებ. „იუვენტუსთან“ თამაშზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. გუნდმა მთელი 90 წუთი შეტევაში გაატარა და სადაც სამართალია, უნდა მოგვეგო კიდეც. სკუდეტოს მოპოვების რეალური შანსი არც მოგების შემთხვევაში გვრჩებოდა, მაგრამ ლიდერთან მიახლოება კიდევ უფრო დიდ სტიმულს მისცემდა ჩვენს ფეხბურთელებს. წინ კიდევ სამი ტურია და დარჩენილი შეხვედრები აუცილებლად მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ“.*

**ლაშა ნიკლაური**



სატრანსფერო აურზაური

# ტრეზეგეს ძიებანი და რაიკაარდის შანსი


ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავა დავიდ ტრეზეგე ბაიერნში?

**სატრანსფერო ბაზარი სულ მალე გაიხსნება და შესაბამისად, სულ უფრო აქტიურდება ხმები ფეხბურთელების ამა თუ იმ კლუბში გადასვლა-გადმოსვლაზე. ბაზარს რამდენიმე ფავორიტი ფეხბურთელი ჰყავს და მათზე ყველაზე მეტს ჭორაობენ - დავიდ ტრეზეგე და ფრანკ რიბერი მუდმივად ხვდებიან სპორტული გამოცემების პირველ გვერდებზე. ბევრს ლაპარაკობენ ასევე ფრანკ რაიკაარდის პერსპექტივაზე. ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ერთი წელიწადი დაისვენა და მუშაობას, ალბათ, სიამოვნებით დათანხმდება. მაშ ასე...**

## ინგლისური ტრანსფერები

**დიდიე დროგბამ** შეიძლება მაინც დატოვოს ლონდონი და საცხოვრებლად მილანს მიაშუროს. „ინტერში" ხომ მისი ფავორიტი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** მუშაობს. თუკი პორტუგალიელმა **იბრაჰიმოვიჩი**-დროგბას დუეტი შეკრა, მის ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის, რომ მიუხედავად ფეხბურთელის მიერ რამდენჯერმე გამოთქმული სურვილისა, „ჩელსიში" დარჩენა მინდაო, „არისტოკრატების" ხელმძღვანელობას მისთვის ახალი კონტრაქტი ჯერ არ შეუთავაზებია. ივუარელის მოქმედ ხელშეკრულებას კი ვადა 2010 წელს გასდის. მიუხედავად დროგბას ასაკისა (31 წელი), სატრანსფერო ღირებულება მართლაც სოლიდურია - 25-დან 30 მილიონ ევრომდე. შეიძლება მისი ტრანსფერი ერთმა გარემოებამ დააბრკოლოს - მოგეხსენებათ, „ბარსასთან" თამაშის შემდეგ მან **ტომ ჰენინგ ოვრებოს** დაუნანებლად აგინა, რის გამოც, სავარაუდოდ, ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას მიიღებს. ასეთ შემთხვევაში, მისი ტრანსფერი, რა თქმა უნდა, არ შედგება.

„დეილი მეილის" ინფორმაციით, „მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობა **მარკ ჰიუზის** მუშაობით უკმაყოფილოა და მის შემცვლელს ეძებს. ლაპარაკია, რომ მომავალი წლიდან მსოფლიოში ყველაზე მდიდარ კლუბს **ფრანკ რაიკაარდი** ჩაიბარებს. ჰოლანდიელის სამსახურით დაინტერესებულები არიან ასევე ამბიციამოძალებული „ვოლფსბურგი" და „აიაქსი". ზუსტად ერთი წელია, რაიკაარდს არსად უმუშავია.

„დეილი მირორის" ცნობით, პირველი ლიგის პლეი ოფში გამარჯვებული „ლესტერ სიტი" ახლოსაა „მიდლსბროს" მეკარის, 24 წლის **როს ტერნბულის** გადაბირებასთან. სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი ხდება. აღსანიშნავია, რომ თუკი ეს ტრანსფერი შედგა, ფეხბურთელს ყოფილ გუნდთან დაპირისპირების შანსი მომავალ სეზონშივე მიეცემა. „მიდლსბრო", მოგეხსენებათ, ჩემპიონშიფში დაქვეითებასთან ძალზე ახლოს დგას.

„იფსვიჩის" თავკაცმა **როი კინმა** უკვე განსაზღვრა იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომელთაც ის სეზონის დასრულებისთანავე მოიშორებს. ესენი არიან მცველები **კურტ რობინსონი** და **ივან კამპო**, ნახევარმცველები **ტომი მილერი** და **იაი რიზონი**, ასევე თავდამსხმელები **ბილი კლარკი** და **დინ ბოდვიჩი**.

„დერბი ქაუნთიმ" 250 ათასი გირვანქა შესთავაზა „ბლეკპულს" 26 წლის ცენტრალური მცველის **შონ ბარკერის** სანაცვლოდ.

## იტალიური ტრანსფერები

„კიევომ" ყურადღება მიაქცია 22 წლის ნიჭიერ ცენტრალურ მცველ **ლეონარდო ბონუჩის**. მისი სატრანსფერო უფლებები „ინტერს" ეკუთვნის, ბონუჩი „პიზაში" მხოლოდ იჯარით თამაშობს. თუკი მისი ყიდვა არ გამოუვიდათ, „მფრინავი ვირები" ფეხბურთელის იჯარით გადაყვანას მაინც შეეცდებიან.

„რომა" მარჯვენა მცველის **მარკო მოტას** შენარჩუნებას გეგმავს. მარკო მარადიულ ქალაქში „უდინეზედან" იჯარის წესით თამაშობს. ფეხბურთელის სანაცვლოდ, „ჯალოროსი" ფრიულურ კლუბს 3,5 მილიონ ევროსა და **მარკო ანდრეოლის** სატრანსფერო უფლებებს სთავაზობს.

„რომა" დაინტერესებულია „კალიარის" 26 წლის კარის დარაჯის **ფედერიკო მარკეტის** სამსახურით. ფეხბურთელს სიცილიურ კლუბთან ხელშეკრულება 2012 წლამდე აქვს გაფორმებული. გარდა „რომასი", მისი შეძენა „ნაპოლისაც" უნდა. ფეხბურთელის სავარაუდო სატრანსფერო ღირებულება 3,5 მილიონი ევროა. ინფორმაციას დაინტერესებულ კლუბებზე თავად ფეხბურთელის აგენტი ავრცელებს.

გთავაზობთ კიდევ ერთ ინფორმაციას „რომაზე". „ჯალოროსი" „ინტერის" ვეტერანი არგენტინელი ცენტრფორვარდით, **ხულიო კრუსით** არის დაინტერესებული. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელმა შეიძლება არათუ კლუბი, ქვეყანაც კი შეიცვალოს და ესპანეთში გადაბარგდეს. იქ მისით „ატლეტიკო" და „ვილიარეალი" არიან დაინტერესებულნი.

„გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „ჯენოა" მომავალი სეზონისთვის „ბარის" 24 წლის მარცხენა ნახევარმცველის **სტეფანო გუბერტის** შეძენით არის დაინტერესებული. ვინგერის ხელშეკრულება სეზონის დასრულებისთანავე იწურება.

„იუვენტუსს" კვალიფიციური მარცხენა მცველის შეძენა სურს. „ვეკია სინიორამ" თვალი „ბარსას" ფრანგ ფეხბურთელ **ერიკ აბიდალს** დაადგა. გარდა აბიდალისა განიხილება ლივერპულელი **ანდრეა დოსენასა** და ლიონელი **ფაბიო გროსოს** კანდიდატურები. ამ უკანასკნელით მოულოდნელად „ბაიერნიც" დაინტერესდა. გუშინ ისიც კი დაიწერა, კონტრაქტი დღე-დღეზე გაფორმდებაო.

თუკი **ჯანლუიჯი ბუფონი** „ბიანკონერიდან" წავა, მის ადგილს „ალკმაარის" 22 წლის არგენტინელი **სერხიო ხერმან რომერო** დაიკავებს. აღსანიშნავია, რომ რომერო იტალიის მოქალაქეც არის, რაც მის ტრანსფერს ერთიორად გააადვილებს. მართალია, ის მაღალი კლასის მეკარეა, მაგრამ ალკმაარელებს მასთან განშორება არ გაუჭირდებათ, რადგან ურთულესი ტრავმა მორიჩინა ხორვატიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ, 31 წლის **ჯო დიდულიცამ**. ჰოლანდიური „დე ტელეგრააფის" ინფორმაციით, „ბებერი ქალბატონი" რომეროში 5 მილიონ ევროს გადაიხდის.

მოსალოდნელია, რომ კლუბში გატარებული 10 წლის შემდეგ ტურინს დატოვებს ვეტერანი **დავიდ ტრეზეგე**. მიმდინარე სეზონში მას უკმაყოფილების სერიოზული საფუძველი აქვს, რადგან **კლაუდიო რანიერი** საერთოდ არ ენდობოდა. მართალია, რანიერი სეზონის ბოლოს კლუბიდან აუცილებლად წავა, მაგრამ თავად ფეხბურთელის განცხადებით, მას, უბრალოდ, გარემოს შეცვლა უნდა. ლაპარაკია, რომ ის „მარსელში" ან „ბაიერნში" გადავა. ცოტა ხნის წინ მის სახელს „ჩელსისაც" უკავშირებდნენ, მაგრამ ამ ბოლოს დროს ეს ხმები მიწყნარდა.

„ფიორენტინამ" „სამპდორიას" ოფიციალურად შესთავაზა **ანჯელო პალომბოსთან** დაკავშირებით მოლაპარაკებათა გამართვა. „იები" მზად არიან, 27 წლის საყრდენ ნახევარმცველში 8 მილიონი ევრო გადაიხადონ. „სამპის" ხელმძღვანელობა იტალიის ნაკრების წევრში 12 მილიონს ითხოვს. პრესა ვარაუდობს, რომ მხარეები, საბოლოო ჯამში, ალბათ, 10 მილიონზე მორიგდებიან.

## გერმანული ტრანსფერები

მიუხედავად იმისა, რომ 23 წლის **იან როზენტალს** „ჰანოვერში" საუკეთესო სეზონი ნამდვილად არ ჩაუტარებია, მისი სამსახურით ბილეფელდის „არმინია" მაინც დაინტერესდა. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ლიდერის სატრანსფერო ღირებულება სულ რაღაც 2,5 მილიონი ევროა. იანი ამჟამად ტრავმირებულია. ამის მიუხედავად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელმა ეს ნაბიჯი არ უნდა გადადგას, რადგან ეს კარიერული უკუსვლა იქნება.

„ჰოფენჰაიმს" 26 წლის შვედი ცენტრალური მცველი **პერ ნილსონი** აღარ სჭირდება. ფეხბურთელის ღირებულება 2 მილიონ ევრომდეა. სკანდინაველის შეძენის სურვილი გამოთქვეს „კიოლნმა" და „ვოლფსბურგმა". „მგლები" მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენენ, თუკი „მიდლსბროდან" 25 წლის **რობერტ ჰუთის** გადაბირებას ვერ შეძლებენ.

ლისაბონის „ბენფიკა", „მანჩესტერ სიტი" და „ლიონი" „ჰერტას" 24 წლის თავდამსხმელის რაფაელის, იმავე **რაფაელ გაეტანო დე არაუჟოს** შეძენას შეეცდებიან. ფეხბურთელის ღირებულება 4,5-დან 6 მილიონ ევრომდე ენება.

„აინტრახტს" „შალკედან" თურქი თავდამსხმელის **ჰალილ ალთინთოფის** შეძენა უნდა. 26 წლის შემტევი 5 მილიონი ევრო ღირს.

„ჰამბურგს" თურქული „ბურსასფორიდან" 19 წლის **სერქან ილდირიმის** ყიდვა სურს. ფეხბურთელი 3,5 მილიონ ევროდ არის შეფასებული. ჯერ კიდევ თინეიჯერი შემტევის კონტრაქტს ვადა 2011 წელს გასდის.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ბაიერნი" „იუვენტუსთან" და „ლივერპულთან" ბრძოლაში ჩაერთო. გრანდებს „ნაპოლის" არგენტინელი თავდამსხმელის **ეისეკილ ლავესის** შეძენა სურთ. ფეხბურთელი ძალიან ძვირი, 15 მილიონი ევრო ღირს. ნაკლებად სავარაუდოა, „ენაჭარტალა ულიმ" 24 წლის ფეხბურთელში ამხელა თანხა გადაიხადოს. თუკი ულიმ აღნიშნული თანხა მაინც გაიღო, ჩვენივე პირით ვაღიარებთ, რომ ფეხბურთში არაფერი გვცოდნია. არა... ული ამ ფულის გამღები არ არის.

არსენალი

# უსმანოვი ვენგერის პოლიტიკას აკრიტიკებს



არსენ ვენგერს კლუბის პერსპექტივაზე ბევრი ფიქრი უწევს

კვირას „არსენალი" თანაქალაქელი „ჩელსისგან" სასტიკად იგვემა. აი, რა კომენტარი გააკეთა თამაშის შემდეგ „მეთოფეთა" მთავარმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა**:

*„ეს ყველაფერი ძალზე რთულია... ვილაცისთვის ეს დადებითი შედეგი იყო, ვილაცისთვის უარყოფითი. ფაქტი კი ჯიუტია - 1:4 წავაგეთ. ჩვენთვის ეს დიდი იმედის გაცრუებაა. მიუხედავად კოშმარული ანგარიშისა, ეს იყო უაღრესად საინტერესო თამაში, რომელშიც ჩვენ რამდენიმე კარგი მომენტი გვქონდა ანგარიშის გასახსნელად. როცა მათ პირველი გოლი გაგვიტანეს, ჩვენ უკვე იმდენი მომენტი გვქონდა გაფუჭებული, რომ მინიმუმ, 2:0 უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ კი ისე მოხდა, შეტევაში ჩვენს ყოველ უხეშ შეცდომას ისინი გოლით პასუხობდნენ. ეს წაგება ნიშნავს, რომ პრემიერლიგის მესამე ადგილზე გასვლისა და ლიგის ჯგუფში ავტომატურად მოხვედრის შანსი საბოლოოდ დავკარგეთ. ყველაფერი დანარჩენი უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია. „ლივერპულმა" ოთხი გოლი გაგვიტანა, „მანჩესტერ იუნაიტედმა" - სამი, „ჩელსიმ" - ოთხი... ესე იგი, დაცვაში თამაში უნდა გავაუმჯობესოთ. ვილაც შეიძლება ელის, რომ ჩემი შემდეგი ფრაზა იქნება, „ჩვენ ოთხი მცველი უნდა ვიყიდოთ. არა! ჩემი აზრით, დაცვა ცუდად თამაშობს იმიტომ კი არა, რომ თავად ფეხბურთელები არიან დაბალი კლასის, არამედ იმის გამო, რომ მათ შორის ბალანსი დარღვეულია. დიახ, ჩვენ გვქონდა მესამე ადგილზე გასვლის შანსი და ის დავკარგეთ. მერე რა? გაიხსენეთ, რას წერდნენ ჩვენზე სამი თვის წინ. ზოგს ეგონა, რომ ჩემპიონატს მეათე ადგილზე დავასრულებდით. სიმართლე გითხრათ, მეოთხე ადგილით გულის ტკივილსა და იმედის გაცრუებას ვერ ვგრძნობ. ჩვენ ყურადღებით უნდა გავაანალიზოთ დაშვებული შეცდომები. დღევანდელ შეხვედრაში დადებითი მომენტიც მრავლად იყო. იმის შესახებ, რატომ დავმარცხდით ასე სასტიკად, დიდი ხანი უნდა ვიფიქროთ. ფაქტია, ანგარიში თამაშის ხასიათიდან არ გამოდიოდა. ჩვენ გარშემო შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა არცთუ იოლი საქმეა, მაგრამ სწორედ ამაშია საიდუმლო - ეს ძლიერი ადამიანების საქმეა. ჩვენ არანორმალური კონკურენციის პირობებში ვარსებობთ და ამიტომ ბედზე წუწუნი ჩვენი საქმე არ არის. დღეს ჩვენს ლიგაში ძალზე ხშირია, როცა სიმულანტი ფეხბურთელები თავისას ადვილად აღწევენ. ეს არასწორია, მაგრამ რას ვიზამთ? დარწმუნებული ვარ, რომ საჯარიმო, რომელსაც პირველი გოლი მოჰყვა, არ უნდა დანიშნულიყო. მსაჯი შეცდა, მაგრამ ეს მაინც არ არის იმის საფუძველი, რომ თუნდაც შეცდომით დანიშნული საჯარიმოს მოსაგებად არ უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენ ჩვენი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ, ჩვენი საქმე ვაკეთოთ. მსაჯობა ყოველთვის ასე იქნება - ზოგ გადაწყვეტილებას შენს სასარგებლოდ მიიღებენ, ზოგს შენს საწინააღმდეგოდ".*

არსენ ვენგერმა პრესასთან საუბრისას დაადასტურა, რომ მისი გუნდი ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე მეტნაკლებად იაქტიურებს. აი, რას აცხადებს ფრანგი:

*„სიმართლე გითხრათ, ამწუთას, რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელის შეძენა გადაწყვეტილი არ მაქვს. მეჩვენება, რომ მთავარია, გუნდმა დღევანდელი შემადგენლობის შენარჩუნება შეძლოს. ამას გარდა ორი-სამი ფეხბურთელის შეძენა აუცილებელი რომ არის, არც ამას უარვყოფ. მინდა, დაგიდასტუროთ, წინა ხაზის ფეხბურთელებს არ ვიყიდით, რადგან ამ მხრივ ჩვენთან უდიდესი კონკურენციაა. არ შევიძენთ ახალგაზრდებს, რადგან გუნდში გამოცდილი მეომრები გვჭირდება. თუკი რომელიმე ფეხბურთელს წასვლის სურვილი გაუჩნდება, არავის დავაყოვნებთ. ჩვენ ნებისმიერის შემცვლელს ადვილად მოვნახავთ"*, - განუცხადა მოსიე არსენმა კლუბის ოფიციალურ საიტს.

მთავარი მწვრთნელის აღნიშნული განცხადების შემდეგ ვენგერის კრიტიკით გამოვიდა რუსი მილიარდერი **ალიშერ უსმანოვი**. მოგეხსენებათ, ის „არსენალის" აქციათა 25 %-ს ფლობს. გთავაზობთ მის განცხადებას:

*„ზედიზედ უკვე რამდენიმე წელიწადია, კლუბს არაფერი მოუგია. ნაბიჯის წინ გადასადგმელად და მთელ ევროპაში დასაქუხებლად გრძელი სათადარიგოთა სკამი გვჭირდება. დააკვირდით, ჩვენთან შეხვედრაზე ვინ უჯდა „მანჩესტერ იუნაიტედს" რეზერვისტთა შორის - პოლ სქოულზი, რაიან გიგზი, კარლოს ტევესი, დიმიტარ ბერბატოვი, რაფაელ და სილვა... ამ ფეხბურთელების საერთო სატრანსფერო ღირებულება 100 მილიონ გირვანქას უკაკუნებს. ზაფხულზე საფუძველი უნდა ჩავუყაროთ ისეთ გუნდს, რომ მომავალი წლიდან ტიტულებისთვის ბრძოლა რეალურად მოვახერხოთ. ჩვენ ერთგული გულშემატკივრები გვყავს და ისინი იმაზე მეტ სიხარულს იმსახურებენ, ვიდრე დღეს ჩვენ ვჩუქნით".*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი ტრანსფერი

# ოუენით სელტიკი დაინტერესდა

„სელტიკი" „ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავით, **მაიკლ ოუენით** დაინტერესდა. მოგეხსენებათ, ამჟამად ფეხბურთელი „ნიუკასლის" ღირსებას იცავს და სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება. ამ დღეებში მაიკლმა კატეგორიული უარი განაცხადა, ესაუბრა სამომავლო გეგმებზე. მისი აზრით, ახლა ამის დრო არ არის, რადგან მის გუნდს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ელის პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. თუმცა ცნობილია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი „კაჭკაჭები" ელიტაში ადგილს შეინარჩუნებენ, 29 წლის ფეხბურთელი „სენტ ჯეიმს პარკზე" აღარ დარჩება. მან კლუბთან ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე თავაზიანი უარი განაცხადა, რადგან ასეთ უფხო და უამბიციო კლუბში კარიერის გაგრძელება აღარ ხიბლავს. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ხმები, თითქოს, მაიკლი „ენფილდზე" დაბრუნდებოდა, რასაც **რაფა ბენიტესის** კომენტარი მოჰყვა, ჩემს გუნდს მაიკლ ოუენი არ სჭირდებაო. ფეხბურთელის სამსახურით დაინტერესებულნი არიან ასევე „ევერტონი", „ასტონ ვილა" და „მანჩესტერ სიტი". პირველი ორისთვის ფეხბურთელის ხელფასი შეიძლება სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორი გამოდგეს. მაიკლი კვირაში 115 ათას გირვანქას ითხოვს. „სიტი" მზადაა, ვარსკვლავის ამბიცია დააკმაყოფილოს.

გუშინდელ „ნიუს ოფ ზე ვორლდში" საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა. ფეხბურთელთან ან მის აგენტთან კონტაქტზე გასვლას „სელტიკი" ცდილობს. გლაზგოელები მზად არ არიან, ფეხბურთელთან უპრეცედენტო დათმობაზე წავიდნენ და მისი სახელფასო მადა დააკმაყოფილონ, თუმცა კონტრაქტის ხელმოწერის შემთხვევაში მსხვილი ბონუსის გადახდას ყაბულს არიან. გარდა ამისა, ისინი ფეხბურთელს ყოველ ნათამაშებ შეხვედრაში სერიოზულ თანხას სთავაზობენ.

**შალვა ბიბილაშვილი**



ოუენს ამბიციურ კლუბში თამაში სურს

კომპეტენტური აზრი

# კრუიფი აიაქსს მისდგა

ლეგენდარული **იოჰან კრუიფის** განცხადებით, „აიაქსის" ბოლოდროინდელ წარუმატებლობებში **მარკო ვან ბასტენის** დადანაშაულება უპასუხისმგებლობაა და სხვა არაფერი. მისი აზრით, ამსტერდამული კლუბის ყველა უბედურება კლუბის მმართველი საბჭოსგან მოდის.

*„როცა შარშან ვან ბასტენმა „აიაქსი" ჩაიბარა, ხელმძღვანელებმა მეორე დღისთვისვე დაგეგმეს წარმატებები, - განუცხადა კრუიფმა ერთ-ერთ ჰოლანდიურ გაზეთს, - არადა, ეს მარკოსთვის საკლუბო სფეროში პირველი სეზონი იყო, მაშასადამე, დაშვებული შეცდომებიც ბუნებრივი იყო. ყველამ ვიცით, რომ შეცდომებს მხოლოდ ის უშვებს, ვინც მუშაობს. ასეთ სიტუაციას შეიძლება ნებისმიერ სფეროში გადააწყდე და ესეც ნორმალურია. „აიაქსში" წარმატების მიღწევა კი შეუძლებელია, რადგან თავად საკლუბო სტრუქტურა მუშაობს ცუდად, უფრო სწორად, არ მუშაობს. თუკი კლუბში უკეთესი ხელმძღვანელობა არ მოვა, მას არაფერი ეშველება. ვან ბასტენი უკვე მე-11 მწვრთნელია ბოლო წლების „აიაქსში". ეს ნიშნავს, რომ არც ერთი ამ მწვრთნელის ბრალი შექმნილ კრიზისში არ არის. წარუმატებლობებისთვის მომდევნო მწვრთნელიც განწირულია".*

რაც უნდა სამწუხაროდ ჟღერდეს, ეს ყველაფერი რეალობაა ისეთ დიდ კლუბში, როგორიც „აიაქსია". იმედია, სასიკეთო ძვრები უახლოეს თვეებში დაიწყება.

**შალვა ბიბილაშვილი**

ნიუკასლი

# შირერი ყველაფრისთვის მზად არის

**ალან შირერის** „ნიუკასლში" მისვლისთანავე თავად ვარსკვლავი აცხადებდა, რომ საქმეს ხელს მხოლოდ სეზონის ბოლომდე მოჰკიდებდა, შემდეგ კი ბრიტანეთის საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაბრუნდებოდა და საფეხბურთო ექსპერტად მუშაობას განაგრძობდა. როგორც გაირკვა, შირერმა პოზიცია შეიცვალა და შედეგის მიუხედავად, სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება სურს. მისი თქმით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, შეძლებს თუ არა კლუბი ელიტაში ადგილის შენარჩუნებას, თუკი ხელმძღვანელობა მას ახალ კონტრაქტს შესთავაზებს, ის ამას სიხარულით დათანხმდება.

გარდა განცხადებისა, ის პრაქტიკულადაც ადასტურებს, რომ კლუბში დარჩენა სურს. მან „ნიუკასლის" სამედიცინო შტაბი მეგობარ **პოლ ფერისს** ჩააბარა, ვინც „კაჭკაჭებში" ადრეც მუშაობდა. შირერმა ფეხბურთელებს ქცევის ახალი კოდექსი დაუწერა, რომლის დარღვევის პირველივე უხეში მაგალითის გამო გუნდიდან დაითხოვა **ჯოი ბარტონი**. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს, მას თანაგუნდელებთან ვარჯიშის საშუალება აღარ ეძლევა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ტოტენჰემი

# ლედლი კინგი ბოდიშს იხდის...

გუშინდელ ნომერში გაუწყებდით, რომ ღამის კლუბში ატეხილი ჩხუბისა და მასთან შედარებით ასაკოვანი კაცის გალახვის გამო ლონდონის პოლიციამ **ლედლი კინგი** დააკავა. ის მეორე დილასვე წარუდგინეს სასამართლოს, რომელმაც მას სერიოზული ჯარიმა გამოუწერა. ამის შემდეგ ფეხბურთელი პრესამ ჩაიგდო ხელთ. გთავაზობთ მის განცხადებას:

*„გულწრფელად ვწუხვარ, რომ ღამის თენებისა და დროს ტარებისას ძალზე შორს შევტოპე. პირადად უკვე მოვუხადე ბოდიში ჰარი რედნაპს. მესმის, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი მისაბაძი უნდა იყოს მინდორზეც და მის მიღმაც, რადგან ცხოვრებაში ჩვენი ფუნქცია მოზარდ თაობაზე დადებითი გავლენის მოხდენაა. მინდა, რაც შეიძლება მეტად გავაკეთო კონცენტრაცია ჩემს პროფესიაზე, ფეხბურთზე. ჩემი მიზანია, გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო იმაში, რომ ქულათა მაქსიმუმი მოიპოვოს და ცხრილში რაც შეიძლება მაღლა დამკვიდრდეს".*

„ტოტენჰემის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** ამ დღეებში საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც კლუბის სატრანსფერო გეგმებზე ილაპარაკა. მისი თქმით, „ტოტენჰემს" სერიოზული სამუშაოს ჩატარება მართებს, რათა შემდეგი სეზონისთვის ამბიციური ამოცანების გადაჭრა შეძლოს. შესაბამისად, კლუბს სერიოზული თანხები სჭირდება, რათა რედნაპის გეგმის ნახევარი მაინც შეასრულოს. ალბათ, გახსოვთ, რომ რედნაპმა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას უკვე სოლიდური თანხა, 41 მილიონი გირვანქა დახარჯა და გუნდში **რობი კინი, ჯერმეინ დეფო, პასკალ შიმბონდა** და **ვილსონ პალასიოსი** მიიღო. ამ დღეებში მან სპეციალური კრება გამართა, სადაც ხელმძღვანელობას უახლოესი სატრანსფერო გეგმები გააცნო. სანდო წყაროს მტკიცებით, მწვრთნელს რუსი **რომან პავლუჩენკო** არ სჭირდება, ამიტომ კარგი იქნება, თუკი მას სხვა კლუბში გაყიდიან, შემოსულ თანხას კი სხვა მოთამაშეში დააბანდებდნენ. ინგლისურმა პრესამ ცნობა აიტაცა და ამტკიცებს, რომ ფეხბურთელი ივნისში მოსკოვის „სპარტაკშივე" დაბრუნდება.

*„ხელმძღვანელობას ესმის, რომ კლუბს გაძლიერება სჭირდება. მათ ეს უბრალოდ იდეის დონეზე კი არ ესმით, ყოველმხრივ მიჭერენ მხარს. კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, რომ სერიოზული ფინანსების გარეშე პროგრესის მიღწევა შეუძლებელი იქნება. ვიცი, რომ გუნდს აქვს საამისო რესურსები. შემადგენლობაში დიდი გადაადგილებები არ მჭირდება. კარგი იქნება, თუკი გუნდში ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი მოვა. დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში, კლუბი შეძლებს ბევრად უფრო ამბიციურ მიზნებთან შეჭიდებას".*

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერი

# მორატიმ სკუდეტო დაიჯერა

## ბალოტელის თავს ისევ რაღაც ხდება

სერია A-ს გასულ ტურში, „ინტერმა" გასვლით პაექრობაში „კიევო" ვერ დაამარცხა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. მიუხედავად ამისა, გუნდი კიდევ უფრო დაუახლოვდა სკუდეტოს და ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ნერაძურის" პირველობაში ველარავინ შეეცილება. ამაში დამნაშავე „მილანია', ვინაც ლიდერის წაფორხილებით ვერ ისარგებლა და თავის მხრივ, ტურინის „იუვენტუსთან" ყაიმს გამორჩა. გუშინ, მასმედიასთან საუბრისას, ძალიან კმაყოფილი ჩანდა **მასიმო მორატი**. როგორც ჩანს, „ინტერის" პრეზიდენტმა იგრძნო სკუდეტოს მოახლოება, რაც მის სიტყვებშიც იკითხება:

*„ბოლო ტურებში გუნდი არცთუ დამაჯერებელია, მაგრამ მთლიანობაში სკუდეტოს რომ „ინტერი" იმსახურებს, ვფიქრობთ, ეჭვი ამაში არავის ეპარება. მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩავატარეთ, ბოლო ჩავარდნები კი გვეპატიება. დიდი მადლობა „იუვენტუსს", გუნდს, რომელმაც სკუდეტოსთან კიდევ უფრო მიახლოების საშუალება მოგვცა. ახლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონები გავხდებით, თუმცა ჯერ ზეიმს მაინც არ ვაპირებ. გავიფორმოთ ტიტული და მაგის დროც დადგება".*

მორატის **ზლატან იბრაჰიმოვიჩზეც** მოუწია საუბარმა. ამას წინათ, შვედმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ გამორიცხავს ჩემპიონთა ლიგა სხვა გუნდთან ერთად მოიგოს. მასიმომ იბრაჰიმოვიჩის მილანიდან აბარგება კატეგორიულად უარყო:

*„ზლატანი, ისევე როგორც გუნდის თითოეული წამყვანი ფეხბურთელი, გუნდში დარჩება და კარიერას „ინტერში" გააგრძელებს. ჩვენი მიზანი გაძლიერებაა და არა ფეხბურთელების გასხვისება. იბრას მიმართ ინტერესი დიდია, მაგრამ მისი გაშვება აზრადაც არ მოგვსვლია. რაც მთავარია, თავადაც არ სურს გუნდიდან წასვლა და მხოლოდ „ინტერზე" ფიქრობს. იმედია, ამ ჭორებს ბოლო მოეღება და პრესა სხვა თემებზე გადაიტანს ყურადღებას".*

ამასობაში, გაუგებრობაა **მარიო ბალოტელის** თავს. ეს ფეხბურთელი, ბოლო კვირებში, უკვე მეორედ ხდება ჟურნალისტთა ყურადღების ობიექტი. თავისთავად, ყურადღების ცენტრში ყოფნა ფეხბურთელისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ბალოტელის შემთხვევები განსხვავებული გახლავთ. რასისტული სკანდალი ყველას მოგეხსენებათ და იქ ყველაფერი ნათელი გახლდათ. კვირის შეხვედრაში კი მეტად უცნაური ფაქტი მოხდა. მარიომ „კიევოს" კარში ძალიან მნიშვნელოვანი, მეორე გოლი გაიტანა და ყველასთვის მოულოდნელად, ეს წარმატება არ აღუნიშნავს. საოცარია ისიც, რომ შავკანიან ფეხბურთელს არც თანაგუნდელებმა მიულოცეს. როგორც პრესა წერს, რასისტული შეძახილები ვერონაშიც გაისმა და ბალოტელი ძალიან გაღიზიანებული ჩანდა, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას გოლის არაღნიშვნასთან, ძნელი სათქმელია. მასმედია, ჯერჯერობით გაურკვევლობაშია და „ინტერის" ფეხბურთელებიც არაფერს ამბობენ - უბრალოდ ასეთი ფორმით აღვნიშნეთ წარმატებაო.

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ტიერი ანრი

# მომეჩვენა, რომ ბიჭები ზედმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ

## ფრანგი ფორვარდი დარწმუნებულია, რომ ფინალში ბარსა გაიმარჯვებს



**რამდენიმე დღის წინათ „ბარსელონამ" სასწაული მოახდინა და „სტემფორდ ბრიჯზე" გატანილი გოლის წყალობით კატალონიურმა გრანდმა ფინალის საგზური მოიპოვა. ამ შეხვედრაზე ძალიან ბევრი ვისაუბრეთ, ამიტომ ახლა მისი დეტალების გახსენებით თავს აღარ შეგაწყენთ. ჯობია, დრო აღარ დავკარგოთ და ტიერი ანრის ცინცხალ ინტერვიუს გავეცნოთ. ფრანგმა ფორვარდმა გუშინ „რადიო კატალონიის" ეთერში ისაუბრა...**

**- ტიერი, სანამ ჩემპიონთა ლიგაზე ვისაუბრებთ, არ შემიძლია, „ვილიარეალთან" მატჩზე არ გკითხოთ. „ყვითლებმა" ისევე გაგამწარეს, როგორც რამდენიმე დღით ადრე თავად თქვენ „ჩელსი" გაამწარეთ. რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა სტუმრებმა ბოლო წუთზე გაგიტანეს?**

- პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ „ჩელსისა" და „ბარსელონას" მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ლონდონელებმა ტიტულის მოპოვების შანსი დაკარგეს, ჩვენ კი პრიმერა დივიზიონს მომდევნო ტურში მოვიგებთ. ბოლო წუთზე გაშვებული გოლით გამოწვეულ განწყობას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ძალიან მეწყინა. მე არ მითამაშია, მაგრამ მომეჩვენა, რომ ბიჭები ზედმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ. არ ვაკრიტიკებ მათ, მეც სწორედ ეს პრობლემა შემექმნებოდა. არა უშავს, ტრაგედია ნამდვილად არ მომხდარა. ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა, ტიტული კვირასვე გაგვენაღდებინა, მაგრამ ეს საქმე ერთი კვირით გადაიდო.

**- ესპანეთის სამეფო თასზე უნდა გკითხოთ. რას ელით ამ შეხვედრისგან და თქვენ თუ ითამაშებთ?**

- არა. სამწუხაროდ, „რეალთან" შეხვედრაში მიღებული ტრავმა ამის საშუალებას არ მომცემს. გამოგიტყდებით, ძალიან მწყდება გული, მაგრამ სხვა გზა არ არის. დარწმუნებული ვარ, ბიჭები უპირატესობას შეხვედრის დებიუტშივე მოიპოვებენ და ამ სეზონის პირველ ტიტულსაც მოვიგებთ. ეჭვი არ მეპარება, რომ „ბარსელონა" „ბილბაოზე" ბევრად ძლიერია და ფინალს აუცილებლად მოიგებს.

**- ფრთხილად იყავით, ზედმეტმა თავდაჯერებულობამ ამ შეხვედრაშიც არ დაგსაჯოთ...**

- არა, ზედმეტი თავდაჯერებულობა არაფერ შუაშია. მე რეალისტი ვარ და ვიცი, რომ სამეფო თასის ფინალში აუცილებლად გავიმარჯვებთ.

**- ანრი, მზად ხართ „მანჩესტერთან" საბრძოლველად? ფინალში ითამაშებთ?**

- ამის დიდი იმედი მაქვს, თუ ჯანმრთელად ვიქნები და შემადგენლობაში დამაყენებენ, გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ თავს არ დავზოგავ და ბოლო წუთამდე ვიბრძოლებ. ძალიან ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ - თუ ფეხბურთელი ფეხბურთით არ არის გატაცებული, საქმე კარგად არ გამოუვა. ტიტულების მოგება იმიტომაცაა განუმეორებელ გრძნობასთან დაკავშირებული, რომ თამაშით სიამოვნებას იღებ. რაც არ უნდა მოხდეს, სანამ ფეხბურთელი მერქმევა, ვიცი, რომ ჩემი საქმე უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებს. მზადყოფნას რაც შეეხება, ჯერჯერობით, ვერ ვიტყვი, რომ ფინალისთვის მზად ვართ. წინ საკმაოდ დიდი დროა. ამ შეხვედრისთვის მაქსიმალურად უნდა მოვემზადოთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ სიურპრიზები გამოვრიცხოთ და გულშემატკივრები გავახაროთ. ძალიან ახლოს ვართ ამ დიდ მიზანთან და გამარჯვებისთვის თავი უნდა გავწიროთ. ღმერთს ვთხოვ, ავადმყოფობამ ამ დიად მატჩში მონაწილეობის საშუალებას არ მომისპოს.

**- „ბარსელონასა" და „მანჩესტერს" ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ადრეულ ეტაპზევე ფავორიტებად ასახელებდნენ...**

- ...და ახლა დიდი იმედი მაქვს, რომ ფინალის ტრიუმფატორი „ბარსა" გახდება. მიუხედავად იმისა, რომ საკადრო თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები გვაქვს, აბსოლუტურად ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ ფინალში ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე დავამარცხოთ და დაუვიწყარი დღესასწაული მოვაწყოთ. ჩვენ არაჩვეულებრივი დაცვა, ნახევარდაცვა და თავდასხმა გვყავს. ერთობლივი ძალისხმევით ნებისმიერ მეტოქეს დავამარცხებთ. მთავარია, საჭირო დროს შესაძლებლობები ბოლომდე გამოვამჟღავნოთ და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ.

**- თქვენი თანაგუნდელები როგორ განწყობაზე არიან?**

- ყველა ძალიან ბედნიერია და არაჩვეულებრივ ხასიათზეა. ჩვენ ყოველთვის გვჯერა, და ამას პრაქტიკულად ყოველდღე ვამტკიცებთ, რომ პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვართ და ნებისმიერი სირთულის ამოცანის გადაჭრა შეგვიძლია. ბუნებრივია, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ყველას ძალიან გვინდა. ეს განსაკუთრებული ტურნირია და ნებისმიერ სეზონში განსაკუთრებულ ემოციებთანაა დაკავშირებული. გულშემატკივრების გასაგონად ვამბობ - როგორც ყოველთვის, ბიჭების თვალებში ახლაც უდიდეს ოპტიმიზმს ვხედავ. ისევ ჩემს საფირმო ფრაზას ვიტყვი - როცა თვალებში ცეცხლი გინთია, ძალიან ბევრ რამეს მიაღწევ.

**- დავუშვათ, ისე მოხდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე ვერც ესპანეთის ჩემპიონები გახდით და ვერც სამეფო თასს დაეუფლეთ. ამ შემთხვევაში, „მანჩესტერი" უპირობო ფავორიტი იქნება?**

- ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ მოხდეს. სიმართლე გითხრათ, არ მესმის, რატომ დამისვით ასეთი კითხვა. უბრალოდ, გამორიცხულია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე ისე მივიდეთ, ტიტულები ვერ მოვიპოვოთ. კიდევ გეუბნებით - ეს გამორიცხულია! არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩვენს შესაძლებლობებში ეჭვი გეპარებათ.

**- ახლა უკვე მე არ მესმის თქვენი. თუ ჩემპიონები ვერ გახდებით, მე რატომ უნდა გამიხარდეს?.. თუმცა ახლა ამაზე ნუ ვისაუბრებთ. შემდეგი კითხვა - მანჩესტერელ ფეხბურთელებს როგორ შეაფასებთ?**

- „მანჩესტერს" უდიდესი ტრადიცია და წარსული აქვს. ის მოქმედი ჩემპიონია, ამით ყველაფერია ნათქვამი. სერ ალექსის ბიჭები ძალიან ძლიერი ფეხბურთელები არიან და ისინი მაქსიმალურ წინააღმდეგობას გაგვიწევენ. კრისტიანო რონალდო, ტევესი, რუნი, ბერბატოვი, ფერდინანდი და ვან დერ სარი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეთა შორის არიან. გამოგიტყდებით, „მანჩესტერის" წინააღმდეგ თამაში ყოველთვის განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებდა.

**- მახსოვს, სეზონის დასაწყისში პეპ გვარდიოლასთან პრობლემები გქონდათ. ახლა როგორი ურთიერთობა გაკავშირებთ მასთან?**

- მთავარ მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. მართალია, სეზონის დასაწყისში ის ნაკლებად მწყალობდა და ერთი ხანობა გუნდიდან წასვლაზეც ვფიქრობდი, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ და ძალიან კარგად მესმის, რომ გუნდში დიდი კონკურენციაა. მწვრთნელი ვალდებულია, საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედოს და კლუბის კეთილდღეობისთვის ყველაფერი გააკეთოს.

**- აბიდალს ზედიზედ მეორედ წითელი ბარათი უჩვენეს. რა ხდება? ნერვები ღალატობს მას? თუმცა უნდა ითქვას, რომ ის ორივეჯერ საეჭვო სიტუაციაში დასაჯეს...**

- ის ჩემი მეგობარია, მაგრამ მხოლოდ იმის გამო არა, რომ ფრანგია. სამწუხაროდ, ერიკს გარკვეული პრობლემები შეექმნა. ჩემთვის მიზეზი სრულიად უცნობია. ვერ ვხვდები, მსაჯებმა მის თამაშში უკანონო რა დაინახეს. მას არაფერი დაუშავებია. აბიდალი თავდადებული ადამიანია და ყოველთვის მაქსიმალური შემართებით იბრძვის. თუ რამე არ გამოსდის, ძალიან განიცდის ხოლმე... მანახეთ თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც საკუთარ საქმეს უშეცდომოდ აკეთებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ერიკს შეცდომა მართლა არ დაუშვია.

**- ისევ „მანჩესტერს" დავუბრუნდები და გავიხსენებ, რომ ინგლისელებთან მატჩზე ძალიან მსუბუქად და თავისუფლად ლაპარაკობთ. არადა, „იუნაიტედი" გრანდია. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ზედმეტად ოპტიმისტურად ხართ განწყობილი? ეიფორიაში ხომ არ ხართ?**

- არა, ჩვენ პროფესიონალები ვართ, პროფესიონალები კი ეიფორიაში არ ვარდებიან. ყოველ შემთხვევაში, მე ამის დიდი იმედი მაქვს. ოპტიმიზმი ძალიან კარგია, ამის გარეშე რა უნდა გააკეთო? თუ გამარჯვების იმედი არ გაქვს, შიში შეგიპყრობს და ფეხები აგიკანკალდება. მთავარია, ცრუ ოპტიმიზმმა არ გძლიოს. „ბარსელონას" ეს არ ემუქრება. ჩვენს შესაძლებლობებს ვიცნობთ და ყოველთვის იმ მიზნებს ვისახავთ, რომლის გადაჭრის უნარიც შეგვწევს.

**- ფინალში გოლს გაიტანთ?**

- არ ვიცი, რამდენად მომცემს „მანჩესტერი" გოლის გატანის საშუალებას. მთავარია, გამოვჯანმრთელდე და შემადგენლობაში მოვხვდე. ისე კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გუნდური ინტერესებით ვიმოქმედებ. არ შეიძლება, გოლის წყურვილსა და ეგოიზმს ჩემპიონთა ლიგის ფინალი გადააყოლო.

ბარსელონა

# ინიესტა ითამაშებს, ბოიანი მიდის...



„ვილიარეალთან" მატჩში „ბარსელონას" დიდი უსიამოვნება შეემთხვა. კატალონიურმა გრანდმა ვადამდელი ჩემპიონობა ბოლო წამებზე დაკარგა და ეს საქმე მომავლისთვის გადადო. **მანუელ პელეგრინის** ბიჭებთან მატჩი მასპინძლებისთვის ორმაგად სავალალო გამოდგა. საქმე ის არის, რომ საკვირაო დაპირისპირებაში **ანდრეს ინიესტამ** ტრავმა მიიღო და მარჯვენა ტერფის ტკივილის გამო ესპანეთის სამეფო თასის ფინალს გამოტოვებს. თავიდან ფიქრობდნენ, რომ ანდრესი ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც დააკლდებოდა, მაგრამ ბოლო გამოკვლევამ ცხადყო, რომ ინიესტას გამოჯანმრთელებას ბევრად ნაკლები დრო დასჭირდება და ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერი რომაული ფინალისთვის მზად იქნება.

პრიმერა დივიზიონის მოყვარულებს, შესაძლოა, ახსოვდეთ, რომ მიმდინარე სეზონში **ბოიან კრკიჩმა** „ალმერიას" კარში ორი გოლი გაიტანა. ახალგაზრდა ფორვარდმა „ბარსას" გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა და პრესის საუკეთესო შეფასებაც დაიმსახურა. ეს შემთხვევა იმისთვის გავიხსენეთ, რომ ბოიანს სწორედ „ალმერიაში" გადაბარგების შესაძლებლობა მიეცა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, კრკიჩი მომავალი სეზონიდან პროვინციულ კლუბში იჯარის წესით ითამაშებს. წამყვანმა გაზეთებმა ახალგაზრდა ფორვარდს მათი გამოცემების ტრიბუნა დაუთმეს. კრკიჩმა ასეთი განცხადება გააკეთა:

*„რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში ვთამაშობ. ჩემი ასაკის ფეხბურთელისთვის ეს უკვე დიდი წარმატებაა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ თამაში ძალიან მიჭირს. ამის მიზეზი „ბარსელონაში" ვარსკვლავების სიმრავლეა. კონკურენცია ძალიან დიდია. თავდაუზოგავად ვვარჯიშობ და ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ყოველ შეხვედრას მაქსიმალურად მომზადებული შევხვდე. ცხადია, შრომის გარეშე არაფერი გამოვა, მაგრამ წარმატებისთვის მხოლოდ ეს არ კმარა... ამიტომ, ჩემთვის უკეთესი იქნება, სხვა გუნდში გადავალ, ოღონდ, მხოლოდ იმ პირობით, თუ იჯარით გამასხვისებენ და უკან დაბრუნების შესაძლებლობა მომეცემა. აუცილებლად პროგრესის გზით ვიარო. „ბარსელონაში" ვარჯიში დიდ გამოცდილებას მაძლევს, მაგრამ სისტემატურად თამაში სულ სხვაა. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. გადაწყვეტილების მიღებამდე სერიოზულად დავფიქრდები და ნაბიჯს მხოლოდ ამის შემდეგ გადავდგამ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო კომიტეტში



# ლონდონელი ექსპერტები თბილისში

## საქართველოში გვექნება ბავშვთა სპორტის განვითარების კონცეფცია

ხუთი კვირის წინათ "ლელო" იუწყებოდა, რომ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტთან (თავმჯდომარე **გია ასანიძე**) არსებულმა საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭომ (თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**) ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პრობლემებზე მუშაობის პირველი ეტაპი იმით დაასრულა, რომ გამოცხადდა ტენდერი ევროპული გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მოწვევაზე. საბოლოოდ 48 საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოთქვა თანადგომის სურვილი. საბჭომ კი არჩევანი ლონდონის „იეს სპორტ ტრასტზე" შეაჩერა. და აი, როგორც გეგმით იყო გათვალისწინებული, ლონდონიდან ჩამოვიდა ორი ცნობილი ექსპერტი **ნიკოლას პინკი და ალან ბელი.** გუშინ ზემოხსენებულ კომისიაში შედგა ინგლისელი და ქართველი ექსპერტების შეხვედრა.

ვ. შუბლაძემ თავიდანვე დაასახელა ის მიზეზები, თუ რატომ შეჩერდა არჩევანი ლონდონის ჯგუფზე. მანვე დაწვრილებით გააცნო სტუმრებს ბავშვთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში არსებული ძველი სისტემა, რათა მათ წარმოდგენა ჰქონოდათ, თუ სად გაწყდა ჯაჭვის რგოლი და რისი გათვალაა საჭირო ქართული ტრადიციების და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. მანვე აღნიშნა, რომ სასურველია ექსპერტებმა წარმოადგინონ ევროპის რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება, რათა გაჩნდეს არჩევანის შესაძლებლობა. ვ. შუბლაძის განმარტებები და პრობლემების ხედვა ორიენტირებული იყო კონკრეტულ საბოლოო შედეგზე, რამაც უცხოელთა კმაყოფილება გამოიწვია. სტუმრების აზრით, ეფექტური იქნებოდა ქართველი სპეციალისტების გაგზავნა ევროპაში იქაური მოდელების ახლოს გასაცნობად. როგორც ნიკოლას პინკმა თქვა, დიდი ბრიტანეთის სკოლებში ათი სავალდებულო სასწავლო საგანი



ნიკოლას პინკი

ყოფილა და მათ შორისაა ფიზიკური აღზრდა.

— ქართველი და ლონდონელი ექსპერტები ერთად იმუშავებენ მომავალ კონცეფციაზე. მუშაობის პროცესში და შემდეგაც ბევრი ორგანიზაციული საკითხი იქნება მოსაგვარებელი. პარლამენტს და მთავრობას წარვუდგენთ ობიექტურ სურათს, რომელშიც ასახული იქნება კონკრეტული გზები პრობლემების დასაძლევად — გვითხრა ვაჟა შუბლაძემ.

აქვე დავძენთ, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადადგმულია — როგორც „ლელო" ადრე წერდა, გაიმართა განათლების, ჯანდაცვის და სპორტის საპარლამენტო კომიტეტების ერთობლივი სხდომა.

უცხოელ ექსპერტებთან გუშინდელ შეხვედრას ესწრებოდნენ დაინტერესებული სამინისტროების წარმომადგენლები. თავისი ხედვა წარმოადგინეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავამ** და სპორტის აკადემიის პროფესორმა **ედიშერ მაჩაიძემ.**

შეხვედრის შედეგები გია ასანიძემ შეაჯამა.

**თენგიზ თომაშვილი**

წყალბურთი

# საქართველო შემდეგ ეტაპზეა

საქართველოს ნაკრებმა, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შემდეგ რაუნდში გასვლა საწყის ორ მატჩში ფინეთისა (15:4) და ირლანდიის (24:8) ძლევის წყალობით დაიბევა. ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადიოდა, ამიტომ ბოლო ტურში მასპინძელ მალტასთან შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამის მიუხედავად, ამ გუნდთან განცდილი მარცხი, თანაც უფრო მსაჯთა არაობიექტურობის წყალობით, არცთუ სასიამოვნოა. ჩვენმა გუნდმა 5:11 წააგო.

საქართველოს ნაკრებმა მალტელებთან ამ შემადგენლობით ითამაშა: **ქუმბურიძე, ქენქაძე, კოტარია, რაფავა, ლაითაძე (1 გოლი), ბუტიკაშვილი, ხვედელიანი (1 გოლი), ტატიშვილი, რურუა (1 გოლი), გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი (2 გოლი), ჯაფარიძე, ასათიანი.**

ჯგუფის სატურნირო ცხრილმა ასეთი სახე მიიღო:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალტა | 3 | 3 | 0 | 0 | 53:15 | 9 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 44:23 | 6 |
| 3. ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 20:46 | 3 |
| 4. ფინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 8:41 | 0 |

შემდეგ რაუნდს სექტემბერში შვეიცარიის ქალაქი ლუგანო უმასპინძლებს. A კლასში მოსახვედრად ოთხგუნდიან ჯგუფში მინიმუმ მეორე ადგილის დაკავებაა საჭირო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ძიუდო

# ვარლამ ლიპარტელიანი: ჩემი ბრალია, უნდა მეაქტიურა

**ორიოდე კვირა გავიდა, რაც თბილისის სპორტის სასახლემ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. მაშინ ყველაზე მეტი ვნებათაღელვა 90 კილოში ფინალურმა შეხვედრამ გამოიწვია, სადაც ქართული ძიუდოს იმედი ვარლამ ლიპარტელიანი და 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი ანდრეი კაზუსიონაკი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ქომაგები ელოდნენ, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ლიპარტელიანი ავიდოდა. მართალია, იგი ჯერ მხოლოდ ოცი წლისაა, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის საკმაო გამოცდილება დააგროვა: შარშან ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის პირველობები მოიგო, ავსტრიასა და მოსკოვში მსოფლიოს თასები მოიპოვა, იაპონიის გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი სამი მეტოქის დამარცხებით ნაკრების წარმატებაში საკუთარი წვლილიც შეიტანა.**



ვარლამ ლიპარტელიანი

წლევანდელი სეზონისთვისაც საფუძვლიანად მოემზადა: ჯერ „ისტანბულის" შემადგენლობაში თურქეთის საკლუბო ჩემპიონატზე ხუთი შეხვედრა მოიგო, მერე თბილისის მსოფლიოს თასზე პირველი ადგილი დაიკავა. ევროპის ჩემპიონატის წინ ორი საწვრთნელი შეკრება გაიარა. სპორტის სასახლეში ზედიზედ ოთხ კონკურენტს სძლია. ფინალში, როგორც აღვნიშნეთ, ბელარუს ანდრეი კაზუსიონაკს შეხვდა.

— ეს ჩვენი მესამე პაექრობა იყო. შარშან რიგის ტურნირზე პირველი ორთაბრძოლა ვაზარით მოვუგე, — მითხრა ვარლამმა. — წლეულს თბილისის მსოფლიოს თასის ფინალში ვაჯობე. საშიში მეტოქეა, სამბოში სამგზის მსოფლიოს ჩემპიონს კარგად აქვს დამუშავებული თავზემოთ უკუგდება. თბილისის ტურნირზე სწორედ ამ ფანდით სცადა ჩემი დამარცხება, მაგრამ ილეთზე გამოვიჭირე და შებოჭვით ვძლიე. ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში რომ გავედით, ეს ვინატრე — გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ნეტავ კაზუსიონაკი დამიპირისპირდებოდეს-მეთქი. ოცნება ამიხდა, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, სწორედ, ამაზეა ნათქვამი. სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით, ფინალში რატომღაც ჭიდაობის ტაქტიკა შევცვალე: გამარჯვებაში ზედმეტად თავდაჯერებულმა ინიციატივა მეტოქეს დავუთმე. დარწმუნებული ვიყავი, იგი აუცილებლად გამოიყენებდა თავის საყვარელ ილეთს და სწორედ იმ მომენტში ვაპირებდი მის დამარცხებას, როგორც მსოფლიოს თასზე. ამჯერად უფრო ჭკვიანურად იჭიდავა — მარცხენა ხელი გამითიშა და ქამარში ჩავლებით საკმაოდ ეფექტური ფანდი გამოუვიდა. თუმცა, თავის მართლებაში ნუ ჩამითვლით და იპონი მაინც არ იყო — აკი, შუამავალმა არბიტრმა ეს გდება თავიდან ვაზარით შეაფასა. მერე გადაწყვეტილება შეცვალა და გვერდით მსაჯებს დაეთანხმა. რამდენჯერმე ვნახე ვიდეოჩანაწერი, ნამდვილად არ იყო იპონი, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს. ჩემი სტილით მეჭიდავა — აქტიური ვყოფილიყავი, შემეტია, ალბათ, შეხვედრას სასურველი შედეგით დავამთავრებდი.

ევროპის ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა. თბილისური დუელი გაკვეთილი იქნება ჩემთვის. მარცხის სიმწარე უნდა დავივიწყო და ახალი შეჯიბრებებისთვის მოვემზადო. როგორც ვიცი, მწვრთნელები წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზეც მანდობენ ნაკრებში ადგილს. ეს დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. კიდევ ერთი საშეჯიბრო სტარტს 4-5 ივლისს ბრაზილიაში დიდი სლემის ტურნირზე ავიღებ. მერე ბორჯომსა და ბაკურიანში გავივლი საწვრთნელ შეკრებას. ყველაფერს გავაკეთებ, რათა 26-29 აგვისტოს როტერდამში (ჰოლანდია) მსოფლიოს ჩემპიონატზე ქომაგთა იმედები გავამართლო.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



ქართული სპორტი

კალათბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. ფინალის წინ

# საუ ბერიშვილით და გვიმრაძით გაძლიერდა




მიხეილ ბერიშვილი

საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტ საუ-ს „ენერჯი-ინვესტთან" გადამწყვეტი სერიის წინ **მიხეილ ბერიშვილი** დაემატა. მიშა სეზონის დასაწყისშიც აგრარების ღირსებას იცავდა და ჩემპიონატის ერთ-ერთი სნაიპერიც იყო, თუმცა ნოემბერში NBA-ს განვითარების ლიგის დრაფტზე იგი "ოკლაჰომამ" აიყვანა. ბერიშვილი ამერიკაში ჩავიდა, რამდენიმე თვე დარჩა, მაგრამ ახალ გუნდში არ უთამაშია.

მიშა იანვარში სამშობლოში დაბრუნდა და ისევ საუ-ს მაისურა მოირგო (მაშინ "სასოფლო" ერქვა), თუმცა ამ სეზონში მეორედ მოუწია გუნდის დატოვებამ. იგი აგენტმა **ხუან კარლოს სებრიანმა** ბარსელონაში წაიყვანა და "ხუვენტუდის" მეორე გუნდში მოაწყო. მან ასევე "ვალიადოლიდის" შემადგენლობაში ესპანეთის ახალგაზრდული ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა... ქართველი ფორვარდი ესპანეთში უკონტრაქტოდ თამაშობდა და ფინალებისთვის საქართველოში დაბრუნებაში ხელი არ შეშლია.

მიშა ბერიშვილი საქართველოში ახლახან მეორედ დაბრუნდა და საუ-ს უკვე შეუერთდა. იგი პირველ ფინალშიც ითამაშებს, რომელიც 13 მაისს რუსთავში გაიმართება.

აქვე ერთ სიახლეზე – აგრარებს დაემატება აგრეთვე ფორვარდი **დავით გვიმრაძე**, რომელმაც ტრავმის გამო სეზონის ძირითადი ნაწილი გამოტოვა. დათო მწყობრშია და ფინალში სათამაშოდ ემზადება. ასე და ამგვარად, "ენერჯი" გადამწყვეტ სერიაში იოლ გასეირნებას არ უნდა ელოდეს.




ვიქტორ სანიკიძის შეტევა

ესტონეთის ჩემპიონატი

# მონადირე სანიკიძე

## როკი ფინალშია

"ტარტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატში ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩიც მოიგო და ფინალის საგზური მოიპოვა. **გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** თანაგუნდელებს "ველგის" ძლევა ამჯერად გაუჭირდათ, ოდენ 9 ქულის სხვაობით იმარჯვეს – 74:65.

თანაბარი სამი პერიოდის შემდეგ მატჩის ბედი მეოთხე პერიოდში გადაწყდა, რომელიც "ტარტუმ" 17:9 მოიგო.

გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი ვიქტორ სანიკიძემ შეიტანა. მან მატჩის ბომბარდირობა არც თანაგუნდელებს დაუთმო და არც მეტოქეებს. ვიქტორმა 21 წუთში 17 ქულა ჩააგდო, ისეთი სიზუსტით ისროდა, გამოცდილ მონადირესაც შეშურდებოდა: 7-დან 6 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი გამოიყენა. ქართველ ფორვარდს 21 წუთში ამდენივე ქულის მოგროვებაც შეეძლო, მაგრამ მის მიერ ნატყორცნი 4 საჯარიმო (ექვსიდან) მიზანს ასცდა. 3 მოხსნა და 2 პასი - აი, კიდევ რა გააკეთა სანიკიძემ.

გიორგი ცინცაძემ მატჩი ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 36 წუთი დაყო. სროლის სიზუსტე არც მას დაეწუნებოდა – 3-3 სამქულიანიდან და ორიანიდან 2-2 ტყორცნა გამოიყენა და მატჩი 11 ქულით, 3 მოხსნით, 2 დაფარებითა და 3 პასით დაასრულა. გიორგის მონაგარი კიდევ ორი სამიანით გამდიდრდა – 3-ჯერ დაჯარიმდა, მის წინაალმდეგ ამდენჯერ დაარღვიეს წესი...

ფინალში "ტარტუ როკი" მარადიულ მეტოქეს, "კალევს" დაუპირისპირდება. თუ მეხუთე მატჩის ჩატარება დასჭირდათ, იგი ტარტუში გაიმართება, რადგან რეგულარული ეტაპი "როკმა" მოიგო. იმასაც შეგახსენებთ, რომ გიორგი ცინცაძემ შარშანდელ ფინალში სწორედ "კალევი" დაამარცხა, ხოლო შარშანწინ ჩემპიონობა ტალინელებს დაუთმო.

ესპანეთის ჩემპიონატი

# ფუენლაბრადამ სეზონი დაასრულა

## ვალენსია ბარსელონას დაეჭიდება

**ნიკა ცქიტიშვილის** "ფუენლაბრადამ" სეზონის მთავარი მატჩი ჩაატარა, "ხუვენტუდს" უმასპინძლა. მადრიდელები გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფის საგზურს ინაღდებდნენ. სკიტას გუნდელებმა მატჩი კარგად დაიწყეს, 16:8 დაწინაურდნენ კიდეც (15 ქულა სამიანების შედეგი იყო), მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს "ხუვენტუდმა" მდგომარეობა გამოასწორა და მეორე პერიოდში მიღწეული 10-ქულიანი უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა. საფინალო სირენამ "ფუენლაბრადას" მარცხი დააფიქსირა – 84:101.

...არადა, მერვეადგილოსანმა "ბილბაომ" "ბარსელონასთან" 65:88 წააგო და ცქიტოს თანაგუნდელებს მერვე ადგილზე ასვლის კარგი შანსი ჰქონდათ. რეგულარული ჩემპიონატი "ფუენლამ" 15 მოგებითა და 17 მარცხით მეცხრე ადგილზე დაასრულა. სწორედ ასეთი შედეგი ჰქონდა "ბილბაოს", მაგრამ ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უკეთესი შედეგის წყალობით პლეი ოფში ბასკები გავიდნენ. მერვედფინალში "ბილბაო" ასევე ბასკურ ტაუ-ს დაუპირისპირდება.



ნიკა ცქიტიშვილი

ნიკა ცქიტიშვილი და მისი მეგობრები კი საკლუბო საქმისგან შემოდგომამდე თავისუფლები არიან.

ჩვენი გაზეთის მკითხველს ემახსოვრება, რომ ნიკამ ბოლოსწინა ტურში "ბილბაოსთან" მატჩში მუხლი დაიზიანა. მან ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ "ხუვენტუდთან" შეხვედრამ დაგვანახვა, რომ ბოლომდე მწყობრში არ ჩამდგარა. ცქიტიშვილი ამჯერად სასტარტო შემადგენლობაში არ გამოჩენილა, სულ 12 წუთი ითამაშა და 1 პასი მიითვალა. ნიკას სამივე ორქულიანი მიზანს ასცდა.

"ფუენლაბრადას" მსგავსად რეგულარული ჩემპიონატი "უგემურ" ზონაში დაასრულა **ტაირონ ელისის** "კახასოლმა". სევილიელებმა ბოლო მატჩიც წააგეს და მე-14 ადგილს დასჯერდნენ – 10 მოგება, 22 წაგება. "კახასოლი" "მენორკას" "გედის სიმღერას" ემსხვერპლა – 81:69. ტაირონმა მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და 25 წუთი ითამაშა. საქართველოს ნაკრების ამერიკელმა უკანახაზელმა 5-დან 3 სამქულიანი ჩააგდო, 1 ორქულიანიც მიაყოლა და 11 ქულას გამორჩა, რასაც 2 პასი და 1 მოხსნა მიამატა.

...რა შუაშია გედი და მით უმეტეს სიმღერა? – იკითხავს მავანი. საქმე ისაა, რომ **ვლადიმერ ბოისას** ყოფილმა გუნდმა "მენორკამ" უმაღლეს ლიგაში წლეულს ბოლო მატჩი ჩაატარა. იგი სატურნირო ცხრილში მე-16 იყო და მე-17-ადგილოსან "სარაგოსასთან" ერთად ქვედა ლიგაში დაეშვა. ამბობენ, გედი სიკვდილის წინ მღერისო...

ერთადერთი, ვინც ესპანეთის უმაღლეს ლიგაში შეგვრჩა, **თორნიკე შენგელიაა**. მისმა "ვალენსიამ" ტენერიფეზე "გრან კანარიასთან" 71:74 დათმო და რეგულარული ეტაპი მეშვიდე პოზიციაზე დაასრულა. კუნძულებზე გამართულ შეხვედრაში თოკოს მონაწილეობა არ მიუღია. მეოთხედფინალში "ვალენსია" "ბარსელონას" დაუპირისპირდება. ამ დუელს დამატებით ხიბლს ისიც სძენს, რომ სამი წლის წინათ "ბარსაში" ჩვენი ძველი ნაცნობი (ნაკრებიდან) **შემონდ უილიამსი** თამაშობდა, რომელიც ახლა "ვალენსიას" ლიდერია. ვნახოთ, რას იზამს იგი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. საინტერესოა ისიც, მიეცემა თუ არა თორნიკე შენგელიას პლეი ოფში თავის გამოჩენის საშუალება.

ხორვატიის ჩემპიონატი

# ბოისა მეორეა

**ვლადიმერ ბოისას** "ზადარს" რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად "გაბატონების" შანსი ჰქონდა. ამისთვის საჭირო იყო თანაბარქულიანი "ციბონას" დამარცხება, თუმცა საქმეს ისიც ართულებდა, რომ მატჩი "ციბონას" სარბიელზე იმართებოდა.

შეხვედრა თანაბრად დაიწყო და პირველი პერიოდის ანგარიშში ოთხი ერთნაირი რიცხვი დაფიქსირდა – 22:22. მეორე ათწუთეულში სიტუაცია მასპინძელთა სასარგებლოდ შეიცვალა. "ციბონამ" 19:9 იმარჯვა. მეორე ტაიმში "ზადარმა" თამაშის გამოსწორება მოახერხა სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა, მაგრამ გამარჯვებისთვის დრო არ ეყო. 71:69 – "ციბონას" სასარგებლოდ.

ვლადიმერ ბოისა სასტარტო ხუთეულში იყო და 29 წუთი ითამაშა. მან 9 ქულა, 4 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. შეტევაში ვოვა ჩვეული სიზუსტით ვერ გამოირჩა: 9-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, თუმცა პერიმეტრიდან 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა – 4-დან 2 სამიანი.

"ზადარის" ბომბარდირობა **დამირ რანჩიჩმა** ითავა – 24 ქულა მიითვალა.

"ციბონასთან" დაპირისპირებამდე "ზადარმა" სეზონის რეკორდი "გამოაცხო": "დუბროვნიკს" 128 ქულა ჩაუგდო, მეტოქე კი 74-ს დააჯერა.

ვოვამ ამ უხვქულიან მატჩშიც სტანდარტულად ითამაშა და 10 ქულას არ ასცდა. თუმცა, ამჯერად ვერ ვიტყვით, რომ არაზუსტად ისროლა: 5-დან 2 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი გამოიყენა და 7 ქულა მიითვალა. 5 მოხსნა და 1 პასი – ასეთი ციფრებით შეავსო ვოვამ 22-წუთიანი მონაგარი.

სადღეისოდ "ზადარს" 10 მოგება, 2 წაგება აქვს და ცხრილში მეორე ადგილზეა. პირველია "ციბონა" – 11 გამარჯვება, 1 მარცხი.

ვოვას თანაგუნდელები მორიგ მატჩს 12 მაისს გამართავენ – "ცედევიტას" უმასპინძლებენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




ვლადიმერ ბოისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ბრძოლა მეორეობისთვის

ვატთა რეიტინგლისტში ჩვენი ქვეყნის მეორე ჩოგნობას ერთმანეთს **ნიკოლოზ ბასილაშვილი** და **ლაზარე კუხალაშვილი** ეჯიბრებიან, ეს ის ადგილები არ არის, ჩოგბურთის ქართველ გულშემატკივარს რომ გაახარებს, თუმცა ახალგაზრდების პროგრესი აშკარაა. **ირაკლი ლაბაძე**, რომელსაც წლეულს „დევისის თასის" გარდა არსად უთამაშია, 96 ქულით 509-ე პოზიციაზეა (+2). სხვები: 867 (-2) ნიკოლოზ ბასილაშვილი - 26 ქულა; 879 (+12) ლაზარე კუხალაშვილი - 25; 992 (+3) **ლადო ჩიხლაძე** - 17; 1312 (-5) **ნოდარ ითონიშვილი** - 6; 1553 (-4) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1635 (-1) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

17 წლის ბასილაშვილი თურქეთში „ჩელენჯერის" სერიის ტურნირში მონაწილეობდა, „იზმირის თასის" საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. საკვალიფიკაციო ბადეში ქართველი მე-6 ნომრად განთესილ კანადელთან, **პიერ-ლუდოვიკ დუკლოსთან** (303) დამარცხდა - 4:6, 3:6.

საფრანგეთის ქალაქ სენ გოდენსში ქალ ჩოგბურთელთა 50-ათასიანი ტურნირი იმართება, სადაც ძირითად ბადეში **ანა ტატიშვილი** (173) თამაშობს. ანას პირველი მეტოქე ბრიტანელი **ჯორჯია სტუპი** (178) იყო, ქართველმა 7:6, 7:5 იმარჯვა და მერვედფინალში გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

# ურუშაძე რუსეთის თასს დაეუფლა


უკანა პლანზე რატი ურუშაძე

საქართველოს ნაკრების მორკინალი **რატი ურუშაძე** რუსეთის თასის მფლობელია - ფინალურ მატჩში მისმა „ენისეიმ" 17:16 დაამარცხა მოსკოვის ვვა. ქართველმა ლეგიონერმა ფინალი შეუცვლელად ითამაშა. პირველ ტაიმში ციმბირელები 17:9-ს იგებდნენ, მეორე ნახევარში ვვა-მ სამი საჯარიმოს გატანით სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა შეძლო, თუმცა მეტს ვერას გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მკითხველი-გაზეთი

## ინტერვიუ მკითხველის თხოვნით

ვითვალისწინებთ რა ქართული სპორტისადმი საყოველთაო ინტერესს, რედაქციამ გადაწყვიტა, როგორც მოქმედ, ისე ჩვენს სახელოვან ვეტერან სპორტსმენებთან მოამზადოს ინტერვიუები მკითხველთა თხოვნით და მათივე მონაწილეობით.

მოგვწერეთ ვისთან ისურვებდით „ლელოს" ფურცლებზე შეხვედრას და რა შეკითხვას (შეკითხვებს) დაუსვამდით მას?

რედაქციასთან საკონტაქტოდ ისარგებლეთ ტელეფონით, ფაქსით და ელექტროფოსტით, რომელსაც ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე საცნობარო ბლოკში ამოიკითხავთ.

ფოტომატიანე


ნესტორ ესებუა (მარცხნივ) და კულა გლდანელი

სუმო

ნაცუ ბაშო (10-24 მაისი)

# იმპერატორის თასის მფლობელი დაეცა

21 წლის **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** ყოფილი ოძეკი **დეჯიმა** დაამარცხა. თანამედროვე სუმოში ძალიან ცოტა რიკიშია, რომელთაც იმპერატორის თასი მოუპოვებიათ, ერთ-ერთი კი სწორედ დეჯიმაა, რომელიც სამი წლის განმავლობაში ოძეკის ტიტულს ფლობდა. ლევანმა იორიკირის ილეთით გაიყვანა დოჰიოდან მძიმეწონოსანი ოპონენტი. ჩვენებურს 2-0 ბალანსი აქვს.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა თანამემამულეს ვერ აჰყვა **ლევან ცაგურია** (კოკაი). მან თითქოს იოლად მოიგერია მე-12 მაეგაშირა **კაკიძოეს** შეტევა და იაპონელი დოჰიოზეც დასცა, მაგრამ წამით ადრე ფეხი რკალსმიღმა დადგა და მსაჯებმა კოკაის წაგება ჩაუთვალეს. კიდევ ერთი ჩვენებური მესამე დივიზიონ მაკუშიტას მე-6 ნომერი **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** გუშინ ისვენებდა, ის დოჰიოზე არც დღეს ავა.

ყველაზე დიდ ინტერესს იოკოძუნა **ჰაკუჰოს** და პირველი მაეგაშირა **ამინიშიკის** ბრძოლა იწვევდა. ამინიშიკის უყვარს სიურპრიზის შემოთავაზება და პუბლიკასაც ამის იმედი ჰქონდა. ამიტომაც მონღოლმა ჰაკუჰომ სწორი ტაქტიკა აირჩია, მეტოქის მავაში ხელთ იგდო და ფრთხილი იორიკირით გაიყვანა ფონს. მაყურებელს კვლავ ახარებს დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ**, მეორე ორთაბრძოლაც მას ლამაზი გამოუვიდა, ერთი ცაცხის მოქნევით შეძლო მონღოლმა დოჰიოზე **ჰომაშოს** ლავაშივით გაკვრა. დღის მოულოდნელობა ისევ ესტონელმა გოლიათმა შემოგვთავაზა, **ბარუტომ** ისევ წააგო, თან კვლავ ზურგი აქცია მეტოქეს, ამჯერად ევროპელი მონღოლმა მე-2 მაეგაშირა **კიოკუტენჰომ** დაჯაბნა. პირველი ოძეკი, ვინც ბაშოზე დამარცხდა, **კოტომიცუკია**.

### კითხვა-პასუხი:
### რა არის ჩანკო-ნაბე?

ჩანკო ნიშნავს „საკვებს, რომელიც მომზადებულია რიკიშის მიერ თავის გამოსაკვებად". ჩანკო-ნაბეს ათასგვარი სახესხვაობაა. ყოველ ჯერზე ინგრედიენტები შეიძლება განსხვავებული იყოს. ჩანკო-ბანი, სუმოისტი, რომელიც კლუბში დღის მზარეულია, მიდის და ყიდულობს სხვადასხვა ხილს, ბოსტნეულს, არჩევს მათ სეზონის მიხედვით. სუმოს არც ერთ კლუბში არ არის ზუსტი რეცეპტი ჩანკო-ნაბესთვის. თუკი სუმოისტებს არ მოეწონებათ ჩანკო-ნაბეს გემო, ჩანკო-ბანს იმ დღეს სავარჯიშო დოჰიოზე და მის გარეთაც კარგი დღე არ მოელის. ასე რომ, სუმოისტები ყოჩაღი მზარეულებიც არიან. მაგალითისთვის, განსაკუთრებით გემრიელ ჩანკო-ნაბეს **კოკაის** კლუბის წევრები ამზადებენ, რადგან ისინი კორეულ ინგრედიენტებს იყენებენ.

### სუმოს ისტორიიდან

თანამედროვე სუმოს ფესვები რელიგიურია. სუმოს პირველი შეხვედრები რელიგიურ რიტუალს წარმოადგენდა, რომელიც ღმერთებს ეძღვნებოდა. ეს იყო ლოცვები ხვავრიელი მოსავალისთვის, აგრეთვე იმართებოდა რელიგიური ცეკვები და თეატრალური წარმოდგენები. სუმოს პირველი შეხვედრები უძველესი ტაძრების ტერიტორიაზე იმართებოდა.


ასაშორიუმ ჰომაშო დაამარცხა

| II დღე | |
|---|---|
| შოტენრო (მ 15)-კიმურაიამა (მ 16) | 1:0 (ოშიდაში) |
| მოკონამი (ძ 1)-ბუშუიამა (მ 15) | 1:0 (იორიტაოში) |
| **კოკაი** (მ 14)-კაკიძოე (მ 12) | 0:1 (ოშიდაში) |
| ტაკამისაკარი (მ 12)-ჰოკუტორიკი (მ 13) | 1:0 (იორიკირი) |
| **ტოჩინოშინი** (მ 13)-დეჯიმა (მ 12) | 1:0 (იორიკირი) |
| ფუტენო (მ 10)-მიაბიამა (მ 11) | 0:1 (ცუკიოტოში) |
| ტოიოჰიბიკი (მ 11)-შიმოტორი (მ 10) | 1:0 (იორიკირი) |
| ივაკიამა (მ 8)-ტოკიტენკუ (მ 9) | 0:1 (იორიკირი) |
| იამამოტოიმა (მ 9)-ტამავაში (მ 8) | 0:1 (იორიკირი) |
| კოტოშოგიკუ (მ 6)-ასასეკირიუ (მ 7) | 1:0 (იორიკირი) |
| ჩიოჰაკუჰო (მ 6)-იოშიკაძე (მ 5) | 1:0 (ცუკიდაში) |
| კისენოსატო (მ 4)-ტოჩინონადა (მ 5) | 1:0 (იორიკირი) |
| არანი (მ 4)-ტოიონოშიმა (მ 3) | 1:0 (ოშიდაში) |
| ბარუტო (ს)-კიოკუტენჰო (მ 2) | 0:1 (იორიტაოში) |
| კოტოოშუ (ო)-ტამანოშიმა (მ 3) | 1:0 (იორიკირი) |
| ჩიოტაიკაი (ო)-ტაკეკაძე (მ 2) | 1:0 (ჰატაკიკომი) |
| გოეიდო (ს)-კოტომიცუკი (ო) | 1:0 (ჰიკიოტოში) |
| კაიო (ო)-კაკურიუ (კ) | 1:0 (იორიკირი) |
| ტოჩიოძანი (კ)-ჰარუმაფუჯი (ო) | 0:1 (იორიკირი) |
| ჰაკუჰო (ი)-ამინიშიკი (მ 1) | 1:0 (ოშიდაში) |
| ჰომაშო (მ 1)-ასაშორიუ (ი) | 0:1 (ჰატაკიკომი) |

| III დღე |
|---|
| შოტენრო (მ 15),1-1-მასაცუკასა (ძ 2),0-2 |
| კოკაი (მ 14), 1-1-კიმურაიამა (მ 16), 0-2 |
| ჰოკუტორიკი (მ 13), 0-2-ტოჩინოშ. (მ 13), 2-0 |
| ტაკამისაკარი (მ 12), 2-0-კაკიძოე (მ 14), 2-0 |
| ბუშუიამა (მ 15), 0-2-ტოიოჰიბიკი (მ 11), 2-0 |
| დეჯიმა (მ 12), 0-2-შიმოტორი (მ 10), 1-1 |
| მიაბიამა (მ 11), 1-1-იამამოტოიამა (მ 11), 1-1 |
| ივაკიამა (მ 8), 1-1-ფუტენო (მ 10), 0-2 |
| ტოკიტენკუ (მ 9), 1-1-ჩიოჰაკუჰო (მ 6), 2-0 |
| კოტოშოგიკუ (მ 6), 2-0-ტამავაში (მ 8), 1-1 |
| ასასეკირიუ (მ 7), 0-2-იოშიკაძე (მ 5), 0-2 |
| კისენოსატო (მ 4), 2-0-არანი (მ 4), 2-0 |
| ტოჩინონადა (მ 5), 0-2-ტოიონოშიმა (მ 3), 0-2 |
| ბარუტო (ს), 0-2-კაკურიუ (კ), 0-2 |
| ტამანოშიმა (მ 3), 1-1-ჰარუმაფუჯი (ო), 2-0 |
| კოტოოშუ (ო), 2-0-ტაკეკაძე (მ 2), 0-2 |
| ჩიოტაიკაი (ო), 2-0-ტოჩიოძანი (კ), 0-2 |
| კიოკუტენჰო (მ 2), 1-1-კოტომიცუკი (ო), 1-1 |
| კაიო (ო), 2-0-გოეიდო (ს), 2-0 |
| ამინიშიკი (მ 1), 0-2-ასაშორიუ (ი), 2-0 |
| ჰაკუჰო (ი), 2-0-ჰომაშო (მ 1), 0-2 |

### სუმოს ლექსიკონიდან

**ბანძუკე**-სუმოს ოფიციალური რეიტინგ-ლისტი.

**დოჰიო**-სუმოს რინგი. დოჰიო თიხისგანაა გაკეთებული, ის ოთხკუთხა პლატფორმაზე დგას, თუმცა საბრძოლო არეალი რკალითაა შემოსაზღვრული. საბრძოლო არეალის დიამეტრი 4,55 მეტრია. დოჰიო იატაკიდან 34-60 სმ. სიმაღლეზეა.

**დოჰიო-ირი**-ცერემონიალი, რომელსაც ასრულებენ სუმოს ორი ყველაზე მაღალი დივიზიონის წევრები. დოჰიოზე გამოსვლის ცერემონიალი.

### მეტოქეები



**კოკაი კიმურაიამას** წინაალმდეგ: 4 ორთაბრძოლა, 1 მოგება, 3 წაგება. ბოლო მოგება 2008 წლის ნოემბრის ბაშო.

**კიმურაიამა:** აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირა

27 წლის, 183 სმ, 170 კგ.



**ტოჩინოშინი ჰოკუტორიკის** წინაალმდეგ: 1 ორთაბრძოლა, 1 მარცხი.

**ჰოკუტორიკი**, აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა

31 წლის, ყოფილი სეკივაკე, 184 სმ, 151 კგ.

### დღის ამბავი



დიდი ჩემპიონები, **ასაშორიუ** და **ჰაკუჰო** ბაშოს დაწყების წინ პატარა ბავშვებივით თავჩაქინდრულნი იდგნენ, მათ სუმოს ასოციაციის შეფი **მუსაშიგავა** ტუქსავდა. ორმა იოკოძუნამ სიტყვიერი გაფრთხილება გოლფის თამაშისთვის მიიღო. თურმე ბაშოს დაწყებამდე ორი დღით ადრე იჩიჰარაში ასაშორიუმ და ჰაკუჰომ გოლფის საჩვენებელ მატჩში მიიღეს მონაწილეობა რამდენიმე მონღოლ სუმოისტთან ერთად. *„ბაშოს წინ გოლფის თამაში სუმოს უპატივცემულობაა, ისინი მხოლოდ სუმოზე უნდა ფიქრობდნენ, რომ კარგად იჭიდაონ ბაშოზე"*, - განაცხადა მუსაშიგავამ. ორივე დიდმა ჩემპიონმა ბოდიში მოიხადეს და აღიარეს, რომ შეცდომა დაუშვეს. სხვათა შორის, მონღოლები რამდენიმე ყოფილმა იოკოძუნამაც მწვავედ გააკრიტიკა.

### დღის ილეთი

გუშინ 10 ორთაბრძოლის ბედი გადაწყდა იორიკირით. ამ ილეთით იმარჯვა ქართველმა ტოჩინოშინმაც.

ეს ილეთი ძალიან ხშირად გამოიყენება სუმოისტების მიერ. ორივე მოწინააღმდეგე ბრძოლას მავაშში ხელის ჩაჭიდებით იწყებს. ერთ-ერთი მიწოლით აგდებს მეორეს დოჰიოდან, თან მას მთელი ორთაბრძოლის განმავლობაში ხელები მეტოქის მავაშში აქვს ჩაჭიდული.

**იორიკირი** (მიწოლით განდევნა)



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ფედერერი კონკურენტებს ემუქრება



მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** მადრიდის მასტერსის წინ აღნიშნა, რომ თანდათან იბრუნებს ჩვეულ სპორტულ ფორმას და სულ მალე შეძლებს თავისი მთავარი კონკურენტების - **რაფაელ ნადალის, ენდი მიურეისა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** დამარცხებას.

*„ყოველი კვირის შემდეგ სულ უფრო და უფრო კარგად ვგრძნობ თავს. ამ მომენტისთვის კმაყოფილი ვარ საკუთარი თამაშით. ძალიან ბევრს ვვარჯიშობ და ვატყობ, რომ კიდევ შემიძლია მომატება, - ამბობს შვეიცარიელი ჩოგბურთელი. - რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ ამ სეზონში აღებული სტარტით, განსაკუთრებით იმით, რომ ჯერჯერობით არც ერთი ტურნირი არ მომიგია. ძალიან მაწუხებს ის ფაქტი, რომ ვერ ვახერხებ ჩემი მთავარი მოწინააღმდეგეების - რაფა ნადალის, მიურიესა და ჯოკოვიჩის დამარცხებას. ზოგიერთ მატჩში ახლოს ვიყავი მიზანთან და შემეძლო მათი ძლევა, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხებული გამოვდიოდი. თუმცა ახლა ვგრძნობ, რომ ჩემი დრო მოვიდა".*

ჟურნალისტთან საუბარში შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა მადრიდის მასტერსის შესახებ თავისი აზრი გამოხატა. *„მომწონს ეს ტურნირი. აქ ბურთი საკმაოდ მაღლა ხტება, რაც შემტევი ჩოგბურთის თამაშის შანსს მაძლევს. ასევე მომწონს ის, რომ ტრიბუნებზე ყოველთვის ბევრი მაყურებელია - ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი მომენტია. როცა დღისით და საღამოს ტრიბუნები სავსეა, ჩოგბურთელებს თამაშის ხალისი გვემატება. საერთოდ, ესპანეთში ჩოგბურთი ძალიან უყვართ, მით უმეტეს, რომ მათ რაფაელ ნადალი ჰყავთ",* - ამბობს ფედერერი.

როჯერი დღეს ჩაებმება მადრიდის მასტერსში. მისი მეტოქე შვედი **რობინ სიოდერლინგი** იქნება, რომელმაც გუშინ რუსი **იგორ ანდრეევი** დაამარცხა.

ATP-ის რეიტინგი

# მიურეიმ ჯოკოვიჩს გაასწრო



გუშინ, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. პირველად თავისი პროფესიული კარიერის განმავლობაში, კლასიფიკაციის მესამე ნომერი გახდა 21 წლის ბრიტანელი **ენდი მიურეი**.

შოტლანდიელმა ჩოგბურთელმა ერთი საფეხურით წაიწია წინ და თავისი თანატოლის - სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ ნოვაკი რეიტინგში მესამე პოზიციას 2007 წლის 9 ივლისიდან მოყოლებული ინარჩუნებდა - მართალია, წინ ვერ მიდიოდა, მაგრამ არც თავის ადგილს თმობდა.

15 მაისს ბრიტანელი 22 წლის გახდება, შვიდი დღის შემდეგ კი თავის 22-ე დაბადების დღეს ჯოკოვიჩიც იზეიმებს.

მძლეოსნობა

# ათლეტები ბერლინს უტევენ




მსოფლიოს წამყვანი ათლეტები, მათ შორის სიმაღლეზე მხტომელი ხორვატი **ბლანკა ვლასიჩი** ბოიკოტს უცხადებენ „ოქროს ლიგის" სერიის პირველ ტურნირს, რომელიც 14 ივნისს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გაიმართება. ეს საკითხი განიხილეს სპორტსმენთა მენეჯერებმა კატარის დედაქალაქ დოჰაში, სადაც გასულ უქმეებზე IAAF-ის სუპერგრანპრი გაიმართა.

*„ოქროს ლიგის" ბერლინის ორგანიზატორებმა შეგვატყობინეს, რომ წელს ვარსკვლავთა გამოსვლას არ დააფინანსებენ. ეს სპორტსმენებისა და სხვა ტურნირების ორგანიზატორთა უპატივცემულობაა, რომლებიც ტოპათლეტების გამოსვლას ყოველთვის აფინანსებდნენ. ჩვენ გავგზავნეთ წერილი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში და ახლა მათ რეაქციას ველოდებით",* - ამბობს ბლანკა ვლასიჩის მენეჯერი **ჰარალდ ედლეცბერგერი**.

*„სპორტსმენთა მენეჯერებთან მძიმე მოლაპარაკებები გველის. ჩვენ უზრუნველვყოფთ საპრიზო ფონდს და, რა თქმა უნდა, ვიხდით ტურნირზე ვარსკვლავების გამოსვლის ფულსაც. ჩვენი ბიუჯეტი დაახლოებით 2.7 მილიონი დოლარია. შარშანდელთან შედარებით, 19-ის ნაცვლად 17 დისციპლინაში გათამაშდება პირველობა, ამიტომაც ბიუჯეტი სულ მცირედით შევამცირეთ",* - ეს უკვე ბერლინის ეტაპის ორგანიზატორ **გერჰარდ ჯანეცკის** სიტყვებია, რომელიც მძლეოსნების ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს.

„ოქროს ლიგის" პირველი ეტაპის ბოიკოტი იმას ნიშნავს, რომ „მეამბოხე" სპორტსმენები პრეტენზიას ვერ განაცხადებენ მილიონიან ჯეკ-პოტზე, რომელიც ამ სერიის ექვსივე ეტაპის მომგებ ათლეტს გადაეცემა.

კრივი

# კრივი სახიფათო ხდება




უნგრელი მოკრივე **ანდრაშ ნადი** რინგზე მიღებული ტრავმით გარდაიცვალა. მელბურნში საწვრთნელი ბრძოლის დროს, 23 წლის სპორტმენი და მისი სპარინგ-პარტნიორი თავებით შეასკდნენ ერთმანეთს და ნადიმ უმძიმესი ტრავმა მიიღო. ექიმებმა უნგრელ მოკრივეს თავის ტვინის ორი ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ანდრაში ორი დღის წინ გარდაიცვალა.

ნადიმ ტრავმა 1 მაისს მიიღო - სწორედ ამ დღეს შეუსრულდა მას 23 წელი. ექიმებმა ტვინში სისხლის ჩაქცევა დააფიქსირეს და მაშინვე პირველი ოპერაცია გაუკეთეს, 4 მაისს კი - მეორე. ნადი ხელოვნური კომის მდგომარეობაში შეიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერ შეძლეს მისი გადარჩენა.

სამოყვარულო რინგზე 2002 წლის კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ნადიმ ვერცხლის მედალი მოიპოვა. 2005 წელს დიდებს შორის პლანეტის პირველობაზე გამოდიოდა, მაგრამ იქ მეორე წრეში გამოეთიშა ბრძოლას.

უნგრელს პროფესიულ კრივში დებიუტი 2008 წელს ჰქონდა. მან სამშობლოში 79.4 - კილოგრამამდე წონით კატეგორიაში სამი ბრძოლა გამართა და სამივე ნოკაუტით მოიგო. ავსტრალიაში ნადი მორიგი ჩხუბისთვის ემზადებოდა.

ჰოკეი

# პრეზიდენტი მექრთამეა?

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ მისი პრეზიდენტის - **რენე ფაზელის** მისამართით გამოთქმული ბრალდებების გამოძიება დაიწყო. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქრთამის აღებაშია ეჭვმიტანილი - იტყობინება CBC.

მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის ფინალის დღეს, ციურიხის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა კომპანია „ინფრონტისგან" ქრთამის სახით 400 ათასი შვეიცარიული ფრანკი მიიღო. სანაცვლოდ კი რენე ფაზელმა ამ კომპანიას 2017 წლამდე სატელევიზიო და მარკეტინგული უფლებების შეძენისთვის გამოცხადებული ტენდერი მოაგებინა. როგორც ირკვევა, „ინფრონტის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფაზელის ბავშვობის მეგობარი ყოფილა. გაზეთის ცნობით, „ინფრონტი" მხოლოდ ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტის მფარველობის ხარჯზე ითვლება წარმატებულ კომპანიად. ტენდერის მეორე მონაწილემ კონკურსი წააგო, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

ფაზელი მაშინვე გამოეხმაურა ამ ინფორმაციას. მან სასწრაფოდ პრესკონფერენცია მოიწვია და მისი მისამართით ყველა ბრალდება უარყო. *„ჩემსა და „ინფრონტს" შორის არანაირი გარიგება არ ყოფილა. მე უბრალოდ ძველ მეგობარს დავეხმარე, როცა ტენდერში ჩართვა შევთავაზე. სხვათა შორის, ამ კომპანიას აზიურ ბაზარზეც გავუწიე დახმარება. და ამისთვის არანაირი საკომისიო თანხები და ბონუსები არ მიმიღია",* - ამბობს ფედერაციის პრეზიდენტი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

**1/2 ფინალი**

**რუსეთი-აშშ 3:2**

0:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 0:1 დ. ბრაუნი-3, 1:1 კოვალჩუკი-5 (ზინოვიევი-4), 2:1 ფროლოვი-3 (კოვალჩუკი-9), 2:2 ოკსოპო-2 (პეინსი-4, ლაილსი-7), 3:2 გოროვიკოვი-1 (რადულოვი-6, ნიკულინი-3).

**კანადა-შვედეთი 3:1**

1:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 როი-3 (სენტ ლუისი-11, სტემკოსი-4), 2:0 პორკოფი-1 (ფიშერი-3), 3:0 როი-4 (ფიშერი-4), 3:1 ლ. ერიქსონი-2 (მარტენსონი-8).

**მე-3 ადგილისთვის**

**შვედეთი-აშშ 4:2**

0:0, 2:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ჯონსონი-5 (ლაილსი-8), 1:1 ლ. ერიქსონი-3 (მარტენსონი-9, ვეინჰანდლი-5), 2:1 მარტენსონი-1 (ვეინჰანდლი-6, ლ. ერიქსონი-4): 2:2 პაველსკი-1, 3:2 გუნარსონი-2 (ვეინჰანდლი-7): 4:2 ოდუია-3 (კენ. იონსონი-4).

**ფინალი**

**რუსეთი-კანადა 2:1**

1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სპეცა-7 (დოუნი-6, შ. უებერი-8), 1:1 საპრიკინი-4 (ატიუშოვი-5, კალინინი-3), 2:1 რადულოვი-4 (გოროვიკოვი-4, საპრიკინი-3).

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| მარტინ სენტ ლუისი (კან) | 15 (4+11) |
| ილია კოვალჩუკი (რუს) | 14 (5+9) |
| მატიას ვეინჰანდლი (შვედ) | 12 (5+7) |
| ში უებერი (კან) | 12 (4+8) |
| ჯეისონ სპეცა (კან) | 11 (7+4) |
| სტივ სტემკოსი (კან) | 11 (7+4) |
| ნიკო კაპანენი (ფინ) | 10 (7+3) |
| დენი ჰიტლი (კან) | 10 (6+4) |
| პეტრ ჩაიანეკი (ჩეხ) | 10 (5+5) |
| ალექსანდრ რადულოვი (რუს) | 10 (4+6) |
| ლინუს ომარკი (შვედ) | 10 (2+8) |
| ტონი მარტენსონი (შვედ) | 10 (1+9) |

| გოლები | |
|---|---|
| ნიკო კაპანენი (ფინ) | 7 |
| ჯეისონ სპეცა (კან) | 7 |
| სტივ სტემკოსი (კან) | 7 |
| დენი ჰიტლი (კან) | 6 |
| პეტრ ჩაიანეკი (ჩეხ) | 5 |
| მატიას ვეინჰანდლი (შვედ) | 5 |
| ჯეკ ჯონსონი (აშშ) | 5 |
| ილია კოვალჩუკი (რუს) | 5 |

| პასები | |
|---|---|
| მარტინ სენტ ლუისი (კან) | 11 |
| ილია კოვალჩუკი (რუს) | 9 |
| ტონი მარტენსონი (შვედ) | 9 |
| ლინუს ომარკი (შვედ) | 8 |
| ში უებერი (კან) | 8 |
| ჯონ ლაილსი (აშშ) | 8 |
| მატიას ვეინჰანდლი (შვედ) | 7 |

**საუკეთესო მოთამაშეები**

**საუკეთესო მეკარე:** ანდრეი მეზინი (ბელარუსი)

**საუკეთესო მცველი:** ში უებერი (კანადა)

**საუკეთესო ფორვარდი:** ილია კოვალჩუკი (რუსეთი)

**საუკეთესო მოთამაშე (MVP):** ილია კოვალჩუკი (რუსეთი)

**სიმბოლური ნაკრები**

**მეკარე:** ანდრეი მეზინი (ბელარუსი);

**მცველები:** ში უებერი (კანადა), კენი იონსონი (შვედეთი);

**ფორვარდები:** ილია კოვალჩუკი (რუსეთი), მარტინ სენტ ლუისი (კანადა), სტივ სტემკოსი (კანადა).

## სტენლის თასი. 1/4 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი-კაროლინა 4:0**

2:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 რეკი-2 (ხარა-2, ვიდემანი-6), 2:0 კესელი-5 (სავარი-5, ლუჩიჩი-5), 3:0 კესელი-6 (სავარი-6, ხარა-3), 4:0 ლუჩიჩი-2 (რაიდერი-6, პ. ბერუჟერონი-3).

სერია: 2:3

**დასავლეთი**

**დეტროიტი-ანაჰაიმი 4:1**

0:0, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ფრანცენი-7 (აბდელკადერი-1, ჯ. ერიქსონი-2), 2:0 ჰუდლერი-3 (ზეტერბერგი-4, ლებდა-2), 2:1 რაიან უიტნი-1 (კრისტენსენი-2, ებეტი-2), 3:1 ჰელმი-1 (ზეტერბერგი-5, კლირი-6), 4:1 ზეტერბერგი-6 (ლიდსტრიომი-7, დაციუკი-3).

სერია: 3:2

სხვადასხვა

ველოსპორტი

### ვინოკუროვს დაბრუნდება უნდა

ყაზახი ველომრბოლი **ალექსანდრ ვინოკუროვი**, რომლის დისკვალიფიკაციას უახლოეს პერიოდში გასდის ვადა, 2010 წლის ტურ დე ფრანსზე ოცნებობს.

35 წლის სპორტსმენი 2007 წელს დასაჯეს დისკვალიფიკაციით მას შემდეგ, რაც ტურ დე ფრანსის მსვლელობისას აღებულმა დოპინგტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

ვინოკუროვი აგვისტოდან აპირებს „ასტანას" შემადგენლობაში კარიერის განახლებას.

კრივი

### იბრაჰიმოვი რინგს ტოვებს

მძიმე წონაში WBO-ის ყოფილმა ჩემპიონმა, რუსმა **სულთან იბრაჰიმოვმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ამის შესახებ, პრომოუტერული კომპანია Seminole Warriors Boxing-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **ლეონ მარგულესმა** განაცხადა, რომელიც შარშან იბრაჰიმოვის ინტერესებს წარმოადგენდა.

მარგულესის აზრით, იბრაჰიმოვს აღარ სურს რინგზე გასვლა. ამასთან, პრომოუტერი ამბობს, რომ მოკრივესთან წელიწადზე მეტია ურთიერთობა აღარ ჰქონია. რუსი სპორტსმენის წარმომადგენლებს არც უარყვიათ და არც დაუდასტურებიათ პრომოუტერის ინფორმაცია.

იბრაჰიმოვმა ბოლო ბრძოლა 2008 წლის 23 თებერვალს გამართა და უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან** ქულებით წააგო. სულ რუს მოკრივეს პროფესიულ რინგზე 24 ბრძოლა აქვს ჩატარებული - 22 მოგება, 1 წაგება და 1 ფრე.

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# იაო საჭირო არ ყოფილა



მეორე და მესამე მატჩებში დამარცხების შემდეგ, ბევრმა სპეციალისტმა ნაადრევად გადაუსვა ხაზი „ჰიუსტონს". მათ ჩათვალეს, რომ პირველ მატჩში სტუმრად სენსაციური გამარჯვება ტეხასელებისთვის ბოლო იქნებოდა და კალიფორნიული „ზვიგენი" არაფერს დატოვებდა „რაკეტებისგან".

ეს ეჭვი კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც ჰიუსტონელთა ერთ-ერთი ლიდერი **იაო მინი,** მარცხენა ფეხის ტრავმის გამო, სეზონის ბოლომდე გამოეთიშა თამაშს. პლეი ოფში ცენტრების გარეშე თამაში (შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე „ჰიუსტონმა" **დიკემბე მუტომბო** დაკარგა) ძალიან ძნელია, მით უმეტეს, თუ მეტოქედ დასავლეთის საუკეთესო გუნდი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" გყავს.

მიუხედავად ამისა, „ჰიუსტონმა" ყურადღება არ მიაქცია სკეპტიკოსთა პროგნოზებს და სერიაში სერიოზული ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა. მასპინძლებმა პირველ მეოთხედში დაგვანახვეს, თუ როგორ აპირებდნენ ამ მატჩის მოგებას. მარტო **შეინ ბატიემ** ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო. ამ დროს კი „ლეიკერსის" აღიარებულმა ვარსკვლავებმა სასტარტო ექვს წუთში ოთხჯერ დაკარგეს ბურთი და რვა ტყორცნა ააცილეს. შესაბამისად, ტაბლოზე მათთვის არც ისე სასიამოვნო ციფრები ეწერა - 4:19.

მეორე მეოთხედში „როკეტსი" იმავე სტილში თამაშს აგრძელებდა და „ლეიკერსი" ვერაფრით ახერხებდა სხვაობის შემცირებას. ამას ისიც დაემატა, რომ მთელი მატჩი „ეძინა" **კობი ბრაიანტს** და ამიტომაც „ლეიკერსის" თრევა **პაუ გასოლს** მოუწია. მაგრამ ეს ყველაფერი ბოლო მეოთხედში მოხდა, მის დაწყებამდე კი ანგარიში კატასტროფული იყო - 83:54. კალიფორნიელებმა შეძლეს ჩამორჩენის 12 ქულამდე შემცირება, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა - **რიკ ადელმანის** შეგირდები ბოლო 12-წუთეულში აშკარად გართობის ხასიათზე იყვნენ.

საინტერესოა, რომ მესამე მეოთხედში „ჰიუსტონის" 29 ქულიდან 17 მცველ **აარონ ბრუქსის** ანგარიშზე იყო, რომელმაც ჯამში 34 ქულა დააგროვა. არგენტინელმა **ლუის სკოლამ** 11 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა და პლეი ოფში მეხუთე ორმაგი დუბლი შეასრულა. მთავარი კი ის არის, რომ ტეხასელებმა იაო მინის გარეშე ოთხჯერ ითამაშეს „ლეიკერსის" წინააღმდეგ და მეოთხედ მოიგეს.

■ ■ ■

„ბოსტონისა" და „ორლანდოს" სერიის მეოთხე მატჩი ბევრ რამეს წყვეტდა. „მეჯიქს" შინ მეორე მატჩიც რომ მოეგო, მოქმედ ჩემპიონს ძალიან გაუჭირდებოდა ორმატჩიანი ჩამორჩენის გაბათილება. შესაბამისად, გუნდები ერთი წამით არ მოდუნებულან. შესაძლოა ამიტომაც, პირველ ტაიმში ლიდერი 13-ჯერ შეიცვალა - იმაზე მეტჯერ, ვიდრე წინა ორ მატჩში ერთად აღებული. ამის შემდეგ **პირსის, რონდოს, ალენისა** და **დევისის** ძალისხმევით სტუმრებმა გარკვეული ფორა შეიქმნეს და მეორე ტაიმის დიდი ნაწილის განმავლობაში 5-6 ქულით იყვნენ წინ. მიუხედავად ამისა, მატჩს დრამატული დასასრული ჰქონდა.

0:49 შეხვედრის დასასრულამდე. **დუაიტ ჰოვარდმა** ორი საჯარიმო გამოიყენა და „მეჯიქი" მეორე ტაიმში პირველად გაიყვანა წინ.

0:32. **გლენ დევისი** დაახლოებით ოთხი მეტრიდან ზუსტად ისვრის - 92:93.

0:11. **ჰედო თურქოგლუ** სამქულიანს აცილებს, მაგრამ **პიეტრუსი** შეტევაში ხსნის ბურთს. დევისი **რაშარდ ლუისზე** არღვევს თამაშის წესს და ეს უკანასკნელი ორ საჯარიმოს აგდებს - 94:93.

## ბოსტონმა ტაიმაუტი აიღო

0:00. პოლ პირსი ბურთს ბოლომდე ათამაშებს და 4 წამით ადრე დრიბლინგს იწყებს. მის წინ ჰოვარდი და ლუისი აღიმართნენ და სწორედ ამ მომენტში პირსმა ბურთი დევისს გადააწოდა, რომელიც ფარიდან 45-გრადუსიანი კუთხით, სამქულიანის ხაზიდან ზუსტად ისვრის - 95:94 „ბოსტონის" სასარგებლოდ.

ეს კალათბურთელი ამ კუთხიდან თითქმის არასდროს ცდის ბედს. მაშინ, რა უნდოდა ამ ადგილას დევისს? ის ხომ ტრავმირებულ **კევინ გარნეტს** ცვლის, ეს კი ქეი ჯის ერთ-ერთი საყვარელი წერტილია.

მატჩის შემდეგ „ორლანდოს" დამრიგებელმა **სტენ ვან განდიმ** განაცხადა: *„ერთადერთი ადამიანი, ვინც შეცდომა დაუშვა, მე ვარ. ტაიმაუტის დროს ჩემს ბიჭებს ვუთხარი, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიეცათ ალენისთვის ან პირსისთვის სროლის საშუალება..."*

ვან განდის შეგირდები ასეც მოიქცნენ, მაგრამ გლენ დევისის ფაქტორი არ გაითვალისწინეს. მან არა მარტო ბოლო ორი სროლა გამოიყენა, აგრეთვე მთლიანად მატჩში 21 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. რა თქმა უნდა, გარნეტამდე ბევრი უკლია, მაგრამ ცალკეულ მატჩებში გმირობის ჩადენა შეუძლია.

**აღმოსავლეთი**

**ორლანდო-ბოსტონი 94:95**

28:25, 18:23, 25:31, 23:16

ო: დ. ჰოვარდი (23+17 მოხსნა+3 დაფარება), ლუისი (22), თურქოგლუ (11), პიეტრუსი (11).

ბ: პირსი (27), რონდო (21+14 მოხსნა), გ. დევისი (21), პერკინსი (12+13 მოხსნა+5 დაფარება), რ. ალენი (12)

სერია: 2:2

**დასავლეთი**

**ჰიუსტონი-ლეიკერსი 99:87**

29:16, 25:20, 29:18, 16:33

ჰ: ბრუქსი (34+4 პასი), ბატიე (23), ლოური (12), სკოლა (11+14 მოხსნა), არტესტი (8+10 მოხსნა).

ლ: გასოლი (30+9 მოხსნა), ბრაიანტი (15+5 პასი), ბრაუნი (14).

სერია: 2:2

ცხენოსნობა

# დედოფლის ცხენს დოპინგი აღმოუჩინეს

ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ II-ის ერთ-ერთი ცხენი, სახელად „მთვარის გზა" დოლიდან მოიხსნა. როგორც ბრიტანული ტაბლოიდი „სანი" წერს, ცხენის დოპინგტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

ექვსი წლის ულაყი დოპინგზე თებერვალში, ჰარინგტონში ჩატარებული დოლის შემდეგ შეამოწმეს, სადაც ის მეექვსე მივიდა ფინიშთან. როგორც დოლის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, „მთვარის გზის" ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი - ციკლოკაპრონი აღმოაჩინეს. დედოფლის ცხენის მწვრთნელი **ნიკი ჰენდერსონი** ბრიტანეთის დოლების საზოგადოების დისციპლინარული ორგანოს წინაშე წარდგება.

„ელიზაბეტ II-ს, რომელიც 41 ცხენის მფლობელია, უკვე აცნობეს ამ ინციდენტის შესახებ", - წერს გაზეთი „სანი".

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

**I ეტაპი (დროზე გუნდური რბოლა)**

**ვენეცია. 20.5 კმ**

1. TEAM COLUMBIA - 21.50; 2. GARMIN - SLIPSTREAM - +0.06; 3. ASTANA - +0.13; 4. LPR BRAKES - FARNESE VINI - +0.22; 5. ISD - +0.27; 6. KATUSHA - +0.35.

**II ეტაპი**

**ჯესოლო-ტრიესტი. 156 კმ**

1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, LPR Brakes-Farnese Vini) - 3.43,07; 2. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, Columbia-Highroad) - იგივე დრო; 3. ბენ სვიფტი (ბრიტანეთი, „კატიუშა") - იგივე დრო; 4. ალან დევისი (ავსტრალია, Quick Step) - იგივე დრო; 5. ტაილერ ფარარი (აშშ, Garmin-Slipstream) - იგივე დრო; 6. ოსკარ გატო (იტალია, ISD) - იგივე დრო... 26. დამიანო კუნეგო (იტალია, Lampre – N.G.C.) - იგივე დრო... 36. ჟილბერტო სიმონი (იტალია, Serramenti PVC) - იგივე დრო... 39. კარლოს სასტრე (ესპანეთი, Cervelo Test Team) - იგივე დრო... 40. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR Brakes – Farnese Vini) - იგივე დრო... 42. ლენს არმსტრონგი (აშშ, „ასტანა") - იგივე დრო... 53. ივან ბასო (იტალია, Liquigas) - +0,13...

**საერთო ჩათვლა**

1. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, Columbia-Highroad) - 4.04,43; 2. მარკ რენშოუ (ავსტრალია, Columbia – Highroad) - +0,14; 3. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, Columbia – Highroad) - იგივე დრო; 4. ტომას ლოვკვისტი (შვედეთი, Columbia – Highroad) - იგივე დრო; 5. ედვალდ ბოასონ ჰაგენი (ნორვეგია, Columbia – Highroad) - იგივე დრო; 6. ტაილერ ფარარი (აშშ, Garmin-Slipstream) - +0,16... 10. ლენს არმსტრონგი (აშშ, „ასტანა") - +0,20... 14. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR Brakes – Farnese Vini) - +0,36... 18. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, „ასტანა") - +0,40... 33. დამიანო კუნეგო (იტალია, Lampre – N.G.C.) - +0,56... . კარლოს სასტრე (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +1,03... 45. ივან ბასო (იტალია, Liquigas) - +1,07...

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-მიდლსბრო | 3:1 |

ნიუკასლი: ჰარპერი, ბეიე, ბასონგი, ს. ტეილორი, ბატი, ნოლანი, გუტიერესი (65. ლოვენკრანდსი), გოტი, დაფი, ვიდუკა (87. ქეროლი), ოუენი (70. მარტინსი).

მიდლსბრო: ჯოუნსი, ჰოიტი, ჰუთი, ბეიტსი, ე. ტეილორი (76. ა. ჯონსონი), შავქი (69. ალიადიერი), ო'ნილი, თუნჯაი, დაუნინგი, ემნესი, აფონსო ალვეში (36. მ. კინგი).

გოლები: 0:1 ბეიე (3-საკ. კარში), 1:1 ს. ტეილორი (9), 2:1 მარტინსი (71), 3:1 ლოვენკრანდსი (86)

გაფრთხილება: 3-2; კუთხური: 11-1; ჯარიმა: 8-17; თამაშგარე: 1-5; კარში დარტყმა: 19-11 (6-3); ბურთის ფლობა: 51%-49%.

მაყურებელი: 51 252

**ჩემპიონატი. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| შეფილდი-პრესტონი | 1:0 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ტრევიზო-ვიჩენცა | 0:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლანსი-რეიმსი | 1:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-ბრაგა | 0:5 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეირდრი-სტ. ჯონსტონი | 0:4 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტირლინგი-ქუინზ პარკი | 4:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ორჰუსი | 1:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 0:3 |
| კალმარი-ტრელებორგი | 2:0 |
| ერებრუ-ჰამარბიუ | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნორჩოპინგი-ვასალუნდი | 3:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| მიუპა-ჰიკ | 1:0 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კონკორდია-ლუგანო | 2:3 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპოლონი-დიაგორასი | 2:0 |
| ეთნიკოსი (ა)-კერკირა | 4:2 |
| ეთნიკოსი-ანაგენისი | 1:1 |
| კალამატა-იონიკოსი | 3:1 |
| კალითეა-ოლიმპიაკოსი | 1:0 |
| კასტორია-ილისიაკოსი | 0:4 |
| კავალა-ატრომიტოსი | 5:0 |
| იანინა-აგროტიკოსი | 2:2 |
| პიერიკოსი-ვერია | 0:2 |

**თურქეთი**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დიარბაქირი-ბბ გაზიანთეფი | 2:0 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| კეფლავიკი-ჰაფნარი | 1:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბანიკი-ბოლესლავი | 0:2 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| რუბინი-ტომი | 4:0 |
| სპარტაკი-სატურნი | 4:0 |
| ნალჩიკი-ხიმკი | 0:0 |
| ყუბანი-როსტოვი | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კრასნოდარი-ვოლგა | 1:3 |
| ალანია-ლ. ენერგია | 3:0 |
| ნოსტა-ჩიტა | 2:0 |
| შინიკი-ურალი | 1:2 |
| ბალტიკა-სიბირი | 0:3 |
| ჩერნომორეცი-კამაზ | 1:0 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-სკა ენერგია | 1:1 |
| ვიტიაზი-მვდ | 0:0 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-დომჟალე | 0:2 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-პირინი | 3:2 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა)-ბნეი შახნინი | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მადრიდი**

| | |
|---|---|
| ერნანდესი-ვასალო არგელო | 6:3, 6:3 |
| ტიპსარევიჩი-**ფიში** | 6:7, 4:6 |
| სერა-შუტლერი | 6:2, 6:4 |
| **ლუბიჩიჩი**-გაბაშვილი | 6:3, 6:2 |
| **ფერერი**-კანიასი | 6:2, 6:2 |
| **სიოდერლინგი**-ანდრეევი | 6:4, 6:2 |
| **ცონგა**-საფინი | 6:4, 7:5 |
| **ბოლელი**-ჩელა | 7:5, 7:6 |
| **ვავრინკა**-კრუნიოლა | 6:2, 6:0 |
| **ჰაასი**-გულბისი | 6:2, 5:7, 7:5 |
| ალმაგრო-**კოლშრაიბერი** | 3:6, 4:6 |
| **მონაკო**-ლოპესი | 6:4, 7:5 |

**WTA. მადრიდი**

| | |
|---|---|
| **ლეპჩენკო**-რიბარიკოვა | 7:6, 5:7, 6:1 |
| **ვინჩი**-მარტინესი | 4:6, 6:2, 6:4 |
| პავლიუჩენკოვა-**პენგი** | 1:6, 6:7 |
| დულკო-**ჰანტუხოვა** | 6:7, 1:6 |
| **ვესნინა**-რაზანო | 7:5, 6:3 |
| **მორესმო**-სუგიამა | 6:2, 6:4 |
| **პეტროვა**-გრონეფელდი | 4:6, 7:6, 7:6 |
| **შნიდერი**-ვოზნიაკი | 6:2, 6:4 |
| ს. უილიამსი-**სკიავონე** | 4:6, 0:6 |
| **ვოზნიაჩკი**-პეერი | 6:4, 6:0 |
| **ჩაკვეტაძე**-სტოსური | 1:6, 6:2, 7:6 |

TV პროგრამა

**12 მაისი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:25 არგენტინის ჩემპიონატი. როსარიო-ნიუელსი.
08:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მიდლსბრო.
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:10 საფეხბურთო პროგრამა.
18:40 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:05 ლიბერტადორესის თასი.
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-დორტმუნდი (LIVE).
23:55 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
01:50 საფეხბურთო ჰამე.
02:20 ლიბერტადორესის თასი.
03:10 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. სპორტი (ბრაზილია)-პალმეირასი (ბრაზილია) (LIVE).
05:10 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

06:00 როდეო. BULL RIDERS.
07:00 ძიდაობა. დამოუკიდებლობის თასი. უზბეკეთი.
08:00 სპორტული დილა.
08:45 პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის თასი. 1/2 ფინალი.
10:45 რკინის ფაქტორი. ტელეჟურნალი.
11:15 ახალი ამბები.
11:25 ფიგურული სრიალი.
15:00 სპორტული დღე.
15:30 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. კატარი.
18:45 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
19:30 ბეისბოლი. MLB-ის ჩემპიონატი. ბოსტონი-ტამპა ბეი.
22:00 სპორტული საღამო.
22:30 სპორტული გლობუსი - Trans World Sport. ტელეჟურნალი.
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ნანტი (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:30 პლაჟის ფრენბურთი. ევროპის ტური. ქალები. ესპანეთი.
03:30 რკინის ფაქტორი. ტელეჟურნალი.
04:00 ბრძოლა წესების გარეშე.
05:00 ახალი ამბები.
05:10 კალათბურთი. კვირა NBA-ში.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
10:45 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. III ეტაპი.
12:10 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
12:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 ევროგოლი - სპეციალური გამოშვება. ლუკაშ პოდოლსკი.
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-შვეიცარია. გერმანია (LIVE).
14:45 მულტისპორტი.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IV ეტაპი (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-პოლანდია. გერმანია (LIVE).
21:25 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
21:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. ნახევრადმძიმე წონა. ტ. ადამეკი (პოლონეთი)-ჯ. ბენქსი (აშშ). აშშ.
23:00 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. საშუალო წონა. ა. აბრაჰამი (გერმანია)-დ. საიმონი (აშშ). გერმანია.
01:00 რალი. IRC-ის სერია. პორტუგალია.
01:30 ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. სპა. ბელგია.
02:00 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ბარსელონა. ესპანეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. პოლინეზია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. პოლინეზია.
12:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ოლიმპიაკოსი-მარუსი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. პოლინეზია.
15:00 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ბარსელონა. ესპანეთი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ოლიმპიაკოსი-მარუსი.
17:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-შვეიცარია. გერმანია.
18:15 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. სპა. ბელგია.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. პოლინეზია.
22:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-პოლანდია. გერმანია.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
01:00 ახალი ამბები.
01:45 სერფინგი. პოლინეზია.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. პოლინეზია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. პოლინეზია.
04:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ესპანეთის გრან-პრის შემდეგ

# ბარიკელო წასვლით დაიმუქრა

## რუბენსმა ბრაუნ გრანპრი ბატონისადმი მხარდაჭერაში დაადანაშაულა

ესპანეთის გრან-პრიზე „ბრაუნ გრან-პრის" მორიგი ტრიუმფი **რუბენს ბარიკელოს** სკანდალურმა გამონათქვამებმა დაჩრდილა. ვეტერანმა ბრაზილიელმა ამერიკულ ტელეარხ Speed TV-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა - თუ გაირკვევა, რომ „ბრაუნის" მეორე პილოტ **ჯენსონ ბატონს** უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნიან, ამ შემთხვევაში რუბენსი დაუყოვნებლივ დატოვებს ფორმულა 1-ს.

შეგახსენებთ, რომ ბარიკელომ ესპანეთის გრან-პრიზე შესანიშნავი სტარტი აიღო და კარგა ხანი ლიდერობდა რბოლას, მაგრამ ეტაპის მსვლელობისას „ბრაუნის" ხელმძღვანელობამ ბატონის ტაქტიკა შეცვალა და ბრიტანელი სამის ნაცვლად, ორ პიტსტოპზე შევიდა, რამაც სეზონში მეოთხე გრან-პრი მოაგებინა. ბარიკელოს კი წინასწარ დაგეგმილ სამ პიტსტოპზე მოუწია შესვლამ და საბოლოოდ, მეორე ადგილს დასჯერდა. ბარიკელო ამბობს, რომ ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს არასამართლიანად წაართვეს გამარჯვება.

„უნდა გავარკვიო რა მოხდა ბრაზილიაში და თუ დადასტურდა, რომ გუნდი ჯენსონის ჩემპიონობაზე მუშაობს, ხვალვე დავარსულებ კარიერას.

გული დამწყდა, რომ გამარჯვება ვერ მოვიპოვე, არადა მეგონა, პირველი ადგილი გარანტირებული მქონდა. შესანიშნავი სტარტი ავიღე და ჯენსონს პირველ მოსახვევში შესვლამდე გავუსწარი. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ გაკვირვებული დავრჩი, როცა ჯენსონი სამიდან ორ პიტსტოპზე გადაიყვანეს", - ამბობს ბარიკელო.

ბრაზილიელს პირდაპირ ჰკითხეს - ხომ არ მეორდება „ბრაუნ გრან-პრიში" სიტუაცია, რომელიც ტიპური იყო იმდროინდელი „ფერარისთვის", რომელშიც ბარიკელო **მიხაელ შუმახერთან** ერთად გამოდიოდა. მაშინ რუბენსი მეორე პილოტად ითვლებოდა, ხოლო მაშინდელ „ფერარიში" სტრატეგიას „ბრაუნის" ამჟამინდელი შეფი - **როს ბრაუნი** ადგენდა.

„მსგავსი გამოცდილება უკვე მქონდა, - დაადასტურა ბრაზილიელმა, - მაგრამ თუ ეს სიტუაცია განმეორდება, არ ვაპირებ გუნდის ბრძანებების შესრულებას. ამის შესახებ ღიად ვაცხადებ. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ „ბრაუნში" უფრო მეგობრული სიტუაციაა. რა თქმა უნდა, წუწუნს არ მოვყვები, მაგრამ ფაქტია, რომ ბარსელონაში მოგება შემეძლო, მაგრამ ვერ მოვიგე".

ბარიკელოს განცხადებას უკვე გამოეხმაურა „ბრაუნ გრან-პრის" შეფი როს ბრაუნი, რომელმაც განაცხადა - ტაქტიკა იმის გამო არ შეგვიცვლია, რომ ბატონი თანაგუნდელზე ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩენილიყო.

„თუ გადავხედავთ წრეების გავლის დროსა და საწვავის რაოდენობას, შევამჩნევთ, რომ რბოლის მსვლელობისას იყო პერიოდი, როცა ბარიკელო უფრო ნელა მოძრაობდა, ვიდრე ჩვენ ველოდით. სწორედ ამიტომ გაუშვა მან ხელიდან გამარჯვება. ჯენსონი უფრო სწრაფი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ბოლიდი ჰყავდა.

იმედი მაქვს, რუბენსი არ თვლის, რომ ჩვენ გუნდური ტაქტიკა გამოვიყენეთ - ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია. სტარტის შემდეგ პირველ მოსახვევში ყველამ დაინახა, რომ არანაირი გუნდური ტაქტიკა არ არსებობდა. რუბენსმა ბრწყინვალე სტარტი აიღო და ბატონს გაუსწრო.

მე მხოლოდ მოხარული ვიქნებოდი, თუ ბარიკელო რბოლას მოიგებდა - ჩვენს გუნდში არანაირი პრიორიტეტები არ არსებობს.

ბუნებრივია, რომ ის იმედგაცრუებულია. არ მინდა ჩემს გუნდში ისეთი პილოტები ირიცხებოდნენ, რომლებიც წაგებას გულგრილად აღიქვამენ. თუ რუბენსი უკმაყოფილოა, ეს კარგი ნიშანია: უცნაური ის იქნებოდა, თუ მას მეორე პილოტის როლი დააკმაყოფილებდა", - ამბობს როს ბრაუნი.



ჩოგბურთი



# მარია ორშაბათს დაბრუნდება

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მარია შარაპოვამ** თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განაცხადა, რომ სულ მალე განაახლებს გამოსვლას WTA-ის ტურის ერთეულთა თანრიგში. კერძოდ, რუსი ჩოგბურთელი მომავალი ორშაბათიდან ვარშავის ტურნირში აპირებს თამაშს.

შეგახსენებთ, მარიას შარშან აგვისტოს შემდეგ არ უთამაშია პროფესიული ტურის ერთეულთა მატჩი. ამის მიზეზი მარჯვენა მხარის ტრავმა გახდა. ოქტომბერში გადატანილი ოპერაციის შემდეგ, შარაპოვა ერთადერთხელ გამოჩნდა კორტზე - მან მარტში ინდიან უელსის ტურნირზე წყვილებში (თანამემამულე **ელენა ვესნინასთან** ერთად) ითამაშა და პირველივე წრეში დამარცხდა.

„ბოლო თვეები ძალიან რთული აღმოჩნდა ჩემთვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამან კიდევ უფრო გამაძლიერა როგორც პირადი, ასევე პროფესიული თვალსაზრისით. ჩოგბურთში დაბრუნებას ჩემს ოჯახსა და გუნდს უნდა ვუმადლოდე, რომლებიც მთელი ამ დროის განმავლობაში გვერდით მედგნენ. ასევე დიდი მადლობა უნდა ვუთხრა გულშემატკივრებს, რომლებიც თბილი და გულწრფელი წერილებით მეხმარებოდნენ რთული სიტუაციების გამკლავებაში. კორტზე ხელახლა გასვლის მომენტს მოუთმენლად ველი", - წერია შარაპოვას განცხადებაში.

# ფორმულაში ორი-სამი გუნდი დარჩება

„ტოიოტა" მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ფორმულა 1-დან წასვლით დაიმუქრა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ბიუჯეტზე ლიმიტს შემოიღებს.

„ვერ წარმოგვიდგენია ახალი წესებით ჩემპიონატში ჩვენი მონაწილეობა. არავინ იცის, როგორ განვითარდება სპორტის ეს სახეობა, თუ მას ტექნიკური რეგლამენტის ჩარჩოებში მოგვაქცევენ. ეს ტექნიკის სფეროში პროგრესს შეუშლის ხელს", - ამბობს „ტოიოტას" პრეზიდენტი **ჯონ ჰაუეტი**.

„ჩვენი აზრით, არსებობს გარკვეული პრობლემები, რომელშიც უნდა გავერკვეთ იქამდე, სანამ ჩვენი გუნდის მომავალს განვსაზღვრავთ. ფორმულა 1-ში დარჩენა გვინდა, მაგრამ მომავალზეც ვფიქრობთ, იმაზე თუ რა იქნება შემდეგ. დიდი ალბათობაა იმისა, რომ თუ სიტუაცია არ შეიცვლება, მონაწილეობის განაცხადს აღარ შევიტანთ", - ამატებს ჰაუეტი.

თითქმის არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ „ტოიოტას" პოზიციას სხვა გუნდებიც გაიზიარებენ. მაგალითად, ესპანეთის გრან-პრის დროს, იაპონური საჯინიბოს მხარე დაიჭირა „რედ ბულისა" და „ტორო როსოს" მფლობელმა **დიტრიხ მატეშიცმა**.

„თუ მომავალი სეზონისთვის რეგლამენტი არ შეიცვალება, ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ 2010 წლის ჩემპიონატში. იმავეს გააკეთებენ ის გუნდები, რომლებსაც ავტომწარმოებელთა მხარდაჭერა აქვთ. საბოლოოდ, მსოფლიოს ჩემპიონატში მაქსიმუმ ორი-სამი გუნდი დარჩება", - აცხადებს მატეშიცი.

გუნდის შეფების პროტესტს პილოტებიც უერთდებიან. მაგალითად, „ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენს** მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ფორმულა 1-ის დატოვება, თუ ახალი ტექნიკური რეგლამენტი შევა ძალაში.

„ეს ფორმულა 1 აღარ იქნება. ამიტომაც ჩემი მომავალი კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, - აცხადებს მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში. - ახალი ტექნიკური რეგლამენტის მიმართ ბევრი კითხვა დაგროვდა და ისე ჩანს, რომ ბევრს არ ესმის იმ წესების არსი, რომელიც სულ მალე უნდა შემოილონ. ჩემს კონტრაქტს ბოლომდე ჩავამთავრებ, მაგრამ ახლის გაფორმებას არ ვიჩქარებ და მოვლენათა განვითარებას დაველოდები".



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

